ბავშვთა მიმართ სექსუალურ ძალადობაზე რეაგირება და მისი პრევენცია საქართველოში: პროგრესი, ხარვეზები და რეკომენდაციები

თვისებრივი კვლევისა და ანალიზის ანგარიში

მარტი, 2026

ავტორები:

ლორა დე მოლიერი, ევროპის საბჭოს საერთაშორისო კონსულტანტი

ნინო დანელია, ევროპის საბჭოს ეროვნული კონსულტანტი

რედაქტორი:

იზა კასრელიშვილი, ევროპის საბჭოს ეროვნული კონსულტანტი

"ბავშვთა მიმართ ძალადობის
წინააღმდეგ ბრძოლა
საქართველოში"
ევროპის საბჭო

COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE

ქართული გამოცემა

ანგარიში მომზადდა პროექტის „ბავშვთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში“ ფარგლებში (შემდგომში, *პროექტი)*, რომელიც ხორციელდება 2024 წლის ივნისიდან 2026 წლის მაისამდე, „საქართველოსთვის ევროპის საბჭოს 2024-2027 წლების სამოქმედო გეგმის“ სტრატეგიული თანამშრომლობის პრიორიტეტების შესაბამისად. **წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილი მიგნებები, ინტერპრეტაციები და დასკვნები ეკუთვნით ავტორებს და ისინი შესაძლოა არ გამოხატავდეს ევროპის საბჭოს ან მისი პარტნიორი ორგანიზაციების ოფიციალურ პოზიციას.**

ანგარიშის მიზანია წვლილი შეიტანოს ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის, მათ შორის, ბავშვთა ონლაინ სექსუალური ექსპლუატაციისა და ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში ეროვნულ დონეზე, „სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისგან ბავშვთა დაცვის შესახებ“ (შემდგომში: ლანზაროტეს კონვენცია) ევროპის საბჭოს კონვენციისა და სხვა საერთაშორისო სტანდარტების, ასევე ლანზაროტეს კომიტეტის რეკომენდაციების შესაბამისად.

სიზუსტის და სანდოობისთვის გაწეულ იქნა მაქსიმალური ძალისხმევა. ამავდროულად, ანგარიში ეფუძნება მისი მომზადების მომენტისთვის მისაწვდომ მონაცემებს, თვისებრივი კვლევის მიგნებებსა და დაინტერესებული მხარეების მიერ მოწოდებულ ინფორმაციას. ნებისმიერ შეცდომასა თუ არასრულ ინფორმაციაზე პასუხისმგებლობა ეკისრებათ მხოლოდ ავტორებს.

Photos: Council of Europe, @Shutterstock
წინამდებარე პუბლიკაციას არ გაუვლია რედაქტირება PVID-ის სარედაქციო განყოფილებაში, ტიპოგრაფიულიან გრამატიკული შეცდომების გასასწორებლად.
© ევროპის საბჭო, 2026 წელი

სარჩევი

გამოყენებული აბრევიატურები 6

ტერმინთა განმარტება 8

რეზიუმე 9

ძირითადი მიგნებები 11

შესავალი 15

მეთოდოლოგია 17

1. სამაგიდე კვლევა: ბავშვთა მიმართ სექსუალურ ძალადობასთან ბრძოლის საერთაშორისო, რეგიონული და ადგილობრივი ჩარჩოები 22

1.1. საერთაშორისო და რეგიონული ჩარჩოები ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის შესახებ 22

1.2. საქართველოს ეროვნული ჩარჩო ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის შესახებ 23

1.3. საქართველოს მიერ საერთაშორისო და რეგიონული ინსტრუმენტების ფარგლებში აღებული ვალდებულებები 25

1.3.1. ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის განმარტება 25

1.3.2. ბავშვთა დამცავი უფლებების დადგენა 27

1.3.3. პრევენციული მექანიზმები და სტრატეგიები 29

1.3.4. პასუხისმგებლობა ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის ჩადენისთვის 33

1.3.5. ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა 35

1.3.6. წვდომა იურიდიულ დახმარებასა და ფსიქოსოციალურ მხარდაჭერაზე 43

1.3.7. თანამშრომლობის მექანიზმები ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის აღმოსაფხვრელად 45

2. საველე კვლევის მიგნებები 49

2.1. საკანონმდებლო ჩარჩო 49

2.2. ბავშვის საუკეთესო ინტერესები, როგორც ამოსავალი პრინციპი 51

2.3. პრევენცია და ცნობიერების ამაღლება 54

2.3.1. პრევენციისკენ და ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართული ინიციატივები 54

2.3.2. ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის შესახებ ინფორმირებულობა და დამოკიდებულება 55

2.3.3. პრევენციის არსებული მექანიზმები ... 56
2.4. გამოვლენა და შეტყობინება ... 57
2.4.1. ძირითადი მხარეები და სასურველი ქცევა ... 57
2.4.2. ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის შეტყობინების სისტემა ... 61
2.5. რეაგირება ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის შემთხვევებზე ... 65
2.5.1. გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა ... 66
2.5.2. ბავშვზე მორგებული სასამართლო პროცესი ... 68
2.5.3. ძირითადი მხარეები და მათი როლები ... 70
2.5.4. ბარიერები ... 71
2.6. რეაბილიტაციის და მხარდაჭერის სერვისები ... 73
2.6.1. სერვისების მიწოდების არსებული მოდელის მიმოხილვა ... 73
2.6.2. მხარდაჭერის არსებული სტრუქტურა ... 74
2.6.3. არსებული სარეაბილიტაციო სერვისები ... 75
2.6.4. ბავშვის გზა რეაბილიტაციის სისტემაში ... 76
2.6.5. ბარიერები რეაბილიტაციის პროცესში ... 77
2.6.6. ინფორმირებულობა და ჩართულობა ... 77
2.7. უწყებათაშორისი კოორდინაცია ბავშვთა მიმართ სექსუალურ ძალადობასთან ბრძოლაში ... 78
2.7.1. ძირითადი აქტორები და ხარვეზები კოორდინაციაში ... 78
2.7.2. არსებული საკოორდინაციო მექანიზმები ... 79
2.7.3. ეფექტური კოორდინაციის კრიტერიუმები ... 80
2.7.4. ეფექტური კოორდინაციის ბარიერები ... 81
2.7.5. ერთიანი ეროვნული მიდგომის ნაკლებობა ... 82
რეკომენდაციები ... 84
გამოყენებული ლიტერატურა ... 94

გამოყენებული აბრევიატურები

Barnahus – ბავშვის სახლი (ბარნაჰუსი) (ბავშვზე მორგებული, მულტიდისციპლინური მოდელი ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისთვის)

CCG – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი (სსკ)

CEDAW – კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ

CoE – ევროპის საბჭო

CPCG – საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (სსსკ)

CRC – ბავშვის უფლებათა კოდექსი (საქართველო)

CSAM – ბავშვის მიმართ სექსუალური ძალადობის ამსახველი მასალა

CSA – ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობა

ECPAT – ბავშვთა პროსტიტუციასთან და ტრეფიკინგთან ბრძოლის ორგანიზაცია

FGD – დისკუსია ფოკუს-ჯგუფებში

GCRT – წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი

GBA – საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, ლიცენზირებულ ადვოკატთა ეროვნული პროფესიული ორგანო

GDPR – მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაცია

Global Partnership – გლობალური პარტნიორობა ბავშვთა მიმართ ძალადობის დასასრულებლად

GREVIO – ევროპის საბჭოს ექსპერტთა ჯგუფი ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე

ICTs – საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები

ILO – შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია

INTERPOL – სისხლის სამართლის პოლიციის საერთაშორისო ორგანიზაცია (ინტერპოლი)

JJC – არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი (საქართველო)

KII – ინტერვიუ ძირითად ინფორმატორთან

LAS – იურიდიული დახმარების სამსახური (საქართველო)

LoGE – კანონი ზოგადი განათლების შესახებ (საქართველო)

LTD – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს)

MIA – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო (შსს)

NGO – არასამთავრობო ორგანიზაცია

NHRAP – ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სამოქმედო გეგმა

OPSC – გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის ფაკულტატური ოქმი ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ

ORO – საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური

PDPL – კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ (საქართველო)

RMP – ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურები (საქართველო)

SBC – სოციალური ქცევის ცვლილების მოდელი

SCA – სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო (საქართველო)

SIA – სპეციალური საგამოძიებო სამსახური (საქართველო)

TPDC – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

UN – გაერთიანებული ერები (გაერო)

UNCRC – გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია

UNICEF – გაეროს ბავშვთა ფონდი (იუნისეფი)

WePROTECT – გლობალური ალიანსი

WRC – კონვენცია ბავშვთა შრომის უკიდურესი ფორმების შესახებ

ტერმინთა განმარტება

ბავშვის სახლი (ბარნაჰუსი): მულტიდისციპლინური მოდელი, რომელიც ერთ ჭერქვეშ უზრუნველყოფს ბავშვზე მორგებულ გარემოს საგამოძიებო ინტერვიუების, ფსიქოლოგიური მხარდაჭერის, სამედიცინო შემოწმებისა და სამართლებრივი საქმისწარმოებისათვის. მისი მიზანია ტრავმის მინიმუმამდე დაყვანა და კოორდინირებული რეაგირების უზრუნველყოფა ბავშვის მიმართ სექსუალური ძალადობის შემთხვევებში. საქართველოში მისი დანერგვა თბილისიდან დაიწყო.

ბავშვის საუკეთესო ინტერესი: ბავშვთა დაცვის ფუნდამენტური პრინციპი, რომელიც განმტკიცებულია გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-3 მუხლსა და საქართველოს „ბავშვის უფლებათა კოდექსში". იგი მოითხოვს, რომ ბავშვთან დაკავშირებულ ყველა ქმედებაში, იქნება ეს საჯარო თუ კერძო დაწესებულებების, სასამართლოების თუ ადმინისტრაციული ორგანოების მიერ განხორციელებული ქმედება, უპირატესი ყურადღება დაეთმოს ბავშვის კეთილდღეობას, განვითარებას, უსაფრთხოებასა და მის შეხედულებებს.

ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობა (CSA): ევროპის საბჭოს ლანზაროტეს კონვენციისა და საქართველოს კანონმდებლობის თანახმად განიმარტება, როგორც ბავშვის ჩართვა სექსუალური ხასიათის ქმედებებში, რომელთა არსიც მას ბოლომდე არ ესმის, რომლებზეც მას არ შეუძლია გაცნობიერებული თანხმობის გაცემა ან რომლებისთვისაც იგი განვითარების დონის მიხედვით არ არის მზად. ეს მოიცავს როგორც კონტაქტურ, ისე არაკონტაქტურ ქმედებებს, როგორიცაა შეხება, ექსპლუატაცია და ბავშვისთვის სექსუალური შინაარსის მასალის ჩვენება, მათ შორის, ციფრული საშუალებების გამოყენებით.

ბავშვის მიმართ სექსუალური ძალადობის ამსახველი მასალა (CSAM): ტერმინი, რომელიც რეკომენდებულია ლუქსემბურგის სახელმძღვანელო მითითებებით და ლანზაროტეს კომიტეტის მიერ, ტერმინ „ბავშვთა პორნოგრაფიის" ჩასანაცვლებლად. იგი გულისხმობს ნებისმიერ ვიზუალურ გამოსახულებას - იქნება ეს ფოტო, ვიდეო თუ ციფრულად დამუშავებული გამოსახულება - რომელიც ასახავს ბავშვის მიმართ სექსუალურ ძალადობას ან ექსპლუატაციას. საქართველოს ამჟამინდელი საკანონმდებლო ჩარჩო აღნიშნულ ტერმინოლოგიასთან შესაბამისობაში მოყვანის პროცესშია.

მულტიდისციპლინური თანამშრომლობა: ბავშვთა დაცვის პრინციპი, რომელიც მოითხოვს ყველა შესაბამისი უწყების (ჯანდაცვითი, საგანმანათლებლო, სამართალდამცავი, სასამართლო და სოციალური სამსახურები/უწყებები) ერთობლივ მოქმედებასა და კოორდინირებულ რეაგირებას ბავშვის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ლანზაროტეს კონვენციისა და საქართველოში მოქმედი რეფერირების პროცედურების შესაბამისად.

სავალდებულო შეტყობინება: საქართველოს კანონმდებლობით (2016 წლის რეფერირების პროცედურები) და ლანზაროტეს კონვენციით გათვალისწინებული სამართლებრივი ვალდებულება, რომელიც ავალდებულებს პროფესიონალებს (მაგ. მასწავლებლებს, ექიმებს, სოციალურ მუშაკებს), აცნობონ შესაბამის ორგანოებს ბავშვთა მიმართ ძალადობის საეჭვო ან დადასტურებული შემთხვევების შესახებ, მიუხედავად მხარეთა თანხმობისა.

ტექნოლოგიებით / საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით (ICT) ჩადენილი ძალადობა: საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით (ICT) ჩადენილი ან ხელშეწყობილი ძალადობა. მოიცავს ონლაინ გრუმინგს, სექსუალურ გამოძალვას, სექსუალური ძალადობის პირდაპირ ეთერში გადაცემას და CSAM-ის გავრცელებას. აღიარებულია ბუდაპეშტის კონვენციით და განხილულია ლანზაროტეს კონვენციის 23-ე მუხლში.

ტრავმაზე ორიენტირებული მიდგომა: ჩარჩო, რომელიც აღიარებს ტრავმის გავლენას ბავშვებზე და უზრუნველყოფს სერვისების მიწოდებას რეტრავმატიზაციის თავიდან აცილებით. ეს მოიცავს ბავშვზე მორგებულ გამოკითხვას/ინტერვიუირებას, განმეორებითი კითხვების თავიდან აცილებას და ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას სამართლებრივი პროცესის განმავლობაში.

მეორეული ვიქტიმიზაცია: დამატებითი ფსიქოლოგიური ზიანი ან ტრავმა, რომელიც ბავშვმა შესაძლოა მიიღოს გამოძიების ან სასამართლო პროცესის დროს, მაგალითად, განმეორებითი გამოკითხვების, სასამართლოში დამნაშავესთან პირისპირ შეხვედრის ან არაეთიკური/არასენსიტიური დაკითხვის შედეგად. მეორეული ვიქტიმიზაციის პრევენცია ლანზაროტეს კონვენციისა და საქართველოში მიმდინარე მართლმსაჯულების რეფორმების პრიორიტეტია.

ადრეული და იძულებითი ქორწინება (ბავშვთა ქორწინება): განისაზღვრება, როგორც ნებისმიერი ფორმალური ან არაფორმალური კავშირი, სადაც ერთ-ერთი ან ორივე მხარე 18 წლამდე ასაკისაა. საქართველოს კანონმდებლობით (სისხლის სამართლის კოდექსის 150[1] მუხლი) და საერთაშორისო კონვენციებით იგი მიჩნეულია ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის ფორმად, ძალაუფლების დისბალანსისა და თანხმობის გაცემის შეუძლებლობის გამო.

რეზიუმე

წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილია საქართველოში ბავშვთა მიმართ სექსუალურ ძალადობასთან (CSA), მათ შორის, ციფრული ტექნოლოგიებით ჩადენილ სექსუალურ ძალადობასთან ბრძოლის (სამართლებრივ და ინსტიტუციურ დონეზე) ყოვლისმომცველი შეფასების მიგნებები. კვლევა აერთიანებს შესაბამისი საერთაშორისო და ეროვნული/შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობისა და

პოლიტიკის სიღრმისეულ მიმოხილვასა და საქართველოს რამდენიმე რეგიონში ჩატარებულ თვისებრივ საველე კვლევას. ამ ორი კომპონენტის გაერთიანებით, ანგარიში გვთავაზობს მრავალშრიან ხედვას იმის შესახებ, თუ როგორ გამოიყენება ბავშვთა დაცვის სტანდარტები პრაქტიკაში და რა დონეზე უწყობს ხელს ეს ძალისხმევა ბავშვებისთვის უსაფრთხო და მხარდამჭერი გარემოს შექმნას.

საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებების ფარგლებში, რომელთაგან უპირატესია გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციით, ლანზაროტეს კონვენციითა და ბუდაპეშტის კონვენციით განსაზღვრული ვალდებულებები, სამაგიდე კვლევის ფარგლებში შესწავლილი იქნა ქვეყნის საკანონმდებლო და პოლიტიკის ჩარჩო ისეთ ძირითად სფეროებში, როგორიცაა პრევენცია, იდენტიფიცირება, რეაგირება, გამოძიება, სასამართლო განხილვა და რეაბილიტაცია. აღნიშნულ სამართლებრივ ანალიზს მოჰყვა საველე კვლევა, რომლის მიზანი იყო იმის შესწავლა, თუ რა გამოცდილება აქვთ პრაქტიკაში პროფესიონალებს, ბავშვებს და ოჯახებს დაცვის სისტემასთან დაკავშირებით, და რა გავლენას ახდენს ქცევითი, პროცედურული და ინსტიტუციური ფაქტორები მის ფუნქციონირებაზე, სხვადასხვა დონეზე.

როგორც კვლევის მიგნებები აჩვენებს, საქართველომ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია ბავშვთა დაცვის სისტემაში, განსაკუთრებით, ბავშვთა მიმართ სექსუალურ ძალადობაზე რეაგირების კუთხით. საკანონმდებლო გაუმჯობესება, ინსტიტუციური გაძლიერება და სერვისების მიწოდების დახვეწა გადამწყვეტი ნაბიჯები იყო ეროვნული ჩარჩოს საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის გზაზე. კვლევაში ეს წინსვლა მნიშვნელოვან პროგრესად შეფასდა და ამავდროულად გამოვლინდა არსებული ხარვეზები აღსრულების, უწყებათაშორისი კოორდინაციისა და რესურსების განაწილების კუთხით. ეს გამოწვევები განპირობებულია კანონების პრაქტიკაში გამოყენების პროცესში არსებული შეუსაბამობებით, დაინტერესებულ მხარეებს შორის შეზღუდული კომუნიკაციითა და ქალაქებსა და სოფლებში რესურსების არათანაბარი მისაწვდომობით. აღნიშნული ფაქტორები ერთობლიობაში მნიშვნელოვნად აფერხებს სისტემის ეფექტურობას ბავშვთა დაცვის კუთხით.

ამ მიგნებების საფუძველზე მომზადდა ქმედითი რეკომენდაციები ეროვნული უწყებებისა და შესაბამისი დაინტერესებული მხარეებისთვის. აღნიშნული რეკომენდაციები მიზნად ისახავს გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრას და შეიცავს მიზნობრივ ნაბიჯებს როგორც საკანონმდებლო ჩარჩოს, ისე ბავშვთა მიმართ ძალადობის პრევენციასა და მასზე რეაგირებაში ჩართული ინსტიტუტების შესაძლებლობების გასაძლიერებლად. გარდა ამისა, ეფექტური შიდასახელმწიფოებრივი პრაქტიკის წარმოჩენით, წინამდებარე შეფასება მხარს უჭერს ბავშვთა დაცვის სფეროში წარმატებული მიდგომების ფართოდ დანერგვას.

დოკუმენტში წარმოდგენილი ანალიზი ეფუძნება ძირითადი საკანონმდებლო და პოლიტიკის დოკუმენტების თემატურ მიმოხილვას და ასახავს 2015-დან 2025 წლამდე განვითარებულ მოვლენებს. საველე სამუშაოები ჩატარდა 2024 წლის ნოემბერსა და დეკემბერში, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ ამ შეფასების მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოს ბავშვთა დაცვის სისტემის უწყვეტ გაუმჯობესებას, რათა იგი სრულად იყოს აღჭურვილი ბავშვთა მიმართ სექსუალურ ძალადობასთან, მათ შორის ონლაინ საფრთხეებთან საბრძოლველად და შექმნას უსაფრთხო გარემო, სადაც თითოეული ბავშვის უფლებებს პატივს სცემენ და იცავენ.

ძირითადი მიგნებები

წინამდებარე კვლევის მიგნებებში წარმოჩენილია როგორც პროგრესი, ისე სისტემური გამოწვევები საქართველოს ბავშვთა დაცვის სისტემაში, განსაკუთრებით ბავშვთა მიმართ სექსუალურ ძალადობაზე რეაგირების კუთხით. საკანონმდებლო დონეზე განხორციელებულმა წინსვლამ და ინსტიტუციურმა გაუმჯობესებამ გააძლიერა დაცვის ღონისძიებები, მაგრამ კვლავ რჩება კრიტიკული ხარვეზები აღსრულების, კოორდინაციისა და სერვისების მისაწვდომობის თვალსაზრისით. ამ შეფასებისას გამოკვეთილი სისტემური შეზღუდვები ხაზს უსვამს ერთიანი, სტრუქტურირებული რეაგირების აუცილებლობას ბავშვთა დაცვის მექანიზმების ეფექტიანობისთვის.

- **საკანონმდებლო და პოლიტიკის ჩარჩოები:** საქართველომ მიიღო ისეთი ძლიერი სამართლებრივი ინსტრუმენტები, როგორიცაა „ბავშვის უფლებათა კოდექსი“ და „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი“, რომლებიც შესაბამისობაშია გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციასთან და ლანზაროტეს კონვენციასთან. თუმცა, სამართლებრივ არქიტექტურას პრაქტიკაში აკლია ერთიანობა. 2016 წლის „რეფერირების პროცედურები“ არ განახლებულა, რათა ასახულიყო ისეთი მნიშვნელოვანი აქტორები, როგორიცაა მუნიციპალური სოციალური მუშაკები, რაც იწვევს გაურკვევლობას როლებსა და პასუხისმგებლობებში. არათანმიმდევრული ტერმინოლოგია - მაგალითად, ტერმინ „ბავშვთა პორნოგრაფიის“ გამოყენება „ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის ამსახველი მასალის (CSAM)“ ნაცვლად, ამცირებს სამართლებრივ სიზუსტეს. საკანონმდებლო კუთხით დიდ გამოწვევას წარმოადგენს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში სექსუალური ძალადობის ისეთი განმარტების არარსებობა, რომელიც ეყრდნობა თანხმობის პრინციპს. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, სუსტი აღსრულება და

ანგარიშვალდებულების მექანიზმების ნაკლებობა დაცვის სისტემაში არსებულ ხარვეზებს რეაგირების გარეშე ტოვებს.

- **ინსტიტუციური კოორდინაცია:** მიუხედავად იმისა, რომ ბავშვთა დაცვის პროცესში ჩართულია სხვადასხვა აქტორი, მათ შორის სკოლები, მუნიციპალიტეტები, არასამთავრობო ორგანიზაციები და სახელმწიფო უწყებები, თანამშრომლობა კვლავ ფრაგმენტულია. ინსტიტუციური მანდატები ხშირად ერთმანეთს ფარავს ან ბუნდოვანია, რაც იწვევს შეფერხებებს და რეაგირების დაგვიანებას. კოორდინაცია მეტწილად დამოკიდებულია ინდივიდუალურ ინიციატივაზე და არა სისტემურ სტრუქტურებზე. ადგილობრივ და ცენტრალურ უწყებებს ხშირად არ გააჩნიათ თანამშრომლობის საერთო პროცედურები და ინსტრუმენტები, განსაკუთრებით სოფლად, რაც კიდევ უფრო ამწვავებს სერვისების მიწოდების კუთხით არსებულ უთანასწორობას.

- **პრევენციული ძალისხმევა:** ქვეყანაში ტარდება ცალკეული ცნობიერების ამაღლების კამპანიები და სასკოლო აქტივობები, მაგრამ საქართველოს არ გააჩნია ყოვლისმომცველი პრევენციის სტრატეგია. ინიციატივები ხშირად დონორებზეა დამოკიდებული და არამდგრადია. სკოლები დიდწილად არ არიან აღჭურვილი შესაბამისი რესურსებით, რათა ასწავლონ ბავშვებს სხეულის უსაფრთხოების, ციფრული რისკების ან თანხმობის პრინციპის შესახებ. შედეგად, ბავშვები რჩებიან იმ ფუნდამენტური ცოდნის გარეშე, რომელიც აუცილებელია ძალადობის ამოსაცნობად და პრევენციისთვის. კულტურული ტაბუები კვლავ აფერხებს დიალოგს სექსუალურ ძალადობაზე, განსაკუთრებით რეგიონებში. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული გაუმჯობესებები აღინიშნება მედიაგაშუქების კუთხით, სენსაციალიზმი კვლავ ლახავს მსხვერპლის ღირსებას და შემთხვევების გამჟღავნებას უშლის ხელს.

- **იდენტიფიცირებისა და შეტყობინების მექანიზმები:** მიუხედავად პროფესიონალთა სამართლებრივი ვალდებულებისა, განახორციელონ შეტყობინება ძალადობის შესაძლო შემთხვევების შესახებ, ამ ნორმის აღსრულება სუსტია. ბევრი სპეციალისტი არ არის ინფორმირებული საკუთარი მოვალეობების შესახებ ან ეშინია შესაძლო შედეგების, განსაკუთრებით, მცირე ზომის თემებში. თავად ბავშვებმა ხშირად არ იციან, როგორ ან ვის მიმართონ ძალადობის შემთხვევაში, მათ აფერხებთ შიში, სირცხვილის გრძნობა ან ინსტიტუტების მიმართ უნდობლობა. დაბალია გამჟღავნების მაჩვენებელი ციფრული ძალადობის შემთხვევებში, რადგან როგორც ბავშვებს, ისე პროფესიონალებს აკლიათ სათანადო ინსტრუმენტები და ინფორმირებულობა ციფრული ძალადობის ამოსაცნობად და მასზე

რეაგირებისთვის. მისაწვდომია ცხელი ხაზები (მაგალითად, 111), თუმცა მათ ნაკლებად იყენებენ, რაც განპირობებულია დაბალი ხილვადობით და ნდობით.

- **ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების პრინციპები:** თბილისის „ბარნაჰუსის ცენტრში" მოქმედებს მაღალი სტანდარტი ტრავმაზე ორიენტირებული მართლმსაჯულებისთვის, რაც გულისხმობს კოორდინირებულ საგამოძიებო, სამედიცინო და ფსიქოლოგიურ მომსახურებას ერთიან, ბავშვზე მორგებულ გარემოში. მიუხედავად ამისა, ბარნაჰუსის მოდელზე დაფუძნებული პროცედურების მისაწვდომობა კვლავ არათანაბარია. თბილისის გარეთ მცხოვრები არაერთი მსხვერპლი ბავშვი კვლავ მონაწილეობს საგამოძიებო მოქმედებებში ისეთ გარემოში, რომელიც ჯერ კიდევ არ არის სრულად აღჭურვილი ტრავმაზე ორიენტირებული სტანდარტების შესაბამისად. მართლმსაჯულების სისტემა, ზოგ შემთხვევებში, კვლავ ეყრდნობა საპროცესო შეთანხმებებსა და ბრალის შემსუბუქებას, რაც სავარაუდოდ ამცირებს დამნაშავეთა პასუხისმგებლობას და ბავშვებს უტოვებს განცდას, რომ მათ მოსაზრებას არ ითვალისწინებენ.

- **რეაბილიტაციისა და მხარდაჭერის სერვისები:** ფსიქოსოციალური მხარდაჭერისა და რეაბილიტაციის სერვისების მისაწვდომობა მეტწილად თბილისით შემოიფარგლება. სხვა რეგიონებში სერვისები მინიმალურია ან საერთოდ არ არსებობს. იქაც კი, სადაც სერვისები მისაწვდომია, გრძელვადიანი შემდგომი მეთვალყურეობა იშვიათია, ხოლო რეინტეგრაციის მხარდაჭერა კი არასტრუქტურირებული. ბავშვები დგანან რეტრავმატიზაციის რისკის წინაშე განმეორებითი პროცედურების ან ზრუნვის უწყვეტობის არარსებობის გამო. არ არსებობს დამნაშავეთა რეაბილიტაციის სტრუქტურირებული პროგრამები, რაც ნიშნავს რეციდივის პრევენციის მნიშვნელოვანი შესაძლებლობის ხელიდან გაშვებას. სოციალური სტიგმა და ოჯახების თავშეკავება კიდევ უფრო აფერხებს ფსიქოლოგიური მხარდაჭერის მისაწვდომობას.

- **დაინტერესებული მხარეების შესაძლებლობები:** ბოლო წლებში პროფესიონალთა გადამზადების ინიციატივები გაიზარდა, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში ისინი კვლავ ფრაგმენტულია, მოკლევადიანია და ხშირად ნებაყოფლობითი ხასიათისაა. არ არსებობს სავალდებულო, უწყვეტი პროფესიული განვითარების ეროვნული ჩარჩო. პოლიციელების, პროკურორების, მოსამართლეებისა და ადვოკატების სპეციალიზაცია ძალაშია, თუმცა ტრენინგების ხარისხი უწყებებს შორის განსხვავდება,. ბევრ პროფესიონალს კვლავ აკლია პრაქტიკული ინსტრუმენტები და ტრავმაზე ორიენტირებული მიდგომების ცოდნა, რაც აუცილებელია ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის შემთხვევების სამართავად. კადრების მაღალი

დენადობა და ქალაქსა და სოფელს შორის არსებული დისბალანსი კიდევ უფრო ასუსტებს ინსტიტუციურ შესაძლებლობებს, რის გამოც ხშირად პროფესიონალები სათანადო მომზადებისა და მხარდაჭერის გარეშე რჩებიან ძალადობის კომპლექსურ შემთხვევებთან გამკლავებისას.

შესავალი

კონტექსტი და დასაბუთება

ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობა წარმოადგენს ბავშვის უფლებების უხეშ დარღვევას და მას ხანგრძლივი შედეგები მოჰყვება მათი ფიზიკური, ემოციური და სოციალური კეთილდღეობისთვის. მისი კომპლექსური და ხშირად ფარული ბუნებიდან გამომდინარე, მასზე რეაგირება საჭიროებს კოორდინირებულ, მულტისექტორულ მოქმედებას, რომელიც გამყარებულია მტკიცე სამართლებრივი ჩარჩოებითა და ინსტიტუციური ანგარიშვალდებულებით. საერთაშორისო ინსტრუმენტები, როგორიცაა გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია (UNCRC) და ევროპის საბჭოს ლანზაროტეს კონვენცია, მკაფიოდ განსაზღვრავს სახელმწიფოს ვალდებულებებს ძალადობის პრევენციის, მსხვერპლთა დაცვისა და მართლმსაჯულებაზე მისაწვდომობის უზრუნველყოფის კუთხით (ევროპის საბჭო, 2007; გაერო, 1989).

ბოლო წლებში საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ბავშვთა დაცვის სისტემის გასაძლიერებლად. „ბავშვის უფლებათა კოდექსის" (2019 წ.), „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსისა" (2015 წ.) და განახლებული „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის პროცედურების" (2016 წ.) მიღება ადასტურებს საერთაშორისო სტანდარტებთან ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისობის გაუმჯობესებისკენ მიმართულ ძალისხმევას. ამ სამართლებრივი რეფორმების პარალელურად, დაინერგა სხვადასხვა დამცავი მექანიზმი, ინსტიტუციური მანდატები და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები. თუმცა, კვლავ მწირია ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ მუშაობს ეს ჩარჩოები პრაქტიკაში და რამდენად ეფექტურად პასუხობენ ისინი იმ ბავშვების საჭიროებებს, რომლებიც სექსუალური ძალადობის რისკის ქვეშ არიან ან დაზარალდნენ სექსუალური ძალადობის შედეგად.

წინამდებარე კვლევა ჩატარდა საქართველოს ბავშვთა დაცვის სისტემის საერთაშორისო ვალდებულებებთან შესაბამისობაში მოყვანის მიმდინარე ძალისხმევის ფარგლებში. მიუხედავად იმისა, რომ სამართლებრივმა და ინსტიტუციურმა რეფორმებმა საფუძველი ჩაუყარა უფრო მძლავრ რეაგირებას, იმის გამო, რომ ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის ფაქტებს მუდმივად აქვს ადგილი როგორც ფიზიკურ, ისე ციფრულ გარემოში, აუცილებელია შესწავლა, თუ როგორ ფუნქციონირებს დაცვის ღონისძიებები პრაქტიკაში.

კვლევის მიზანი და ამოცანები

კვლევა შემუშავდა იმისათვის, რომ უზრუნველყოს ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის პრევენციისა და მასზე რეაგირების კუთხით საქართველოს მიერ

გაწეული ძალისხმევის ყოვლისმომცველი ანალიზი. იგი აერთიანებს საკანონმდებლო და პოლიტიკის ჩარჩოების მიმოხილვასა და თვისებრივ საველე კვლევას და აფასებს, თუ როგორ აისახება საერთაშორისო კონვენციებით ნაკისრი ვალდებულებები პრაქტიკაში და რა ბარიერები აფერხებს მათ აღსრულებას.

კერძოდ, ანგარიში შეისწავლის, თუ როგორ ახდენენ მართლმსაჯულების, განათლებისა და სოციალური სექტორის ძირითადი აქტორები ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის იდენტიფიცირებას, შეტყობინებასა და მასზე რეაგირებას, და რა გამოცდილება აქვთ ბავშვებს და ოჯახებს დაცვის მთლიან სისტემასთან ურთიერთობის კუთხით. დოკუმენტი სცდება კანონებისა და პოლიტიკის მიმოხილვას და იკვლევს იმ ქცევით, პროცედურულ და ინსტიტუციურ დინამიკას, რომელიც განსაზღვრავს სისტემის ფუნქციონირებას ადგილზე. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სამართლებრივ ვალდებულებებსა და პრაქტიკას შორის შეუსაბამობას, ასევე იმას, არის თუ არა არსებული სისტემა საკმარისად აღჭურვილი, რათა უპასუხოს როგორც ტრადიციულ, ისე ძალადობის ახალ ფორმებს, მათ შორის ძალადობას ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით.

იმის გათვალისწინებით, რომ ხშირად არსებობს განსხვავება სასურველ და რეალურ ქცევას შორის, კვლევამ შეისწავლა დისონანსი ბავშვთა დაცვის არსებულ გარემოში დაგეგმილ და დაკვირვებად ქცევებს შორის. ეს მოიცავდა ისეთი ფაქტორების შესწავლას, როგორიცაა სოციალური ნორმები, საზოგადოების დამოკიდებულებები და პრაქტიკული ბარიერები, რომლებმაც შესაძლოა ხელი შეუშალოს პოლიტიკის პრაქტიკაში გატარებას.

შესაბამისად, წინამდებარე კვლევის მიზნებია:

- საქართველოს კანონმდებლობისა და პროცედურების ბავშვთა დაცვის საერთაშორისო და რეგიონულ სტანდარტებთან შესაბამისობის შესწავლა;
- დაცვის სისტემაში მომუშავე პროფესიონალების როლისა და გამოცდილების ანალიზი;
- პრევენციის, იდენტიფიცირების, რეაგირების, გამოძიებისა და რეაბილიტაციის პროცესში არსებული ძირითადი მიღწევების, ხარვეზებისა და გამოწვევების გამოვლენა;
- რეკომენდაციების შემუშავება პრევენციისა და რეაგირების უფრო ინტეგრირებული, მისაწვდომი და ბავშვზე ორიენტირებული მიდგომის ჩამოსაყალიბებლად.

ანგარიშის სტრუქტურა

ანგარიში თემატურადაა სტრუქტურირებული. **რეზიუმესა** და წინამდებარე **შესავალს** მოსდევს მეთოდოლოგიის შესახებ თავი, რომელიც მიმოიხილავს

კვლევის საერთო მიდგომას და აერთიანებს კანონმდებლობის და პოლიტიკის მეორეულ ანალიზსა და თვისებრივ საველე სამუშაოებს. **სამაგიდე კვლევა** აფასებს, თუ რამდენად შეესაბამება საქართველოს საკანონმდებლო და პოლიტიკის ჩარჩო საერთაშორისო სტანდარტებს. **საველე კვლევის** მიგნებები აჯამებს პროფესიონალების, ბავშვებისა და მზრუნველების გამოცდილებას და წარმოაჩენს როგორც სისტემის პროგრესს, ისე მასში არსებულ ხარვეზებს. ანგარიში სრულდება **რეკომენდაციებით**, რომლებიც მიზნად ისახავს სამართლებრივი სიზუსტის გაზრდას, სერვისებზე მისაწვდომობის გაუმჯობესებას, ინსტიტუციური კოორდინაციის გაძლიერებას და ბავშვზე უფრო მეტად მორგებული და ეფექტური დაცვის სისტემის განვითარების მხარდაჭერას.

მეთოდოლოგია

წინამდებარე ანალიზი ეფუძნება ძირითადი საკანონმდებლო და პოლიტიკის დოკუმენტების თემატურ მიმოხილვას და ასახავს 2015-2025 წლების განვითარებებს. საველე სამუშაოები ჩატარდა 2024 წლის ნოემბერსა და დეკემბერში, საქართველოს რამდენიმე რეგიონში.

კვლევამ შეისწავლა ძირითადი დაინტერესებული მხარეების, მათ შორის იურისტების, სოციალური მუშაკების, პედაგოგების, მშობლებისა და ბავშვების სპეციფიკური ქცევა ამ არსებული კანონმდებლობის ფარგლებში. კვლევის ამოცანები იყო: **საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო და პოლიტიკის ჩარჩოების ანალიზი** - იმის შეფასება, თუ რამდენად შეესაბამება საქართველოს საკანონმდებლო და პოლიტიკის ჩარჩოები ბავშვთა დაცვის საერთაშორისო სტანდარტებს, განსაკუთრებით კი ლანზაროტეს კონვენციას; **პოლიტიკისა და ქცევის ურთიერთქმედების შესწავლა** - იმ სპეციფიკური ქცევების შეფასება, რომელთა წახალისების მიზანს ემსახურება საქართველოში მოქმედი ბავშვთა დაცვის პოლიტიკა, მათი არსებობა პრაქტიკაში და ის ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობს ან აფერხებს მათ დამკვიდრებას; **სასურველი ქცევის დამაბრკოლებელი ბარიერებისა და ხელშემწყობი ფაქტორების იდენტიფიცირება** - იმ სოციალური, კულტურული და სისტემური ფაქტორების კვლევა, რომლებიც წარმოადგენენ სასურველი ქცევის დამაბრკოლებელ ან ხელშემწყობ ფაქტორებს. **ბავშვთა დაცვის სისტემების გაუმჯობესება** - იმ საკანონმდებლო და სისტემური ცვლილებების შესახებ რეკომენდაციების შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობს სასურველ ქცევით შედეგებს და ბავშვთა დაცვის ღონისძიებებს პრაქტიკაში უფრო ეფექტურსა და განხორციელებადს გახდის.

წინამდებარე კვლევაში გამოყენებული იქნა **შერეული მეთოდოლოგია**, რომელიც აერთიანებს **სამაგიდე კვლევასა** და **თვისებრივი მონაცემთა შეგროვების**

მეთოდებს, რათა უზრუნველყოფილიყო როგორც პოლიტიკის ჩარჩოების, ისე მათი პრაქტიკული იმპლემენტაციის ყოვლისმომცველი ანალიზი:

- **სამაგიდე კვლევა** მოიცავდა **საქართველოში მოქმედი ბავშვთა დაცვის კანონმდებლობის, პოლიტიკისა და საერთაშორისო ჩარჩოების** სიღრმისეულ ანალიზს. სამაგიდე კვლევის საფუძველზე გაანალიზდა, თუ როგორ იყო დაგეგმილი პოლიტიკის ფუნქციონირება და გამოვლინდა პოტენციური ხარვეზები საკანონმდებლო მიზნებსა და პრაქტიკაში აღსრულებას შორის;
- **თვისებრივი მონაცემების შეგროვება** მოიცავდა **დისკუსიებს ფოკუს-ჯგუფებში (FGDs) და ინტერვიუებს ძირითად ინფორმატორებთან (KIIs),** რათა შესწავლილიყო დაინტერესებული მხარეების უშუალო გამოცდილება ბავშვთა დაცვის სისტემასთან მიმართებით, მათი აღქმა პოლიტიკის ეფექტურობის შესახებ და იმპლემენტაციის ბარიერები. კვლევის მიდგომა აერთიანებდა **სოციალური და ქცევითი ცვლილების (SBC)** ძირითად პრინციპებს. საველე სამუშაოები ჩატარდა 2024 წლის ნოემბერსა და დეკემბერში, საქართველოს რამდენიმე რეგიონში. თვისებრივი მონაცემები შეგროვდა **11 ფოკუს-ჯგუფისა და 6 ძირითად ინფორმატორთან** ინტერვიუს მეშვეობით, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 100-მდე ადამიანმა მართლმსაჯულების, განათლების, სოციალური და ციფრული სექტორებიდან, ასევე მშობლებმა და ბავშვებმა. შერჩევის მიზანი იყო რეგიონული, ქალაქის/სოფლისა და ინსტიტუციური მრავალფეროვნების უზრუნველყოფა. ჯგუფები დაკომპლექტებული იყო ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის პრევენციაში, იდენტიფიცირებასა და რეაგირებაში ჩართული პროფესიონალებით, ასევე მზრუნველებითა და მოზარდებით როგორც სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან, ისე თემზე დაფუძნებული სერვისებიდან.[1]

---

[1] *თვისებრივ კვლევაში მონაწილეობდა ფოკუს-ჯგუფების 93 მონაწილე და 7 ძირითადი ინფორმატორი.* ***ფოკუს-ჯგუფები (FGD) მოიცავდა:*** *(1)* ***მართლმსაჯულების სექტორი*** *– სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 4 გამომძიებელი, 5 პროკურორი და 6 ადვოკატი ადვოკატთა ასოციაციიდან და იურიდიული დახმარების სამსახურიდან (ჯგუფები 1-3/17 მონაწილე); (2)* ***სოციალური სექტორი*** *– ბავშვთა დაცვის სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების 11 წარმომადგენელი, მათ შორის სერვისის მიმწოდებლები, და სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს 10 წარმომადგენელი (ჯგუფები 4-5/21 მონაწილე); (3)* ***განათლების სექტორი*** *– 6 სკოლის მასწავლებელი და 7 საბავშვო ბაღის აღმზრდელი (იმერეთიდან, თბილისიდან, კახეთიდან, სამცხე-ჯავახეთიდან) და 6 საგანმანათლებლო რესურს-ოფიცერი (მანდატურები, სოციალური მუშაკები და ფსიქოლოგები) (ჯგუფები 6-7/19 მონაწილე); (4)* ***16 მშობელი და მეურვე*** *იმავე რეგიონებიდან (ჯგუფები 8-9/16 მონაწილე); (5) 14-17 წლის ასაკის* ***ბავშვები****, 11 გოგონა და 9 ვაჟი (იმერეთიდან, თბილისიდან, კახეთიდან, სამცხე-ჯავახეთიდან და გურიიდან) (ჯგუფები 10-11/20 მონაწილე). ინტერვიუები* ***ძირითად ინფორმატორებთან (KII)*** *მოიცავდა: პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის 2 წარმომადგენელს, ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების 1 ექსპერტს, სახალხო*



სურათი 1 ინდივიდუალური, სოციალური და მატერიალური (ISM) ფაქტორების მოდელი

კვლევის შეზღუდვები შემდეგნაირად განისაზღვრა: **დროის სიმცირე** – მონაცემთა შეგროვების პერიოდი შეზღუდული იყო, რამაც შეამცირა განმეორებითი ინტერვიუების ჩატარების შესაძლებლობა; **თემის სენსიტიურობა** – საკითხის სენსიტიურობიდან გამომდინარე, ზოგიერთმა მონაწილემ სავარაუდოდ თავი შეიკავა სრული ინფორმაციის გაზიარებისგან; **წარმომადგენლობითობა** – მიუხედავად იმისა, რომ მაქსიმალური ძალისხმევა იქნა გაწეული სხვადასხვა ჯგუფის ჩასართავად, ლოგისტიკური სირთულეების გამო გარკვეული ჯგუფები სავარაუდოდ ნაკლებად იყვნენ წარმოდგენილნი; **დაინტერესებული მხარეების არამონაწილეობა** – შინაგან საქმეთა სამინისტრომ (მათ შორის გამომძიებლებმა) და **ციფრული მმართველობის** წარმომადგენლებმა უარი განაცხადეს კვლევაში მონაწილეობაზე. გარდა ამისა, მსხვილმა **ინტერნეტ კომპანიებმა** არ უპასუხეს თანამშრომლობის მიმართვებს ჩართულობის თაობაზე; **დაფარვის შეზღუდვები** – დროის სიმცირის გამო, მკვლევარმა კვლევაში ვერ ჩართო მუნიციპალური სოციალური მუშაკები და სამედიცინო ექსპერტები. თუმცა, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ასპექტებს ნაწილობრივ მოიცავდა საგამოძიებო პროცედურების შესახებ დისკუსიები; **მსხვერპლთა პერსპექტივების გამორიცხვა** – თემის სენსიტიურობიდან გამომდინარე, კვლევაში მონაწილეობის მისაღებად არ ყოფილან მოწვეულნი ბავშვები, რომლებიც სექსუალური ძალადობის მსხვერპლნი გახდნენ. შესაბამისად, კვლევა პირდაპირ არ ასახავს მსხვერპლთა გამოცდილებას, ბავშვების გამოცდილება მოცული იქნა მშობლების ჩართულობის

დამცველის აპარატის 1 წარმომადგენელს (ბავშვის უფლებათა დეპარტამენტი), 2 მოსამართლესა და კომუნიკაციების კომისიის 1 წარმომადგენელს. მონაცემთა შეგროვება სრულად განხორციელდა ონლაინ, Zoom-ის მეშვეობით. მონაცემთა კოდირება და ანალიზი მოხდა MAXQDA პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით, ინდივიდუალურ, სოციალურ და სისტემურ დონეზე გამოვლენილი ბარიერების მიხედვით.

მეშვეობით და უფრო ზოგადად, ბავშვთა უსაფრთხოების, შეტყობინების მექანიზმებისა და დაცვის სისტემების შესახებ მათ პერსპექტივებზე ფოკუსირების გზით.

საკითხის სენსიტიურობის გათვალისწინებით, **კვლევის ეთიკის** ჭრილში განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა ეთიკურ გარანტიებს. ყველა მონაწილისგან მიღებულ იქნა ინფორმირებული თანხმობა და მკაცრად იყო უზრუნველყოფილი კონფიდენციალურობა მათი უფლებებისა და კეთილდღეობის დასაცავად. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მოწყვლადი ჯგუფების დაცვას, რათა მონაწილეობას ზიანი არ მიეყენებინა მათთვის. კვლევითი ჯგუფის ყველა წევრი, რომელსაც ჰქონდა წვდომა მონაწილეებთან ან მონაცემებთან, იცავდა ევროპის საბჭოს ბავშვთა დაცვის პოლიტიკას.[2]

პროცესის განმავლობაში კრიტიკულად ფასდებოდა **მკვლევრის პოზიცია და პოტენციური გავლენა კვლევაზე.** კვლევითმა ჯგუფმა შეინარჩუნა ობიექტურობა, რათა წინასწარ ჩამოყალიბებულ შეხედულებებს გავლენა არ მოეხდინა მიგნებებსა თუ ანალიზზე.

მიგნებების საფუძველზე ჩამოყალიბდა რეკომენდაციები ეროვნული უწყებებისა და შესაბამისი დაინტერესებული მხარეებისთვის. შემოთავაზებული რეკომენდაციები ყურადღებას ამახვილებს ორ ძირითად სფეროზე: (1) პოლიტიკის და კანონმდებლობის დონეზე განსახორციელებელი ცვლილებები – როგორ შეიძლება გადაიხედოს პოლიტიკა, რათა უკეთ იქნას ასახული დაინტერესებულ მხარეთა ქცევის რეალობები და აღმოიფხვრას გამოვლენილი ბარიერები; (2) **იმპლემენტაცია და სისტემური ცვლილებები** – რა ცვლილებებია საჭირო იმგვარი გარემოს შესაქმნელად, რომელიც უკეთ შეუწყობს ხელს სასურველ ქცევებს.

---

[2] ***დაცვის ღონისძიებები*** *მოიცავდა შემდეგ ეთიკურ პრინციპებს: ინფორმირებული თანხმობა და ნებაყოფლობითი მონაწილეობა; კონფიდენციალურობა და ანონიმურობა; მონაცემთა უსაფრთხო და ეთიკური დამუშავება; და მონაწილეთა კეთილდღეობა. მონაწილეობის მიღებამდე ყველა პირმა მიიღო საინფორმაციო ფურცელი და თანხმობის ფორმა (დანართი N4), მათ ჰქონდათ საკმარისი დრო დოკუმენტების გასაცნობად. ბავშვების მონაწილეობისთვის სავალდებულო იყო მშობლის თანხმობა.*

ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის პრევენცია და მასზე რეაგირება საქართველოში: პროგრესი, ხარვეზები და რეკომენდაციები

მომდევნო თავები — სამაგიდე კვლევა და საველე კვლევის მიგნებები — გვთავაზობს სექსუალური ძალადობისგან ბავშვთა დაცვის საქართველოს სამართლებრივი და პრაქტიკული ჩარჩოების ყოვლისმომცველ ანალიზს.

სამაგიდე კვლევა შეისწავლის საქართველოს იმ საკანონმდებლო და პოლიტიკის ინსტრუმენტებს, რომლებიც ეხება ბავშვთა მიმართ სექსუალურ ძალადობას, და ყურადღებას ამახვილებს მათ შესაბამისობაზე საერთაშორისო და რეგიონულ სტანდარტებთან. იგი მოიცავს 2015-დან 2025 წლამდე პერიოდში განხორციელებულ ცვლილებებს და იკვლევს ეროვნულ კანონმდებლობას პრევენციის, იდენტიფიცირების, რეაგირებისა და რეაბილიტაციის კუთხით, მათ შორის ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით ჩადენილ ძალადობასთან მიმართებით. მიმოხილვა ავლენს როგორც პროგრესს, ისე ხარვეზებს სამართლებრივი სიზუსტის, უწყებათაშორისი კოორდინაციისა და ბავშვზე მორგებული აღსრულების თვალსაზრისით.

საველე კვლევის ნაწილში წარმოდგენილია ბავშვებთან, მზრუნველებთან და პროფესიონალებთან — მათ შორის სახელმწიფო უწყებების, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, პედაგოგებთან, იურისტებთან და ბავშვთა დაცვის ექსპერტებთან — ჩატარებული ინტერვიუებისა და ფოკუს-ჯგუფების ძირითადი მიგნებები. იგი გვაწვდის ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ ხორციელდება ბავშვთა დაცვის ღონისძიებები პრაქტიკაში, რამდენად ეფექტურია ისინი მსხვერპლი ბავშვების დაცვის და ძალადობის პრევენციის კუთხით.

მიგნებები ხაზს უსვამს მნიშვნელოვან პროგრესს და ამავდროულად, ავლენს სისტემურ გამოწვევებს, რომლებიც აფერხებს ეფექტურ დაცვას, მაგალითად, აღსრულების შეზღუდვები, სერვისების მისაწვდომობის ხარვეზები, რესურსების სიმცირე და საზოგადოებაში დამკვიდრებული დამოკიდებულებები. ეს ხედვები მნიშვნელოვნად განამტკიცებს სამაგიდე კვლევის შედეგებს, რამეთუ თვალსაჩინოს ხდის, თუ როგორ მუშაობს სამართლებრივი და პოლიტიკის ჩარჩოები რეალობაში.

ძლიერი მხარეებისა და არსებული ბარიერების იდენტიფიცირების გზით, ანალიზი ავლენს იმ ძირითად სფეროებს, სადაც საჭიროა ცვლილებების განხორციელება და გვთავაზობს ქმედით რეკომენდაციებს საქართველოს ბავშვთა დაცვის სისტემის

გასაძლიერებლად, განსაკუთრებით ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის პრევენციის, იდენტიფიცირებისა და მასზე რეაგირების მიმართულებით.

1. სამაგიდე კვლევა: ბავშვთა მიმართ სექსუალურ ძალადობასთან ბრძოლის საერთაშორისო, რეგიონული და ადგილობრივი ჩარჩოები

1.1. საერთაშორისო და რეგიონული ჩარჩოები ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის შესახებ

ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ მიმართული საქართველოს სამართლებრივი ჩარჩო ჩამოყალიბდა არაერთი საერთაშორისო და რეგიონული კონვენციითა და შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების მიხედვით. ეს დოკუმენტები აწესებს როგორც პრევენციულ ღონისძიებებს, ისე მსხვერპლ ბავშვთა დაცვისა და მხარდაჭერის ვალდებულებებს.

საერთაშორისო დონეზე, ***გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია (UNCRC),*** რომლის რატიფიცირებაც საქართველომ მოახდინა **1994** წელს, განსაზღვრავს ბავშვთა დაცვის ყოვლისმომცველ გარანტიებს და ავალდებულებს ქვეყნებს, უზრუნველყონ ბავშვის სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დაცვა. ეს ჩარჩო საფუძვლად უდევს ბავშვთა დაცვის ეროვნულ პოლიტიკას, მათ შორის ძალადობისა და უგულებელყოფის წინააღმდეგ მიმართულ ზომებს (გაერო, 1989).

აღნიშნულ ჩარჩოს განამტკიცებს ***CRC-ის ფაკულტატური ოქმი ბავშვებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის), ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ (OPSC).*** საქართველომ მისი რატიფიცირება 2005 წელს მოახდინა. ოქმი აწესებს მიზნობრივ ვალდებულებებს ექსპლუატაციის მძიმე ფორმების წინააღმდეგ და ითხოვს მკაცრი ეროვნული ზომების მიღებას ბავშვთა ტრეფიკინგის, პროსტიტუციისა და პორნოგრაფიის წინააღმდეგ (გაერო, 2000).

კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (CEDAW) საქართველოს მიერ რატიფიცირებულია 1994 წელს. მიუხედავად იმისა, რომ იგი ძირითადად ქალთა უფლებებზეა ფოკუსირებული, კონვენცია ეხება გოგონათა ტრეფიკინგისა და ექსპლუატაციის საკითხებსაც. CEDAW კონვენციით დადგენილი ვალდებულებები ეხება ბავშვთა დაცვას, განსაკუთრებით, იმ გოგონების შემთხვევაში, რომლებიც ტრეფიკინგისა და ძალადობის მიმართ მოწყვლადნი არიან (გაერო, 1979).

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) კონვენცია ბავშვთა შრომის უკიდურესი ფორმების შესახებ, რომელიც საქართველოს მიერ რატიფიცირებულია 2002 წელს, ქვეყნებს ავალდებულებს, აღმოფხვრან ბავშვთა შრომითი ექსპლუატაციის პრაქტიკა, მათ შორის იძულებითი და სახიფათო შრომა. ეს კონვენცია კვეთაშია ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისგან დაცვის მექანიზმებთან, რადგან ეხება იმ შრომით პირობებს, რომლებიც ზრდის ბავშვთა მიმართ ძალადობის რისკს (ILO, 1999).

რეგიონულ დონეზე ***ევროპის საბჭოს კონვენცია ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისგან დაცვის შესახებ (ლანზაროტეს კონვენცია),*** რომელიც საქართველოს მიერ რატიფიცირებულია 2014 წელს, ერთ-ერთი ყველაზე ყოვლისმომცველი ჩარჩოა, რომელიც სპეციალურად ბავშვთა მიმართ სექსუალურ ძალადობას ეხება. კონვენცია ადგენს ძირითად ვალდებულებებს **კრიმინალიზაციის, მსხვერპლთა მხარდაჭერის, დამცავი მხარდაჭერის, პრევენციული ღონისძიებების, მონიტორინგისა და საერთაშორისო თანამშრომლობის მიმართულებით** (ევროპის საბჭო, 2007). აღნიშნული ვალდებულებები, ერთობლიობაში, მიზნად ისახავს ერთიანი და მკაცრი რეაგირების მექანიზმის ჩამოყალიბებას, რათა უზრუნველყოფილ იქნას ბავშვთა დაცვა ექსპლუატაციისგან და დაინერგოს მყარი, თანმიმდევრული სტანდარტები.

ევროპის საბჭოს კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ (სტამბოლის კონვენცია), რომლის რატიფიცირებაც საქართველომ 2017 წელს მოახდინა, ითხოვს მულტისექტორულ რეაგირებას გენდერულ ძალადობაზე, მათ შორის, ოჯახურ გარემოში ბავშვთა მიმართ განხორციელებულ ძალადობაზე (ევროპის საბჭო, 2011).

ევროპის საბჭოს კონვენცია კიბერდანაშაულის შესახებ (ბუდაპეშტის კონვენცია), რომელიც რატიფიცირებულია 2012 წელს, ქმნის სამართლებრივ საფუძველს ონლაინ გარემოში განხორციელებულ ბავშვთა მიმართ სექსუალურ ძალადობაზე რეაგირებისთვის, რაც მოიცავს ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის ამსახველი მასალის ფლობასა და გავრცელებას, ასევე ციფრული პლატფორმების მეშვეობით განხორციელებულ გრუმინგს (ევროპის საბჭო, 2001).

ეს ინსტრუმენტები ერთობლივად განსაზღვრავს საქართველოს ეროვნული კანონმდებლობის შინაარსს, რომელიც დეტალურად არის განხილული მომდევნო სექციაში.

1.2. საქართველოს ეროვნული ჩარჩო ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის შესახებ

ბავშვთა მიმართ სექსუალურ ძალადობასთან ბრძოლის ეროვნული სამართლებრივი ჩარჩო ასახავს ქვეყნის ერთგულებას ზემოხსენებული საერთაშორისო და რეგიონული ინსტრუმენტებისადმი და ქმნის საფუძველს პრევენციული ღონისძიებების, მსხვერპლთა დაცვისა და კოორდინირებული რეაგირებისთვის.

ბავშვის უფლებათა კოდექსს (2019) საქართველოს კანონმდებლობა მოჰყავს გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციასთან (CRC) შესაბამისობაში. იგი განსაზღვრავს ბავშვის უფლებებსა და თავისუფლებებს, აწესებს ბავშვთა დაცვის ყოვლისმომცველი სისტემის შექმნის ვალდებულებას და ხაზს უსვამს ბავშვის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობას. კოდექსი უზრუნველყოფს ბავშვთა უსაფრთხოებას, განათლებასა და ღირსებას და ავალდებულებს სახელმწიფო უწყებებს, დაიცვან მისი პრინციპები ბავშვებთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას. სპეციფიკური დებულებები ეხება სექსუალური ძალადობისა და ექსპლუატაციისგან დაცვას, პრევენციული ღონისძიებების გატარებას, მსხვერპლთა მხარდაჭერასა და ცნობიერების ამაღლების ინიციატივებს (ბავშვის უფლებათა კოდექსი, 2019). კოდექსი გვთავაზობს ბავშვთა დაცვის საკვანძო პრინციპს და **ბავშვის საუკეთესო ინტერესებს** განმარტავს, როგორც ბავშვის კეთილდღეობას, უსაფრთხოებას, ჯანმრთელობას, განათლებას, განვითარებას, სოციალურ, მორალურ და სხვა ინტერესებს, [...] რომლებიც ეფუძნება ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებს, ხორციელდება ბავშვის მონაწილეობით და მისი აზრის ჯეროვანი გათვალისწინებით (მუხლი 3).

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი (2015) ეხება კანონთან კონფლიქტში მყოფი, ასევე, დაზარალებული და მოწმე ბავშვების უფლებებს. იგი აწესებს სპეციალურ პროცედურებს ბავშვის ღირსების დასაცავად და მეორეული ვიქტიმიზაციის პრევენციისთვის, რაც უზრუნველყოფს შესაბამისობას გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციასა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ნორმებთან. კოდექსი განსაზღვრავს არასრულწლოვანთა გამოკითხვისა და დაკითხვის პროტოკოლებს (არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, 2015). კოდექსის თანახმად, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები გადამწყვეტი ფაქტორია ბავშვთა საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელებისას და ამ ინტერესებს განმარტავს როგორც უსაფრთხოების, კეთილდღეობის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, განვითარების, რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის და სხვა ინტერესებს, რომლებიც განისაზღვრება საერთაშორისო სტანდარტებისა და არასრულწლოვნის ინდივიდუალური მახასიათებლების შესაბამისად, მისი აზრის გათვალისწინებით (მუხლი 3).

ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურები ქმნის კოორდინირებულ მექანიზმს ბავშვთა მიმართ ძალადობაზე, მათ შორის სექსუალურ ძალადობაზე რეაგირებისთვის. ეს პროცედურები განსაზღვრავს სახელმწიფო

უწყებებისა და მუნიციპალური ორგანოების პასუხისმგებლობებს ძალადობის შემთხვევების გამოვლენის, შეტყობინებისა და მათზე რეაგირების პროცესში. დოკუმენტი ხაზს უსვამს დროული ინტერვენციისა და უწყებათაშორისი თანამშრომლობის მნიშვნელობას ბავშვზე ორიენტირებული მიდგომის უზრუნველსაყოფად (ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის პროცედურები, 2016).

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი აწესებს მკაცრ სასჯელს სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებისთვის, მათ შორის ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობისთვის, რაც მოიცავს ისეთ ქმედებებს, როგორიცაა გაუპატიურება, იძულება და სექსუალური ექსპლუატაცია. კოდექსის მუხლები ქმნის სამართლებრივ საფუძველს დამნაშავეთა სისხლისსამართლებრივი დევნისა და უზრუნველყოფს მართლმსაჯულების აღსრულებას მსხვერპლი ბავშვებისთვის (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 1999). ***საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი*** კი განსაზღვრავს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას არასრულწლოვანთა მიმართ განხორციელებული სექსუალური შევიწროებისთვის (საზოგადოებრივ ადგილებში).

საქართველოს კანონი ***სექსუალური თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ*** ასევე წარმოადგენს საკვანძო სამართლებრივ ინსტრუმენტს, რომლის მიზანია სექსუალური ძალადობის, მათ შორის არასრულწლოვანთა მიმართ ჩადენილი დანაშაულების პრევენცია, მათთან ბრძოლა, საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დაცვა (2020).

საქართველოს კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ არეგულირებს პერსონალური მონაცემების დამუშავებას საქართველოში, ბავშვებთან დაკავშირებული განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების ჩათვლით. გარდა ამისა, იგი აწესებს გარანტიებს მონაცემთა კონფიდენციალურობის დასაცავად (კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ, 2023).

1.3. საქართველოს მიერ საერთაშორისო და რეგიონული ინსტრუმენტების ფარგლებში აღებული ვალდებულებები

1.3.1. ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის განმარტება

საერთაშორისო დონეზე, ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის საკითხი რეგულირდება ისეთი კონვენციებით, როგორიცაა **გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია (CRC), ლანზაროტეს კონვენცია** და **CRC-ის ფაკულტატური ოქმი ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის**

შესახებ (OPSC). აღნიშნული ჩარჩოები ბავშვთა მიმართ სექსუალურ ძალადობას ერთობლივად განმარტავენ, როგორც ბავშვის წინააღმდეგ მიმართულ ნებისმიერ ექსპლუატაციურ ან ზიანის მომტან ქმედებას, რაც მოიცავს გრუმინგს, სექსუალური ხასიათის ქმედებებს, ტრეფიკინგს და ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის ამსახველი მასალის (CSAM) წარმოებას ან გავრცელებას (ევროპის საბჭო, 2007; გაერო, 1989, 2000). ძალაუფლების თანდაყოლილი დისბალანსი და ბავშვების მოწყვლადობა აბათილებს თანხმობის ნებისმიერ ცნებას (ევროპის საბჭო, 2007).

გაეროს კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ (UNCRC) წევრ ქვეყნებს ავალდებულებს, დაიცვან ბავშვები *„ყველა ფორმის ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ძალადობისაგან, შეურაცხყოფისა თუ ბოროტმოქმედებისაგან, იმისაგან, რომ ბავშვი მოკლებული იყო ზრუნვას ან დაუდევრად ექცეოდნენ, უხეშად ეპყრობოდნენ ან ექსპლუატაციას უწევდნენ, ან სექსუალურად ძალადობდნენ"* (გაერო, 1989, მუხლი 19). **ლანზაროტეს კონვენცია** წევრი სახელმწიფოებისგან ითხოვს, მოახდინონ *ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა* და *სექსუალური ძალადობის ყველა ფორმის* კრიმინალიზაცია, გრუმინგისა და ციფრული ტექნოლოგიებით ჩადენილი დანაშაულების ჩათვლით. ამ დებულებებს განამტკიცებს **ბუდაპეშტის კონვენცია კიბერდანაშაულის შესახებ,** რომელიც ეხება ისეთ სამართალდარღვევებს, როგორიცაა ციფრული პლატფორმების მეშვეობით CSAM-ის შექმნა, ფლობა და გავრცელება, რითაც ებრძვის ტექნოლოგიების გამოყენებით ჩადენილ ძალადობას (ევროპის საბჭო, 2001).

ეროვნულ სამართლებრივ ჩარჩოში ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობა ყოვლისმომცველადაა განმარტებული **სისხლის სამართლის კოდექსში, ბავშვის უფლებათა კოდექსში, ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებსა** და **კანონში სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ. CRC** ქმნის ზოგად განმარტებას, რომელიც აღიარებს ბავშვის თანდაყოლილ უფლებას, იყოს დაცული ნებისმიერი ფორმის ძალადობისგან, ექსპლუატაციისა თუ ზიანისგან, იქნება ეს ფიზიკური, ემოციური თუ სექსუალური ხასიათის.

2016 წლის „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების" თანახმად, ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობა განიმარტება, როგორც *ბავშვთან სქესობრივი კავშირი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან მსხვერპლის უმწეობის გამოყენებით, ასევე სრულწლოვანის მიერ წინასწარი შეცნობით 16 წლამდე ბავშვთან ძალადობის გარეშე სქესობრივი კავშირი, სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება ან გარყვნილი ქმედება ბავშვის მიმართ.*

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, როგორც ეროვნულ კონტექსტში სქესობრივი დანაშაულების განმსაზღვრელი ძირითადი სამართლებრივი

ინსტრუმენტი, ადგენს კონკრეტულ სისხლისსამართლებრივ დანაშაულებს, რომლებიც ეხება ბავშვთა მიმართ სექსუალურ ძალადობას. იგი ფარავს ქმედებათა ფართო სპექტრს, მათ შორის გრუმინგს, უშუალოდ ძალადობას და ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის ამსახველი მასალის (CSAM) შექმნას, ფლობასა და გავრცელებას (საქართველოს პარლამენტი, 1999). 137–141-ე მუხლები განმარტავს არასრულწლოვანთა მიმართ სექსუალურ ძალადობას, მათ შორის: მუხლი 137: გაუპატიურება; მუხლი 138: სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედება (რომელიც არ მოიცავს სქესობრივი კავშირის/შელწევის განზრახვას); მუხლი 139: სექსუალური ხასიათის შელწევის იძულება; მუხლი 140: სექსუალური ხასიათის შელწევა 16 წლის ასაკს მიუღწეველი პირის სხეულში; მუხლი 141: გარყვნილი ქმედება. 157-ე პრიმა მუხლი კრძალავს პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფას. გარდა ამისა, 255–255[2] მუხლები კრძალავს პორნოგრაფიული ნაწარმოების ან არასრულწლოვნის გამოსახულების შემცველი სხვა საგნის უკანონო დამზადებას ან გასაღებას, არასრულწლოვნის ჩაბმას პორნოგრაფიული ნაწარმოების ან სხვა მსგავსი საგნის უკანონო დამზადებასა და გასაღებაში, ასევე არასრულწლოვნისთვის სექსუალური ხასიათის შეხვედრის შეთავაზებას. თუმცა, ტერმინ „არასრულწლოვნის გამოსახულების შემცველი პორნოგრაფიის" გამოყენება არ არის თანხვედრაში საერთაშორისოდ აღიარებულ ტერმინთან - „ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის ამსახველი მასალა" (CSAM) (ლუქსემბურგის სახელმძღვანელო პრინციპები, 2016). ეს უკანასკნელი ხაზს უსვამს მასალის ექსპლუატაციურ ბუნებას და მიზნად ისახავს სამართლებრივი განმარტებების გლობალურ სტანდარტიზაციას (ლუქსემბურგის სახელმძღვანელო პრინციპები, 2016; ევროპის საბჭო, 2007). ამასთანავე, ამ მოძველებული ტერმინის CSAM-ით ჩანაცვლებას, საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობისა და ამგვარი დანაშაულების სიმძიმის უკეთ ასახვის მიზნით, ხაზს უსვამს ლანზაროტეს კომიტეტის 2023 წლის ანგარიში საქართველოს მიერ ვალდებულებების შესრულების შესახებ. საქართველოს კანონი **სექსუალური თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ** განამტკიცებს სექსუალური ძალადობის აღნიშნულ განმარტებებს, განმეორებითი სექსუალური ძალადობის პრევენციის სისტემისა და რეგულაციების დადგენის კონტექსტში.

1.3.2. ბავშვთა დამცავი უფლებების დადგენა

როგორც საერთაშორისო კონვენციები, ისე საქართველოს კანონმდებლობა ხაზს უსვამს ბავშვის უფლებების დასაცავად მყარი სამართლებრივი და ინსტიტუციური მექანიზმების შექმნის აუცილებლობას.

საკვანძო საერთაშორისო ინსტრუმენტები, როგორიცაა **UNCRC, OPSC, ლანზაროტეს კონვენცია** და **ბუდაპეშტის კონვენცია,** განსაზღვრავს სახელმწიფოს

ვალდებულებებს, დაიცვას ბავშვები ძალადობისგან. **გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია** (1989, მუხლი 19) მოითხოვს ყოვლისმომცველი ზომების მიღებას, მათ შორის პრევენციას, ადრეულ გამოვლენასა და რეაბილიტაციას. **ლანზაროტეს კონვენცია** (2007, მუხლები 10–14) აფართოებს ამ მოთხოვნებს და აქცენტს აკეთებს მონაცემთა შეგროვების ინსტიტუციურ მექანიზმებზე, ბავშვზე მორგებულ სასამართლო პროცედურებსა და მულტიდისციპლინურ თანამშრომლობაზე.

აღნიშნული კონვენციები, ასევე, ხაზს უსვამს მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი ბავშვების დაცვის მნიშვნელობას, მათ შორის სახელმწიფო ზრუნვის სისტემაში მყოფი, სიღარიბის, მიგრაციის ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების. ქვეყნებს მოეთხოვებათ ბავშვზე ორიენტირებული პოლიტიკის გატარება, რომელიც შეესაბამება არადისკრიმინაციულობის, ბავშვის საუკეთესო ინტერესებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მისი მონაწილეობის პრინციპებს (ევროპის საბჭო, 2007; გაერო, 1989; გაერო, 2000).

საქართველოს ბავშვის უფლებათა კოდექსი (2019) აცხადებს, რომ ყველა ბავშვს აქვს *უფლება, დაცული იყოს ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობისგან, ... ექსპლუატაციისგან, ბავშვთა ტრეფიკინგისა და ნებისმიერი სხვა ფორმის ძალადობისგან ნებისმიერ ... ადგილას ან სივრცეში, მათ შორის, ინტერნეტში* (მუხლი 53(1)). მე-5 (1) და მე-6 მუხლები გადაწყვეტილების მიღებისას პრიორიტეტს ანიჭებს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს და ხაზს უსვამს მის ფსიქოლოგიურ, ფიზიკურ და სოციალურ კეთილდღეობას. კოდექსი ამკვიდრებს ბავშვზე ორიენტირებულ მიდგომას და ავალდებულებს ხელისუფლების ყველა შტოს, პატივი სცეს და დაიცვას ბავშვის უფლებები, რითაც საქართველოს სამართლებრივი ჩარჩო გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციასთან (UNCRC) შესაბამისობაში მოჰყავს.

CRC განსაზღვრავს სახელმწიფო უწყებების ვალდებულებებს, თუმცა, მულტიდისციპლინური თანამშრომლობის მექანიზმები კვლავ ნაკლებად განვითარებულია, რაც განაპირობებს არათანმიმდევრულ იმპლემენტაციას. მართალია, 56-ე მუხლის მე-5 პუნქტი მოითხოვს ზომების მიღებას ყველა ბავშვის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაცავად, ჩარჩო მაინც განიცდის სპეციფიკური პრევენციული და რეაგირების ღონისძიებების ნაკლებობას მოწყვლადი ჯგუფებისთვის, როგორიცაა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ან სახელმწიფო ზრუნვის სისტემაში მყოფი ბავშვები. ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის არარსებობა კიდევ უფრო ასუსტებს დაცვის მექანიზმებს. ლანზაროტეს კომიტეტის 2023 წლის ანგარიში ქვეყანას მოუწოდებს საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერებისკენ, რათა ეფექტურად ებრძოლოს ბავშვთა ექსპლუატაციას და მხარი დაუჭიროს მსხვერპლებს.

ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურები (2016) ქმნის სტრუქტურირებულ ჩარჩოს უწყებათაშორისი თანამშრომლობისთვის, რომელიც მიზნად ისახავს ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევების გამოვლენასა და მათზე რეაგირებას. ეს მექანიზმები ითვალისწინებს კოორდინირებულ მოქმედებას სოციალურ სამსახურებს, ჯანდაცვის პროვაიდერებს, სამართალდამცავ ორგანოებსა და საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის, რათა უზრუნველყოფილ იქნას დროული და ეფექტური ინტერვენცია. მთავარი მიზანია ბავშვთა დაცვა ძალადობის ყველა ფორმისგან როგორც ოჯახში, ისე მის ფარგლებს გარეთ, სექტორებს შორის ჩამოყალიბებული კოორდინირებული და ეფექტური სისტემების მეშვეობით. მიუხედავად ყოვლისმომცველი სტრუქტურისა, რეფერირების მექანიზმი ავლენს მნიშვნელოვან ხარვეზებს სექტორულ კოორდინაციასა და დროულ შეტყობინებაში, რაც დეტალურად იქნება განხილული ქვემოთ.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს საერთაშორისო ინსტრუმენტებში დაცულ პრინციპებს: ბავშვის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობას, უწყებათაშორისი თანამშრომლობის ხელშეწყობას და ძალადობის, ექსპლუატაციისა და შეურაცხყოფის საკითხებზე რეაგირებას. თუმცა, მნიშვნელოვანი ხარვეზები რჩება მულტიდისციპლინური მექანიზმების დანერგვაში, მოწყვლადობის ფაქტორების გათვალისწინებასა და ინსტიტუციურ ცვლილებებთან ადაპტაციაში, რაც ავლენს სფეროებს, სადაც საერთაშორისო ჩარჩოებთან შესაბამისობა ჯერ კიდევ არასაკმარისია.

1.3.3. პრევენციული მექანიზმები და სტრატეგიები

პრევენცია წარმოადგენს ბავშვთა სექსუალური ძალადობისგან დაცვისკენ მიმართულ პირველი რიგის ღონისძიებას. იგი მოითხოვს მყარ სამართლებრივ ჩარჩოსა და ყოვლისმომცველ, მულტისექტორულ მიდგომას, რომელიც რეაგირებას მოახდენს ძალადობის წამახალისებელ სისტემურ, სოციალურ და კულტურულ ფაქტორებზე. საქართველოში მნიშვნელოვნად იგრძნობა საერთაშორისო ვალდებულებებზე და შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაზე დაფუძნებული პრევენციული მექანიზმების ნაკლებობა, ფორმალურ (დოკუმენტურ) დონეზეც კი.

ცნობიერების ამაღლება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის პრევენციისთვის, რადგან იგი გულისხმობს საზოგადოების განათლებას, მავნე ნორმების შეცვლასა და პროაქტიული ზომების წახალისებას. ეფექტური კამპანიები ინდივიდებს აძლევს შესაძლებლობას, ამოიცნონ რისკები, შეატყობინონ ძალადობის შესახებ და მხარი დაუჭირონ მსხვერპლებს, რაც ერთდროულად პასუხობს პრევენციისა და დაცვის ამოცანებს (ევროპის საბჭო, 2007, მუხლი 8). **ბავშვის უფლებათა კოდექსი** (2019) ასახავს ამ მიდგომას და აწესებს საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართული ინიციატივების

განხორციელების ვალდებულებას ბავშვთა მიმართ ძალადობასთან საბრძოლველად, რაც გულისხმობს მედიისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობას ამ ძალისხმევაში (მუხლები 60(3)(დ), 60(3)(ზ)).

განათლება გადამწყვეტ როლს ასრულებს პრევენციაში — იგი აღჭურავს ბავშვებს, პედაგოგებსა და თემს რისკების ამოცნობისა და მათი შემცირების უნარებით. **ლანზაროტეს კონვენციის** მე-6 მუხლი (2007) ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს, დაწყებითი და საშუალო განათლების საფეხურზე მყოფ ბავშვებს მიაწოდონ ასაკის შესაბამისი ინფორმაცია სექსუალური ექსპლუატაციის, ძალადობისა და თავდაცვის სტრატეგიების შესახებ. ეს პროცესი უნდა წარიმართოს მშობლებთან თანამშრომლობით და სექსუალური განათლების უფრო ფართო პროგრამების ფარგლებში. **ლანზაროტეს კომიტეტის 2023 წლის ანგარიშში** მოცემულია რეკომენდაცია, რომ საქართველომ უზრუნველყოს ამ ინფორმაციის თანმიმდევრული მიწოდება როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური განათლების პირობებში, განსაკუთრებული აქცენტით საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით (ICT) ჩადენილი ძალადობის რისკებზე. ამ ხარვეზების აღმოსაფხვრელად, საქართველომ პრიორიტეტულად უნდა მიიჩნიოს პრევენციული საგანმანათლებლო კურიკულუმების შემუშავება და პედაგოგების მომზადება შინაარსის სენსიტიურად მიწოდების მიზნით. თანაბარი მისაწვდომობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია მოწყვლადი თემების მოცვა და მასალის ადაპტირება მრავალფეროვანი კულტურული და ლინგვისტური კონტექსტის გათვალისწინებით. ინტერაქციული აქტივობები და თანატოლთა განათლების ინიციატივები, როგორც ეს **ლანზაროტეს კომიტეტის 2023 წლის ანგარიშშია მითითებული,** კიდევ უფრო გააძლიერებს ბავშვების ჩართულობასა და გაცნობიერებულობას.

საქართველოს **ბავშვის უფლებათა კოდექსი** (2019) ითვალისწინებს საგანმანათლებლო ინიციატივებს ძალადობის, მათ შორის, ონლაინ ძალადობის შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად, ასევე არაძალადობრივი კომუნიკაციისა და კონფლიქტების მოგვარების ხელშეწყობის მიზნით (მუხლი 60(3)(დ)). ეს ყველაფერი მიმართულია უსაფრთხო და ძალადობისგან თავისუფალი საგანმანათლებლო გარემოს ჩამოყალიბებისკენ (მუხლი 60(3)(გ)). თუმცა, არსებულ სასწავლო პროგრამებში კვლავ არ არის წარმოდგენილი სპეციფიკური მოდულები პირადი უსაფრთხოების, ძალადობის პრევენციისა თუ საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებთან (ICT) დაკავშირებული რისკების შესახებ.[3] **ლანზაროტეს**

---

[3] განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე ტექნოლოგიების სტანდარტი ითვალისწინებს მოსწავლეებში იმ ტრანსვერსალური უნარების განვითარებას, რომლებიც საჭიროა ციფრულ სივრცეში საკუთარი და სხვათა უფლებების დასაცავად. ეს მოიცავს კონფიდენციალურობას, პერსონალური ინფორმაციის დაცვას, პროლების

კომიტეტის 2023 წლის ანგარიში მოუწოდებს საქართველოს, მოახდინოს უსაფრთხოების შესახებ ყოვლისმომცველი განათლების ინტეგრირება ეროვნულ სასწავლო გეგმაში და ამ პროცესში ჩართოს მშობლები და მზრუნველები (რეკომენდაცია IX-5).

საინფორმაციო კამპანიები გადამწყვეტ როლს თამაშობს ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის გარშემო არსებული დუმილის დარღვევაში. ისინი აწვდიან საზოგადოებას ინფორმაციას ძალადობის გავრცელების რისკებისა და შედეგების შესახებ, ამასთანავე ხელს უწყობენ ქცევით ცვლილებებსა და კოლექტიურ ქმედებებს (Global Partnership to End Violence Against Children, 2017). **ლანზაროტეს კონვენცია** (2007, მუხლი 8) ავალდებულებს სახელმწიფოებს, ჩაატარონ საჯარო კამპანიები სექსუალური ექსპლუატაციის საკითხებზე, რასაც ეხმიანება **ბავშვის უფლებათა კოდექსის** მოთხოვნა დამცავი პრაქტიკის პოპულარიზაციის თაობაზე (მუხლი 60(3)(d)).

საქართველოში არსებული კამპანიები ხშირად ფრაგმენტულია და ისინი ნაკლებად მოიცავს სოფლებსა და მოწყვლადი ჯგუფებით დასახლებულ ტერიტორიებს. **საქართველოს სახალხო დამცველმა** (2021) აღნიშნა, რომ ბევრი ასეთი ინიციატივა არ ფარავსICT-ის გამოყენებით ჩადენილი ექსპლუატაციის საკითხებს ან არ სთავაზობს საზოგადოებას ინსტრუმენტებს ძალადობის ამოცნობისა და შეტყობინებისთვის. აუცილებელია ამ კამპანიების გაფართოება და სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობა **ლანზაროტეს კომიტეტის** (2023) რეკომენდაციის და ბავშვის უფლებათა კოდექსის შესაბამისად. კომიტეტმა საქართველოს მოუწოდა, ხელი შეუწყოს არასამთავრობო ორგანიზაციებთან მდგრადი პარტნიორობის ჩამოყალიბებას, მხარი დაუჭიროს ბავშვზე ორიენტირებულ პროექტებს და ჩართოს თავად ბავშვები ცნობიერების ამაღლების მასალების მომზადების პროცესში (რეკომენდაციები VII-3, VII-6).

პედაგოგები ასევე ცენტრალურ როლს ასრულებენ, თუმცა მათ ხშირად აკლიათ სპეციალიზებული მომზადება საკლასო ოთახებში სენსიტიურ თემებზე სასაუბროდ. პროფესიული განვითარების პროგრამები აუცილებელია, რათა მასწავლებლებმა შეძლონ უსაფრთხო გარემოს შექმნა და ასაკის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება. თემის ჩართულობა კიდევ უფრო აძლიერებს ამ ძალისხმევას და ქმნის ბავშვის გარშემო მხარდაჭერის ქსელს. ლანზაროტეს კომიტეტმა (2023) გასცა რეკომენდაცია ადგილობრივ სამოქალაქო ორგანიზაციებთან პარტნიორობის გაფართოების

უსაფრთხო მართვას, ვირტუალურ და რეალურ ცხოვრებას შორის ბალანსის დაცვას, საინფორმაციო ეთიკის ნორმების დაცვას, სოციალურ პასუხისმგებლობას და პირადი სივრცის დაცვას ონლაინ სერვისებით სარგებლობისას.

შესახებ, რათა უკეთ აღმოიფხვრას ეს ხარვეზები და უზრუნველყოფილ იქნას ცნობიერების ამაღლების ინიციატივების მდგრადობა (რეკომენდაცია VII-4).

განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო ხაზს უსვამს, რომ ეროვნული სასწავლო გეგმა ისეთი საგნების მეშვეობით, როგორიცაა „მე და საზოგადოება", „სამოქალაქო განათლება" და „ტექნოლოგია", ფარავს ზოგად თემებს: პირად უსაფრთხოებას, ბულინგს, კიბერბულინგსა და თანასწორობას, თუმცა, ეს გაკვეთილები **ზოგადი ხასიათისაა** და არ აწვდის ბავშვებს კონკრეტულ ცოდნასა თუ უნარებს ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის (CSA) შესახებ. ისეთი კრიტიკული სფეროები, როგორიცაა შეუსაბამო სექსუალური ქცევის ამოცნობა, სხეულის ავტონომიის გააზრება და ძალადობის შესახებ უსაფრთხო შეტყობინების გზების ცოდნა, სისტემურად არ არის მოცული. შედეგად, ბავშვებს სავარაუდოდ აკლიათ ის ფუნდამენტური ცოდნა და პრაქტიკული ინსტრუმენტები, რომლებიც აუცილებელია სექსუალური ძალადობის შემთხვევების პრევენციისთვის, იდენტიფიცირებისა თუ გამჟღავნებისთვის.

მედია ასევე წარმოადგენს საზოგადოებრივი ცვლილებების მძლავრ ინსტრუმენტს, რომელიც აყალიბებს საზოგადოებრივ აღქმას და ამცირებს ბავშვთა მიმართ სექსუალურ ძალადობასთან დაკავშირებულ სტიგმას. **ლანზაროტეს კონვენციის** მე-9 მუხლი (2007) ხაზს უსვამს ცნობიერების ამაღლებაში მედიის მონაწილეობის მნიშვნელობას და ყურადღებას ამახვილებს ეთიკური გაშუქების საჭიროებაზე, რომელიც პატივს სცემს ბავშვის უფლებებსა და კონფიდენციალურობას. საქართველოს **ბავშვის უფლებათა კოდექსის** 60(3)(ზ) მუხლი იმეორებს ამ პრინციპს და ხაზს უსვამს მედიის როლს ექსპლუატაციის საკითხების ეთიკურ გაშუქებაში. თუმცა, საქართველოში მედიაგაშუქებას ხშირად აკლია სიღრმე და სენსაციებზე ორიენტირებულობის ან კონფიდენციალურობის დარღვევის გამო, შესაძლოა უნებლიეთ გამოიწვიოს მსხვერპლთა რეტრავმატიზაცია (საქართველოს სახალხო დამცველი, 2021). მედიის როლის გასაძლიერებლად საქართველომ პრიორიტეტულად უნდა მიიჩნიოს ჟურნალისტების ყოვლისმომცველი გადამზადება ეთიკურ გაშუქებაზე, ინფორმირებულ თხრობასა და ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის შემთხვევების სენსიტიურ მართვაზე. **ლანზაროტეს კომიტეტმა** (2023) გასცა რეკომენდაცია კოორდინირებული მედიაკამპანიების ჩატარების შესახებ ICT-ის გამოყენებით ჩადენილი ძალადობისა და პრევენციული ღონისძიებების შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად; ისეთი კამპანიებისა, რომლებიც უზრუნველყოფს მისაწვდომობას ბავშვებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის (რეკომენდაციები VIII-3, VIII-4).

ძალადობის პრევენციისკენ მიმართული ძალისხმევის გაძლიერება შესაძლებელია სტრატეგიების „სოციალური და ქცევითი ცვლილების" (SBC) მოდელის პრინციპებთან თანხვედრაში მოყვანის გზით. აღნიშნული მოდელი აქცენტს აკეთებს

ინდივიდუალურ ქცევებზე, ინტერპერსონალურ ურთიერთობებზე, თემის ჩართულობასა და სისტემურ ფაქტორებზე.

1.3.4. პასუხისმგებლობა ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის ჩადენისთვის

ლანზაროტეს კონვენცია სახელმწიფოებს ავალდებულებს, მიიღონ კანონები, რომლებიც დაარეგულირებს ბავშვების რეკრუტირებას სექსუალური მიზნებისთვის და ციფრულ ექსპლუატაციას, რაც გულისხმობს ნულოვან ტოლერანტობასა და მკაცრ სასჯელებს (მუხლები 18–23). **ბუდაპეშტის კონვენცია კიბერდანაშაულის შესახებ** (2001) სახელმწიფოებისგან ითხოვს CSAM-თან დაკავშირებული დანაშაულების (წარმოება, ფლობა, გავრცელება) კრიმინალიზაციას, ასევე, ისეთ ახალ საფრთხეებზე რეაგირებას, როგორიცაა ძალადობის პირდაპირი ტრანსლაცია და ონლაინ გრუმინგი (მუხლი 9). ანალოგიურად, **OPSC** აწესებს ვალდებულებას ტრეფიკინგის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ძალადობის ამსახველი მასალების კრიმინალიზაციაზე, რაც თანხვედრაშია საერთაშორისო სტანდარტებთან და ხაზს უსვამს ძლიერი საგამოძიებო და სისხლისსამართლებრივი დევნის მექანიზმების საჭიროებას (გაერთიანებული ერები, 2000, მუხლები 1–3).

სტამბოლის კონვენცია (მუხლი 36) ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს, მიიღონ აუცილებელი საკანონმდებლო ან სხვა ზომები, რათა უზრუნველყოფილ იქნას შემდეგი განზრახი ქმედებების კრიმინალიზაცია: (a) სხვა პირის სხეულში სექსუალური ხასიათის ვაგინალური, ანალური ან ორალური შეღწევა სხეულის ნებისმიერი ნაწილით ან საგნით, შესაბამისი პირის თანხმობის გარეშე; (b) სხვა პირის მიმართ სექსუალური ხასიათის სხვა ქმედების განხორციელება, ამ პირის თანხმობის გარეშე; (c) სხვა პირის იძულება, თანხმობის გარეშე განახორციელოს სექსუალური ხასიათის ქმედება მესამე პირთან.

საქართველოს სამართლებრივი ჩარჩო ავლენს ამ საერთაშორისო სტანდარტებთან ნაწილობრივ შესაბამისობას. **საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი** (1999), როგორც უკვე აღინიშნა, ახდენს ექსპლუატაციური ქცევის ფართო სპექტრის კრიმინალიზაციას:

- **137–141-ე მუხლები** ეხება სექსუალურ ძალადობას, მათ შორის გაუპატიურებას, იძულებასა და გარყვნილ ქმედებებს. 16 წლამდე პირების მიმართ ჩადენილი დანაშაულებისთვის გათვალისწინებულია მკაცრი სასჯელი — 15-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთა. ეს დებულებები დაცვის გარანტიებს აფართოებს მოწყვლადი ჯგუფებისა და სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების შემთხვევებზე. თუმცა, **საქართველოს სახალხო დამცველი** (2023) მიუთითებს

მნიშვნელოვან ხარვეზებზე სამართლებრივ კვალიფიკაციაში: დანაშაულთა უმეტესობა ეფუძნება ძალადობას, მუქარას ან მსხვერპლის უმწეობას, რაც გამორიცხავს ისეთ ძალმომრეობით ფაქტორებს, როგორიცაა ნდობა, ავტორიტეტი ან გავლენა. CEDAW-ს კომიტეტმა და GREVIO-მ ასევე გააკრიტიკეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში სექსუალური ძალადობის განმარტებისას თანხმობის პრინციპის არარსებობა და გასცეს რეკომენდაციები შესაბამისი ცვლილებების შესახებ.[4] გარდა ამისა, ქართულ კანონმდებლობაში არ არის მკაფიოდ განსაზღვრული მინიმალური ასაკი, რომლის ქვემოთაც ბავშვის თანხმობა ავტომატურად ბათილად ჩაითვლება, რაც ვერ პასუხობს საერთაშორისო სტანდარტებს, რომლებიც ყველა ბავშვს იცავს ექსპლუატაციისგან.

- **255-ე მუხლი** კრძალავს არასრულწლოვანთა მონაწილეობით მასალების წარმოებას, ფლობასა და გავრცელებას, თუმცა იყენებს ტერმინებს, როგორიცაა „არასრულწლოვნის გამოსახულების შემცველი პორნოგრაფია" ნაცვლად საერთაშორისოდ აღიარებული ტერმინისა „ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის ამსახველი მასალა (CSAM)" (ევროპის საბჭო, 2001; ლუქსემბურგის სახელმძღვანელო პრინციპები, 2016). ამასთანავე, **ლანზაროტეს კომიტეტის 2023 წლის ანგარიში** რეკომენდაციას უწევს ტერმინის „ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის ამსახველი მასალა" დამკვიდრებას მეტი სიცხადისთვის და ძლიერი სამართლებრივი ჩარჩოს შექმნისთვის, ვინაიდან ტერმინი „ბავშვთა პორნოგრაფია" ამცირებს ამ დანაშაულთა სიმძიმეს და ასუსტებს პრევენციისა და დაცვის ძალისხმევას.

- ბავშვთა ქორწინება კრიმინალიზებულია **სისხლის სამართლის კოდექსის** 150[1]-ე მუხლითა და სამოქალაქო კოდექსის 1108-ე მუხლით, რომლითაც ქორწინების მინიმალურ ასაკად 18 წელი განისაზღვრა. აღნიშნული შესაბამისობაშია საერთაშორისო სტანდარტებთან, მათ შორის **სტამბოლის კონვენციასთან** (2017), რომელიც ნაადრევ ქორწინებას გენდერულ ძალადობად განიხილავს. ბავშვთა ქორწინება ხშირად მოიცავს სექსუალურ კავშირს არასრულწლოვანთან, რაც სისხლის სამართლის კოდექსის 140-ე მუხლით პირდაპირ განიმარტება, როგორც ძალადობა (კერძოდ, აკრძალულია *სექსუალური ხასიათის შეღწევა 16 წლის ასაკს მიუღწეველი პირის სხეულში*". **ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურები** (2016) იძულებით ქორწინებას დამატებით აკლასიფიცირებს, როგორც იძულებით

[4] *იხილეთ GREVIO-ს საქართველოს შეფასების საბაზისო ანგარიში, 2022; CEDAW-ს კომიტეტის დასკვნითი შენიშვნები საქართველოს მეექვსე პერიოდული ანგარიშის შესახებ, 2023.*

ქმედებას, რომელიც არღვევს ბავშვის უფლებებს (მუხლი 4.თ.ე.), რაც კიდევ უფრო განამტკიცებს მისი, როგორც სექსუალური ძალადობის კვალიფიკაციას.

- **საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი** აწესებს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას არასრულწლოვანთა მიმართ (საზოგადოებრივ ადგილებში) განხორციელებული სექსუალური შევიწროებისთვის.

1.3.5. ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა

ბავშვზე ორიენტირებული საგამოძიებო პრაქტიკა

საერთაშორისო სტანდარტები, მათ შორის **ლანზაროტეს კონვენცია** და **გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები მართლმსაჯულების შესახებ მოწმე და მსხვერპლი ბავშვების მონაწილეობით**, ადგენს მკაფიო პრინციპებს ბავშვზე მორგებული გამოძიებისთვის. აღნიშნული ჩარჩოები ხაზს უსვამს, რომ მსხვერპლ ბავშვთა გამოკითხვა უნდა ჩატარდეს სპეციალიზებულ გარემოში, მათი რაოდენობა უნდა იყოს შეზღუდული და უნდა განხორციელდეს ჩაწერა რეტრავმატიზაციის თავიდან აცილებისთვის (ევროპის საბჭო, 2007, მუხლები 30–35; გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭო, 2005, მუხლები 8–10). **UNCRC-ის ფაკულტატური ოქმი** დამატებით ავალდებულებს სახელმწიფოებს, აცნობონ მსხვერპლებს მათი უფლებების შესახებ და უზრუნველყონ ყოვლისმომცველი მხარდაჭერა სასამართლო პროცესის განმავლობაში (გაერთიანებული ერები, 2000, მუხლი 8). ეს ინსტრუმენტები ერთობლივად უსვამს ხაზს ეფექტურ სამართლებრივ რეაგირებასა და ბავშვის ემოციურ და ფსიქოლოგიურ კეთილდღეობას შორის ბალანსის დაცვის მნიშვნელობას.

საქართველოს **არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი** (2015) ამ პრინციპების ასახვას უზრუნველყოფს გამოკითხვის პროცესში ფსიქოლოგებისა და კანონიერი წარმომადგენლების სავალდებულო მონაწილეობით, ასევე ჩვენების ვიდეოჩაწერის შესაძლებლობით განმეორებითი გამოკითხვების მინიმუმამდე დასაყვანად (არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი 52). ბარნაჰუსის (Barnahus) მოდელის დანერგვა თბილისში 2022 წელს წინ გადადგმული ნაბიჯი იყო გამოკითხვისა და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზისთვის ბავშვზე მორგებული გარემოს შესაქმნელად. მართალია, მოდელი ძირითადად დედაქალაქში ფუნქციონირებს, მაგრამ რეგიონებში პროკურორებს და გამომძიებლებს შეუძლიათ ინდივიდუალურ შემთხვევებში ისარგებლონ თბილისის ბარნაჰუსის სერვისებით, როდესაც ადგილზე საგამოძიებო ან საპროცესო მოქმედებების ჩატარება

შეუძლებელია, ან როდესაც მათი ცენტრში ჩატარება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს შეესაბამება (პროკურატურის სტანდარტული საოპერაციო პროცედურა (SOP) N36, 2 მარტი, 2022). ამ პროცედურების თანახმად, სხვადასხვა ექსპერტიზა, მათ შორის სამედიცინო შეფასება და ნიმუშის აღება, უნდა ჩატარდეს ცენტრში და არა სხვადასხვა დაწესებულებებში. შესაბამისად, მსხვერპლი ბავშვების ტრანსპორტირება დიდ მანძილზე (რეგიონებიდან თბილისში) არ შეესაბამება ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების პრინციპებს, რადგან ამან შეიძლება გაზარდოს სტრესი და რეტრავმატიზაციის რისკი.

სამართალდამცავი ორგანოებისა და სასამართლოს როლი მსხვერპლთა დაცვაში

სამართალდამცავი ორგანოებისა და სასამართლო ხელისუფლების როლი ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა დაცვაში ხაზგასმულია საერთაშორისო კონვენციებში, რომლებიც ხაზს უსვამენ ტრავმაზე ორიენტირებული და ბავშვზე მორგებული პრაქტიკის მნიშვნელობას. **ლანზაროტეს კონვენცია** და **გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები მართლმსაჯულების შესახებ მოწმე და მსხვერპლი ბავშვების მონაწილეობით** მხარს უჭერს იმ მიდგომას, რომ გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის პროცესში პრიორიტეტი ბავშვის საუკეთესო ინტერესებს უნდა მიენიჭოს. ეს გულისხმობს ისეთ ზომებს, როგორიცაა დახურული სასამართლო სხდომები, უსაფრთხო გარემო გამოკითხვისთვის და მუდმივი მხარდაჭერა მთელი სამართლებრივი პროცესის განმავლობაში, რათა თავიდან იქნას აცილებული ტრავმის გაღრმავება (ევროპის საბჭო, 2007, მუხლები 30–31; გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭო, 2005).

საქართველოში **არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი (2015)**, ითვალისწინებს რა ამ პრინციპებს, გამოძიების პროცესში ფსიქოლოგების, კანონიერი წარმომადგენლებისა და მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორების სავალდებულო მონაწილეობას ითხოვს (მუხლი 52). თუმცა, **საქართველოს სახალხო დამცველმა** (2021) არაერთხელ მიუთითა განხორციელების ხარვეზებზე, როგორიცაა გამოკითხვის დროს გადამზადებული ფსიქოლოგების არარსებობა და პროცედურული შეუსაბამობების გამო ჩვენების ვიდეო ჩანაწერის სასამართლო პროცესზე დაუშვებლად ცნობა (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009, მუხლი 113). გარდა ამისა, სასამართლო პროცესებისთვის ბავშვის მომზადება ხშირად მხოლოდ პროკურორებზეა დამოკიდებული, რომელთაც ხშირ შემთხვევაში ხუთდღიანი ტრენინგ-პროგრამები აქვთ გავლილი, რაც არასაკმარისია ტრავმირებული ბავშვების კომპლექსურ საჭიროებებთან გასამკლავებლად (საქართველოს სახალხო დამცველი, 2021). პოლიციის თანამშრომელთა სპეციალიზაცია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში, ასევე

არ არის საკმარისი, რომ გამომძიებლები სათანადო უნარებით აღჭურვოს ბავშვთა საქმეების „ბავშვის საუკეთესო ინტერესების" პრინციპების შესაბამისად საწარმოებლად. შსს-ს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 2023 წლის სექტემბრიდან სისტემაში დამტკიცდა გამომძიებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების ორგანიზების წესი. აღნიშნულ კურსებში, გათვალისწინებულია სწავლებები ისეთ პრიორიტეტულ საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა: ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობა, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები, ცალკეული საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების ჩატარების თავისებურებები (მათ შორის, შშმ ქალთა და გოგონათა და არასრულწლოვნის მიმართ ჩადენილი სქესობრივი დანაშაულები) და სხვა. გამოწვევებს კიდევ უფრო ართულებს ბავშვზე მორგებული სივრცეების ნაკლებობა. რაიონული სასამართლოების უმეტესობას არ გააჩნია მსგავსი ინფრასტრუქტურა, რაც ზრდის მეორადი ვიქტიმიზაციის რისკს (საქართველოს სახალხო დამცველი, 2021). შსს-ს მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, 2020 წლიდან თბილისისა და 2024 წლიდან აჭარის პოლიციის დეპარტამენტებში მოქმედებს არასრულწლოვნების საქმეთა სპეციალური დანაყოფები, რაც მისასალმებელია და მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული პრაქტიკა მთელი ქვეყნის მასშტაბით გავრცელდეს. ბავშვზე მორგებულ სივრცეებზე საყოველთაო წვდომა და სრულყოფილი მომზადება გადამწყვეტია მოწმე ბავშვების უფლებებისა და კეთილდღეობის დასაცავად.

პროკურატურის ინფორმაციით, 2021 წლიდან სქესობრივ დანაშაულებზე სამართლებრივი დევნის წარმოებისთვის შეიქმნა სპეციალური ჩარჩო: ამგვარ საქმეებზე მუშაობის უფლება აქვთ მხოლოდ იმ პროკურორებსა და პროკურატურის გამომძიებლებს, რომლებმაც გაიარეს შესაბამისი მომზადება. სქესობრივი დანაშაულების, მათ შორის, ბავშვთა მიმართ ჩადენილი დანაშაულების გამოძიება და დევნა წარიმართება სპეციალური სახელმძღვანელო ინსტრუქციების (გაიდლაინების) მიხედვით, რომელიც შეესაბამება სტამბოლის კონვენციის სტანდარტებს და ითვალისწინებს ბავშვთა მონაწილეობით მიმდინარე საქმეების თავისებურებებს. უწყება მუდმივ რეჟიმში ახორციელებს სქესობრივი დანაშაულების მონიტორინგს და დანერგილია მექანიზმები იმ საქმეების განსახილველად, რომლებშიც ბავშვები ფიგურირებენ; კერძოდ, შემოღებული იქნა პროკურორთა ორმაგი სპეციალიზაცია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში და სქესობრივ დანაშაულებში. ამ ღონისძიებებს განამტკიცებს ბარნაჰუსის მოდელი, რომელიც თბილისში მოქმედებს 2022 წლიდან და ბავშვზე მორგებულ ფსიქოსოციალურ მომსახურებას უზრუნველყოფს, ხოლო 2025 წელს შეიქმნა არასრულწლოვანთა საქმეების სამმართველო, რომელიც უშუალოდ ბავშვთა მიმართ და მიერ ჩადენილ დანაშაულებზე მუშაობს.

აღსანიშნავია, რომ შსს 2015 წლიდან სისტემატიურად ახორციელებს პოლიციელთა და გამომძიებელთა სპეციალიზაციის პროგრამას, რომელიც ბავშვთა დაცვისა და სექსუალური ძალადობის საკითხებს და ბავშვთა და მოზარდთა გამოკითხვის პროცესში NICHD პროტოკოლის გამოყენებასაც გულისხმობს. მისასალმებელია, 2024 წლიდან გამომძიებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსის დანერგვაც - "არასრულწლოვანთა გამოკითხვის სამართლებრივი და ფსიქოლოგიური ასპექტები". მიუხედავად იმისა, რომ ეს ინიციატივები მნიშვნელოვანი პროგრესია და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას ეფუძნება, სექსუალური ძალადობისა და ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის საკითხებში ეროვნულ დონეზე ბავშვთა მართლმსაჯულებაში ჩართული ყველა პირის სავალდებულო სპეციალიზაცია ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილად დანერგილი.

ციფრული დანაშაულის გამოვლენა და მტკიცებულებათა მოპოვება

ონლაინ გარემოში ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციის ზრდა ხაზს უსვამს ციფრული დანაშაულის გამოვლენისა და მტკიცებულებათა მოპოვების მექანიზმების გაუმჯობესების გადაუდებელ აუცილებლობას. **ბუდაპეშტის კონვენცია კიბერდანაშაულის შესახებ** (2001) ქმნის ყოვლისმომცველ ჩარჩოს ტექნოლოგიებით ჩადენილ დანაშაულებზე რეაგირებისთვის და აწესებს ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის ამსახველი მასალის (CSAM) კრიმინალიზაციის ვალდებულებას, რაც მოიცავს აღნიშნული მასალის წარმოებას, ფლობასა და გავრცელებას (ევროპის საბჭო, 2001, მუხლი 9). იგი ასევე ხაზს უსვამს საერთაშორისო თანამშრომლობის მნიშვნელობას ტრანსნაციონალურ დანაშაულთან ბრძოლაში და მიუთითებს საზღვართშორისი თანამშრომლობის საჭიროებაზე (ევროპის საბჭო, 2001, მუხლები 23–25).

საქართველოში **სისხლის სამართლის კოდექსის 255-ე მუხლი (1999)** ახდენს „არასრულწლოვნის გამოსახულების შემცველ პორნოგრაფიულ ნაწარმოებთან" დაკავშირებული დანაშაულების კრიმინალიზაციას, თუმცა არ მოიცავს ისეთ ახლად წარმოქმნილ საფრთხეებს, როგორიცაა ძალადობის პირდაპირი ტრანსლაცია ან დაშიფრული პლატფორმების გამოყენება. **ლანზაროტეს კონვენცია** განამტკიცებს აღნიშნულ ძალისხმევას და აქცენტს აკეთებს მსხვერპლზე ორიენტირებულ მიდგომებზე, რომლებიც ამცირებს ტრავმას და პრიორიტეტს ანიჭებს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს ციფრული გამოძიების პროცესში (ევროპის საბჭო, 2007, მუხლი 30).

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) გამოყენებით ჩადენილი დანაშაულების სფეროში შეინიშნება ექსპერტული ცოდნისა და გამოცდილების ნაკლებობა. ბავშვებთან დაკავშირებულ საქმეებს სპეციალიზებული გამომძიებლები, პროკურორები და სასამართლოები განიხილავენ (საქართველოს

სახალხო დამცველი, 2021), თუმცა მათ ყოველთვის არ აქვთ გავლილი სპეციალური ტრენინგი ICT-სთან დაკავშირებულ დანაშაულებზე.[5] მისასალმებელია საქართველოს მთავრობის მიერ 2024 წელს კიბერუსაფრთხოების ახალი ეროვნული სტრატეგიის (2024–2028 წწ.) დამტკიცება, რომელიც ითვალისწინებს ციფრული მტკიცებულებების სწორად შეგროვების და გამოყენების საკითხებს. მნიშვნელოვანია, რომ სტრატეგია ისევე, როგორც ბუდაპეშტის და ლანზაროტეს კონვენციებით გათვალისწინებული საკითხები პრაქტიკაში აღსრულდეს. **ლანზაროტეს კომიტეტის 2023 წლის ანგარიში** ითხოვს მსხვერპლთა იდენტიფიცირების სპეციალიზებული ქვედანაყოფების შექმნას, სამართალდამცავებისა და მოსამართლეების ყოვლისმომცველ გადამზადებას და ეროვნული კანონმდებლობის ჰარმონიზებას ბუდაპეშტისა და ლანზაროტეს კონვენციებთან. ამ ხარვეზების აღმოფხვრა მნიშვნელოვნად გააძლიერებს ციფრულ დანაშაულთან ბრძოლის მექანიზმებს.

კოორდინირებული რეაგირება და ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის ადრეული გამოვლენა

საერთაშორისო კონვენციები, მათ შორის **ლანზაროტეს კონვენცია** (2007, მუხლი 31 (1e)), **UNCRC-ის მე-13 ზოგადი კომენტარი** (2011), **ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო პრინციპები ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების შესახებ** (2010), **გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები მართლმსაჯულების შესახებ მოწმე და მსხვერპლი ბავშვების მონაწილეობით** (2005) და **სტამბოლის კონვენცია** (2011, მუხლი 50), ხაზს უსვამს ბავშვზე ორიენტირებული შეტყობინების სისტემების აუცილებლობას. აღნიშნული სისტემები უნდა იცავდნენ ბავშვის კონფიდენციალურობას და უზრუნველყოფდნენ დროულ მხარდაჭერას მისაწვდომი, უსაფრთხო არხების მეშვეობით. პროცესში ჩართულნი უნდა იყვნენ გადამზადებული პროფესიონალები, რომლებიც გამოიყენებენ ბავშვის ასაკის შესაბამის ენას და გაუწევენ მას ემოციურ მხარდაჭერას რევიქტიმიზაციის თავიდან ასაცილებლად.

საერთაშორისო ჩარჩოები, როგორიცაა **ლანზაროტეს კონვენცია** (2007) და **UNCRC-ის მე-13 ზოგადი კომენტარი** (2005) ასევე ხაზს უსვამს ინსტიტუციების პროაქტიულ როლს ძალადობის ადრეულ გამოვლენაში. ეს გულისხმობს

---

[5] პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 2025 წლის სექტემბრის მდგომარეობით, 2021-2025 წლებში ბავშვთა ონლაინ სექსუალური ძალადობის საკითხებზე ჩატარებულ 14 ტრენინგში მონაწილეობა მიიღო უწყების 45-მა თანამშრომელმა. პროკურატურამ, ასევე, აღნიშნა, რომ მოქმედებს სპეციალური სასწავლო კურსი კიბერდანაშაულსა და ციფრულ მტკიცებულებებზე, რომელიც ბავშვთა მიმართ ძალადობის საქმეებზე მომუშავე პროკურორებისთვისაც არის განკუთვნილი. შსს-ს ინფორმაციით, სპეციალიზაციის ტრენინგები ასევე ჩაუტარდათ შსს გამომძიებლებს ციფრული მტკიცებულებების ამოღებისა და პროცესუალური სტანდარტების დაცვით დამუშავების კუთხით.

განათლების, ჯანდაცვისა და სოციალური სერვისების სფეროში სპეციალისტების გადამზადებას, რათა მათ შეძლონ საგანგაშო ნიშნების ამოცნობა და ეფექტური რეაგირება. ინსტიტუციებს შორის მჭიდრო კოორდინაცია უზრუნველყოფს ინფორმაციის შეუფერხებელ გაცვლას და პრიორიტეტს ანიჭებს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს. შედარებით ახალი დოკუმენტი, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2023)8 ბავშვთა მიმართ ძალადობის შესახებ შეტყობინების სისტემების გაძლიერების თაობაზე, კიდევ უფრო მეტად უსვამს ხაზს მკაფიო, მისაწვდომი და ეფექტურ კოორდინაციაში მყოფი შეტყობინების მექანიზმების საჭიროებას. ამ თვალსაზრისით, საქართველოში არსებული რეფერირების პროცედურები მნიშვნელოვან საფუძველს ქმნის, თუმცა დოკუმენტური ანალიზი აჩვენებს, რომ ამ რეკომენდაციის სულისკვეთებასთან შემდგომი ჰარმონიზაცია გააძლიერებს უწყებათაშორის პრაქტიკასა და თანმიმდევრულობას.

აღნიშნული საერთაშორისო ჩარჩოები ხაზს უსვამენ რა ბავშვზე მორგებული შეტყობინების მექანიზმებისა და საკვანძო ინსტიტუტების პროაქტიული ჩართულობის მნიშვნელობას, აყალიბებენ ყოვლისმომცველ მიდგომას ადრეული გამოვლენისა და ეფექტური ინტერვენციისთვის. სავალდებულო შეტყობინების სისტემები, ინტეგრირებული ინსტიტუციური რეაგირება და წინა ხაზზე მომუშავე პროფესიონალთა სპეციალიზებული მომზადება კრიტიკული ელემენტებია ბავშვების ზიანისგან დასაცავად.

ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურები (2016) განსაზღვრავს ბავშვთა მიმართ ძალადობის გამოვლენისა და შეტყობინების მექანიზმებს, რაც უზრუნველყოფს სტრუქტურირებულ, უწყებათაშორის მიდგომას. მე-6 მუხლი ადგენს შეტყობინების ვალდებულებას ბავშვებთან მომუშავე პროფესიონალებისთვის, მათ შორის სოციალური მუშაკებისთვის, პედაგოგებისთვის, ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლებისა და სამართალდამცავებისთვის. იგი ხაზს უსვამს, რომ ყველა ინსტიტუტს, რომელსაც აქვს პირდაპირი შეხება ბავშვებთან ან მათ გარემოსთან, ეკისრება ძალადობის გამოვლენისა და შეტყობინების ვალდებულება (მუხლი 6.1). ამ ვალდებულების შეუსრულებლობა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას („რეფერირების პროცედურები", 2016, მუხლი 20). უფლებამოსილი ორგანოს მიერ ბავშვზე ძალადობის გამოვლენისა და შესაბამისი ორგანოებისთვის შეტყობინების ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად (მუხლი 172[6]). გარდა ამისა, დანაშაულის (მოცემულ შემთხვევაში, ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის) შეუტყობინებლობა ასევე ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 376).

ანალოგიურად, **ბავშვის უფლებათა კოდექსი** (2019) ქმნის მყარ სამართლებრივ საფუძველს ბავშვთა დასაცავად და ავალდებულებს სახელმწიფოს, მიიღოს ზომები ძალადობის პრევენციისა და მასზე რეაგირებისთვის (მუხლი 53). იგი ითვალისწინებს მექანიზმებს გამოვლენის, შეტყობინებისა და მსხვერპლი და მოწმე ბავშვების მეორეული ვიქტიმიზაციის პრევენციისთვის (მუხლი 61). განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ევალება ძალადობის პრევენციის სასკოლო პროგრამების შემუშავება (მუხლი 38), ხოლო სკოლებში სავალდებულოა ცხელი ხაზის არსებობა ძალადობის შეტყობინებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ კოდექსი მნიშვნელოვან მიღწევებს ასახავს, აღსანიშნავია, რომ 99-ე მუხლი მთავრობას ავალდებულებს 2020 წლის მარტისთვის შეემუშავებინა ბავშვთა მიმართ ძალადობის პრევენციის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რაც დღემდე შეუსრულებელია. ეს ხარვეზი წარმოადგენს კრიტიკულ ნაკლოვანებას ბავშვთა მიმართ ძალადობაზე კოორდინირებული ეროვნული რეაგირების უზრუნველყოფის პროცესში.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი (2015) მოიცავს ბავშვზე მორგებულ პროცედურებს, რომლებიც მიზნად ისახავს რევიქტიმიზაციის მინიმუმამდე დაყვანას. 23-ე მუხლი განსაზღვრავს პროფესიონალების, მათ შორის ფსიქოლოგებისა და მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორების როლს არასრულწლოვანი მსხვერპლის მხარდაჭერის პროცესში, საგამოძიებო და სასამართლო მოქმედებების დროს (არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, 2015, მუხლი 23). თუმცა, აღნიშნული ჩარჩო ძირითადად მართლმსაჯულების სექტორის ინტერვენციებზეა ფოკუსირებული და აკლია ყოვლისმომცველი სახელმძღვანელო პრინციპები სკოლებსა თუ ჯანდაცვის დაწესებულებებში ძალადობის უფრო ადრეული გამოვლენისთვის.

ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია და მისი შესაბამისი **სამოქმედო გეგმა** ხაზს უსვამს ბავშვთა მიმართ ძალადობის გამოვლენისა და რეაგირების მექანიზმების გაძლიერებას. ეს დოკუმენტები მოიცავს დებულებებს პროფესიონალთა გადამზადების გაზრდისა და ბავშვთა დაცვის შესახებ ცნობიერების ამაღლების თაობაზე (საქართველოს მთავრობა, 2022; საქართველოს მთავრობა, 2024). ამავდროულად, იმ ფაქტის გამო, რომ აღნიშნული დოკუმენტები ფოკუსირებულია ადამიანის უფლებათა ფართო სპექტრზე, ნაკლები ყურადღება ექცევა სექტორულ პასუხისმგებლობებს, როგორიცაა, მაგალითად, სკოლებისა და ჯანდაცვის პროვაიდერების როლი ძალადობის ადრეული ნიშნების იდენტიფიცირებაში.

კანონი ზოგადი განათლების შესახებ (2005) ავალდებულებს სკოლებს, შექმნან ბავშვისთვის უსაფრთხო გარემო და გადაჭრან ის პრობლემები, რომლებმაც შესაძლოა ხელი შეუშალოს მათ განვითარებას, ძალადობის ჩათვლით. საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოქმედი შეტყობინების სავალდებულო

მექანიზმები მიზნად ისახავს ძალადობის ადრეულ გამოვლენას (მუხლი 48.3 (3)). თუმცა, სექსუალური ძალადობის შემთხვევების იდენტიფიცირებისა და მათზე რეაგირების დეტალური პროტოკოლების არარსებობა ზღუდავს კანონის პრაქტიკულ გამოყენებას ამ კონკრეტულ სფეროში.

პერსონალურ მონაცემთა დაცვა ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის შემთხვევებში

პერსონალური მონაცემების დაცვა ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის საკითხებზე მუშაობისას კრიტიკულად მნიშვნელოვანი კომპონენტია, რადგან ის უზრუნველყოფს მსხვერპლი ბავშვების კონფიდენციალურობასა და ღირსებას, ამასთანავე უზრუნველყოფს ანგარიშვალდებულებას სენსიტიური ინფორმაციის დამუშავების პროცესში. საერთაშორისო ჩარჩოები, მათ შორის **ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაცია** (GDPR) (2016), ადგენს სენსიტიური ინფორმაციის მართვის სტანდარტებს. GDPR პერსონალურ მონაცემებს განმარტავს, როგორც „ნებისმიერ ინფორმაციას, რომელიც ეხება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს" (მუხლი 4(1)) და მოითხოვს მონაცემთა დამუშავებისას კანონიერების, გამჭვირვალობისა და კონფიდენციალურობის პრინციპების დაცვას (მუხლები 5–6). ანალოგიურად, **ლანზაროტეს კონვენცია** (2007) ხაზს უსვამს მსხვერპლი ბავშვების მონაცემთა კონფიდენციალურობას და აწესებს გარანტიებს მათი პირადი ცხოვრების, იდენტობისა და გამოსახულების დასაცავად (მუხლი 31(e)). აღნიშნული პრინციპები ასევე განმტკიცებულია **გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციით** (1989, მუხლი 16) და გაეროს სახელმძღვანელო პრინციპებით მართლმსაჯულების შესახებ მოწმე და მსხვერპლი ბავშვების მონაწილეობით (2005, მუხლები 8–10). და ბოლოს, **სტამბოლის კონვენცია** (2011) ეხება მონაცემთა დაცვას ქალთა და ბავშვთა მიმართ ძალადობის კონტექსტში. მისი 28-ე მუხლი მოითხოვს კონფიდენციალური, უსაფრთხო და მისაწვდომი შეტყობინების სისტემების არსებობას, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს პერსონალური ინფორმაციის დაცვის მნიშვნელობას ასეთ შემთხვევებში.

საქართველოს კანონი **„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ"** (2023) შეესაბამება ამ საერთაშორისო სტანდარტებს. იგი პერსონალურ მონაცემებს ფართოდ განმარტავს და მათში მოიაზრებს ისეთ სენსიტიურ კატეგორიებს, როგორიცაა ჯანმრთელობის მდგომარეობა, სექსუალური ცხოვრება და ნასამართლობა (მუხლი 3(1)). კანონი ადგენს მონაცემთა კანონიერი დამუშავების პრინციპებს, მათ შორის გამჭვირვალობას, მიზნობრივ შეზღუდვას, მონაცემთა მინიმიზაციასა და კონფიდენციალურობას (მუხლი 4). თუმცა, კანონი პირდაპირ არ ეხება ციფრულ საფრთხეებს, როგორიცაა გრუმინგი ან CSAM-ის გავრცელება, რაც წინააღმდეგობაში მოდის ლანზაროტეს კონვენციის 23-ე მუხლთან (2007), რომელიც

სახელმწიფოებს ონლაინ ექსპლუატაციისგან დაცვის მექანიზმების შექმნას ავალდებულებს

ბავშვის უფლებათა კოდექსი (2019) განამტკიცებს მონაცემთა დაცვას და კრძალავს იმ ინფორმაციის გავრცელებას, რომელმაც შესაძლოა მოახდინოს მსხვერპლი ბავშვის იდენტიფიცირება (მუხლი 71). იგი ასევე მოითხოვს მონაცემთა ერთიანი ელექტრონული სისტემების შექმნას ბავშვთა დაცვის მექანიზმების გასაუმჯობესებლად (მუხლი 83). მიუხედავად ამისა, კოდექსი არ ეხება კონკრეტულად ონლაინ ძალადობით გამოწვეულ გამოწვევებსა თუ ციფრული მტკიცებულებების გამოყენების საკითხებს.

ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურები (2016) და **არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი** (2015) დამატებით უზრუნველყოფს მონაცემთა უსაფრთხოებას. მართალია, ეს ჩარჩოები ხაზს უსვამს კონფიდენციალურობასა და უწყებათაშორის თანამშრომლობას, მათში მაინც არ არის გაწერილი დეტალური პროტოკოლები ციფრული მტკიცებულებების დაცვისა თუ ონლაინ ძალადობის შემთხვევებში მონაცემთა ტრანსსასაზღვრო გაცვლის შესახებ.

ქართულ კანონმდებლობაში განხორციელებული მნიშვნელოვანი გაუმჯობესების მიუხედავად, მონაცემთა დაცვის კუთხით ხარვეზები კვლავ არსებობს. **სახალხო დამცველმა** (2021) ყურადღება გაამახვილა სენსიტიური ინფორმაციის დაცვის კუთხით არსებულ ხარვეზებზე, განსაკუთრებით, ციფრული ექსპლუატაციის შემთხვევებში.

გარდა ამისა, **ლანზაროტეს კომიტეტმა** (2023) მოუწოდა საქართველოს, მიიღოს აუცილებელი საკანონმდებლო ან სხვა ზომები მონაცემთა შეგროვების მექანიზმების ან საკონტაქტო პუნქტების (focal points) შესაქმნელად ეროვნულ თუ ადგილობრივ დონეზე. ეს უნდა განხორციელდეს სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობით, რათა შესაძლებელი გახდეს ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობის ფენომენზე დაკვირვება და მისი შეფასება.

1.3.6. წვდომა იურიდიულ დახმარებასა და ფსიქოსოციალურ მხარდაჭერაზე

სექსუალური ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა ყოვლისმომცველი მხარდაჭერა ბავშვთა დაცვის სისტემების ფუნდამენტური ნაწილია, რაც გულისხმობს ფსიქოსოციალურ რეაბილიტაციასა და მართლმსაჯულებაზე მისაწვდომობის ინტეგრირებას (ევროპის საბჭო, 2007; გაერთიანებული ერები, 1989). ეროვნული სამართლებრივი ჩარჩო, მათ შორის **არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების**

კოდექსი (2015) და **ბავშვის უფლებათა კოდექსი** (2019), აყალიბებს მსხვერპლი ბავშვების დაცვის მექანიზმებს. თუმცა იმპლემენტაციის პროცესში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზები, განსაკუთრებით ფსიქოსოციალური მხარდაჭერისა და იურიდიულ დახმარებაზე თანაბარი მისაწვდომობის კუთხით, აფერხებს ამ მექანიზმების ეფექტურობას.

იურიდიული დახმარება მსხვერპლი ბავშვებისთვის

იურიდიული დახმარება კრიტიკული კომპონენტია მსხვერპლი ბავშვებისთვის მართლმსაჯულებისა და მათი დაცვის უზრუნველსაყოფად. საქართველოში **იურიდიული დახმარების სამსახური** — რომელსაც სახელმწიფო აფინანსებს — გარანტირებულს ხდის უფასო იურიდიულ მხარდაჭერას ძალადობის მსხვერპლი ყველა ბავშვისთვის. მომსახურება მოიცავს სამართლებრივ კონსულტაციას, წარმომადგენლობას სასამართლოში, ადმინისტრაციულ მხარდაჭერასა და სამართლებრივი დოკუმენტების მომზადებაში დახმარებას. **არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის** მე-15(1) მუხლი (2015) კიდევ უფრო განამტკიცებს ამ უფლებას და აწესებს სავალდებულო უფასო იურიდიულ დახმარებას სისხლის სამართლის პროცესში ჩართული ბავშვებისთვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მათ დამოუკიდებელი წარმომადგენელი ჰყავთ. **სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი** (2009) ამ დაცვის გარანტიებს ავრცელებს მოწმე და გამოსაკითხ ბავშვებზე, სპეციფიკურ დანაშაულებთან დაკავშირებით.

ამავდროულად, იურიდიული დახმარების სერვისები ქვეყანაში არათანაბრად არის განაწილებული. ურბანული ცენტრები, როგორიცაა თბილისი, სარგებლობენ უკეთესად აღჭურვილი სისტემებით, ხოლო სოფლად და მოწყვლადი ჯგუფებით დასახლებულ ტერიტორიებზე აღინიშნება გადამზადებული პროფესიონალების დეფიციტი და არასათანადო ინფრასტრუქტურა. ეს უთანასწორობა ბევრ ბავშვს დროული სამართლებრივი დახმარების გარეშე ტოვებს. **საქართველოს სახალხო დამცველი** (2021) ხაზს უსვამს ამ ხარვეზების აღმოფხვრის გადაუდებელ აუცილებლობას, რეგიონებში იურისტების რეკრუტირებისა და გადამზადების გზით. ინფრასტრუქტურის გაძლიერება და რესურსების სამართლიანი განაწილება უზრუნველყოფს, რომ ადგილმდებარეობის მიუხედავად, ყველა ბავშვს ჰქონდეს ეფექტური წვდომა მართლმსაჯულებაზე.

ფსიქოსოციალური მხარდაჭერა

ფსიქოსოციალურ მხარდაჭერას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს მსხვერპლი ბავშვების გამოჯანმრთელებისა და რეაბილიტაციისთვის, რაც მათ ძალადობით გამოწვეული ემოციური და ფსიქოლოგიური შედეგების დაძლევაში ეხმარება. თბილისში **ბარნაჰუსის** (Barnahus) მოდელის დანერგვა მნიშვნელოვანი

წინგადადგმული ნაბიჯია, რადგან ის უზრუნველყოფს ინტეგრირებულ, ბავშვზე მორგებულ ზრუნვას და ერთ სივრცეში აერთიანებს ფსიქოლოგიურ კონსულტაციას, ფსიქოლოგიურ/საგამოძიებო გამოკითხვას, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზასა და სოციალურ მომსახურებას. ეს მიდგომა ამცირებს რეტრავმატიზაციას და უზრუნველყოფს კოორდინირებულ მხარდაჭერას. თუმცა ბარნაჰუსის სერვისები ამჟამად მხოლოდ თბილისით შემოიფარგლება, რაც რეგიონებში მცხოვრებ ბავშვებს ამ აუცილებელი რესურსის გარეშე ტოვებს. **საქართველოს სახალხო დამცველი** (2021) ხაზს უსვამს, რომ აღნიშნული გეოგრაფიული უთანასწორობა, ფსიქოლოგებისა და სოციალური მუშაკების ქვეყნის მასშტაბით არსებულ დეფიციტთან ერთად, კიდევ უფრო ამწვავებს ზრუნვის ხარისხის კუთხით არსებულ უთანასწორობას.

გარდა ამისა, მიუხედავად იმისა, რომ **არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის** 52-ე მუხლი (2015) მეორეული ვიქტიმიზაციის თავიდან ასაცილებლად ბავშვის გამოკითხვის პროცესში ფსიქოლოგის მონაწილეობას სავალდებულოდ აწესებს, **სახალხო დამცველი** (2021) მიუთითებს მათ ხშირ მიუწვდომლობასა და შეზღუდულ ჩართულობაზე. აღნიშნული ხარვეზები ასახავს ისეთ სისტემურ პრობლემებს, როგორიცაა არასაკმარისი მომზადება და ბუნდოვანი სახელმძღვანელო პრინციპები იმის შესახებ, თუ როდის არის საჭირო ფსიქოლოგიური ინტერვენცია. **ლანზაროტეს კომიტეტის 2023 წლის ანგარიშში** მოცემულია რეკომენდაცია, რომ საქართველომ მიიღოს საკანონმდებლო ზომები მსხვერპლთა როგორც დაუყოვნებლივი, ისე გრძელვადიანი რეაბილიტაციის გასაუმჯობესებლად, ბავშვის შეხედულებებისა და საჭიროებების გათვალისწინებით (რეკომენდაცია VI-3); ამასთანავე, ხაზგასმულია ICT-ის გამოყენებით ჩადენილი ძალადობის შემთხვევებზე მომუშავე პროფესიონალების სპეციალიზებული მომზადების მნიშვნელობა (რეკომენდაცია VI-2).

ამ ხარვეზების აღმოფხვრით და ლანზაროტეს კომიტეტისა (2023) და სახალხო დამცველის (2021) რეკომენდაციების გათვალისწინებით, საქართველო შეძლებს ჩამოაყალიბოს ყოვლისმომცველი და ინკლუზიური მხარდაჭერის სისტემა, რომელიც პრიორიტეტს მიანიჭებს მსხვერპლი ბავშვების უფლებებსა და კეთილდღეობას.

1.3.7. თანამშრომლობის მექანიზმები ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის აღმოსაფხვრელად

უწყებათაშორისი თანამშრომლობა და საქმის მართვა

როგორც უკვე აღინიშნა, საერთაშორისო ჩარჩოები, როგორიცაა **ლანზაროტეს კონვენცია** (2007), ხაზს უსვამს კოორდინირებული ძალისხმევის მნიშვნელობას ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში. ისინი აწესებენ

თანამშრომლობის მექანიზმებს განათლების, ჯანდაცვის, სოციალური მომსახურების, სამართალდამცავ და სასამართლო ორგანოებს შორის და რეკომენდაციას უწევენ ბავშვთა უფლებების დამცველი დამოუკიდებელი ორგანოების შექმნას, სამოქალაქო საზოგადოებისა და კერძო სექტორის ჩართულობით (მუხლი 10 (2) (a) (3)).

საქართველოში **ბავშვის უფლებათა კოდექსი** (2019) ქმნის მყარ საფუძველს უწყებათაშორისი თანამშრომლობისთვის. იგი ითვალისწინებს მულტიდისციპლინურ მიდგომებს ადმინისტრაციულ და სასამართლო წარმოებაში (მუხლი 72) და სექტორთაშორის კოორდინაციას განათლების, ჯანდაცვის, სოციალური დაცვისა და მართლმსაჯულების სისტემებს შორის (მუხლი 83). კოდექსის XII თავი განსაზღვრავს სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოს სპეციფიკურ პასუხისმგებლობებს, მათ შორის პარლამენტის მიერ საკანონმდებლო ზედამხედველობას (მუხლი 89), მთავრობის მიერ სახელმწიფო პოლიტიკის კოორდინაციას (მუხლი 90), სამინისტროების მიერ მართლმსაჯულების, განათლებისა და ბავშვთა კეთილდღეობის პროგრამების განხორციელებას (მუხლები 91–93), მუნიციპალიტეტების მიერ ადგილობრივი პროგრამებისა და სოციალური მუშაკების ქსელის განვითარებას (მუხლი 96). ერთობლიობაში, ეს ინსტიტუტები ქმნიან ერთიან, კოორდინირებულ სისტემას ბავშვთა ძალადობისგან დასაცავად და მათი უფლებების უზრუნველსაყოფად.

ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურები (2016) აყალიბებს უწყებათაშორის ჩარჩოს, რომელიც ავალდებულებს ისეთ ინსტიტუციებს, როგორიცაა სკოლები, საბავშვო ბაღები, ჯანდაცვის პროვაიდერები და ადგილობრივი თვითმმართველობები, მოახდინონ ბავშვზე ძალადობის სავარაუდო შემთხვევების შეტყობინება (მუხლი 5(10)). ეს პროცედურები მკაფიოდ განსაზღვრავს ძირითადი აქტორების, მათ შორის პოლიციისა და სოციალური მუშაკების როლს, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ძალადობის შემთხვევების იდენტიფიცირებაზე, შეტყობინებასა და მართვაზე. მათ ეკისრებათ ბავშვის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მკაფიო ვალდებულებები.

მიუხედავად მკაფიოდ განსაზღვრული სამართლებრივი ჩარჩოსი, იმპლემენტაციის პროცესში კვლავ არსებობს გამოწვევები. საქართველოს სახალხო დამცველი (2021) ხაზს უსვამს სუსტ უწყებათაშორის კოორდინაციას, ლიმიტირებულ ტრენინგებს პროფესიონალებისთვის და სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგებისთვის რესურსებისა თუ სახელმძღვანელო მითითებების ნაკლებობას. ყოველივე ეს ხშირად იწვევს რეაგირების დაგვიანებასა და მსხვერპლთა არასათანადო მხარდაჭერას. გამოძიებასა და სასამართლო პროცესში სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების თანმიმდევრული ჩართულობისთვის საჭირო სტანდარტიზებული პროცედურების არარსებობა ზრდის ბავშვთა რეტრავმატიზაციის რისკს და ასუსტებს

ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების პრინციპებს. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მოქმედებს სტანდარტული საოპერაციო პროცედურები, რომლებიც მიზნად ისახავს ბარნაჰუსის ცენტრთან კოორდინაციასა და სპეციალისტების ჩართვას ბავშვზე მორგებული გამოკითხვის სტანდარტების შესაბამისად. თუმცა, კვლევის მიგნებები არ იძლევა იმის შეფასების საშუალებას, თუ რამდენად თანმიმდევრულად ხორციელდება ეს პროცედურები პრაქტიკაში სხვადასხვა საქმესა თუ რეგიონში.

საერთაშორისო და ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობა სექსუალურ ძალადობასთან ბრძოლაში

ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის ტრანსნაციონალური ბუნება, განსაკუთრებით კი ონლაინ ექსპლუატაცია, საჭიროებს მტკიცე საერთაშორისო თანამშრომლობას. **ბუდაპეშტის კონვენცია კიბერდანაშაულის შესახებ** (2001) და **ლანზაროტეს კონვენცია** (2007) ქმნის თანამშრომლობის ჩარჩოს, რაც მოიცავს ურთიერთსამართლებრივ დახმარებას, ციფრული მტკიცებულებების შენახვას, კოორდინირებულ გამოძიებებსა და ერთობლივ სასწავლო ინიციატივებს ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის, მათ შორის ტექნოლოგიების გამოყენებით ჩადენილი დანაშაულების წინააღმდეგ საბრძოლველად (ბუდაპეშტის კონვენცია, მუხლები 23–25; ლანზაროტეს კონვენცია, მუხლი 38). ბავშვის უფლებათა კოდექსი (2019) აძლიერებს ამ ძალისხმევას მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზისთვის ერთიანი ელექტრონული სისტემების შექმნის ვალდებულებით, რამაც უნდა გააუმჯობესოს უწყებათაშორისი კოორდინაცია (მუხლი 83). საქართველოს მონაწილეობა ისეთ გლობალურ ინიციატივებში, როგორიცაა **ევროპის საბჭო, ინტერპოლი (INTERPOL), WePROTECT Global Alliance** და **გლობალური პარტნიორობა ბავშვთა მიმართ ძალადობის დასასრულებლად,** კიდევ ერთხელ ადასტურებს ქვეყნის მზაობას, ებრძოლოს ტრანსსასაზღვრო სექსუალურ ძალადობას მტკიცებულებებზე დაფუძნებული სტრატეგიებითა და საერთაშორისო თანამშრომლობით. ამავდროულად, ლანზაროტეს კომიტეტის უახლეს ანგარიშში ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისგან დაცვის შესახებ აღნიშნულია, რომ საქართველო კვლავ მიჰყვება მონაცემთა შეგროვების ფრაგმენტულ, სექტორულ მიდგომას. სხვადასხვა სამინისტრო ეყრდნობა საკუთარ სტატისტიკურ კლასიფიკაციებსა და სისტემებს, რაც უარყოფითად აისახება სხვადასხვა სექტორებს შორის მონაცემთა შედარებადობაზე. ეს ფრაგმენტაცია მიუთითებს იმაზე, რომ გაფანტულმა და არაჰარმონიზებულმა მონაცემთა შეგროვების ჩარჩოებმა შესაძლოა პრაქტიკაში შეაფერხოს ეფექტური უწყებათაშორისი კომუნიკაცია და კოორდინირებული რეაგირება.

ლანზაროტეს კომიტეტის 2023 წლის ანგარიში დადებითად აფასებს საქართველოს თანამშრომლობას ისეთ ორგანიზაციებთან, როგორიცაა WePROTECT, ECPAT და End Violence Against Children, თუმცა ასევე განსაზღვრავს გასაუმჯობესებელ სფეროებს. რეკომენდაციების თანახმად, მნიშვნელოვანია, მსხვერპლებს ჰქონდეთ მათი საცხოვრებელი ქვეყნიდან ტრანსსასაზღვრო საჩივრების წარდგენის შესაძლებლობა; ასევე, საჭიროა არახელმომწერ სახელმწიფოებთან კოლაბორაციის გაფართოება, საერთაშორისო ქსელებთან პარტნიორობის გაძლიერება და საერთაშორისო თანამშრომლობაში არსებული გამოწვევების აღმოფხვრა რეგულარული შეფასებების გზით.

მიღწეული პროგრესის მიუხედავად, გამოწვევები კვლავ რჩება. მათ შორისაა საქმის შესახებ ინფორმაციის მართვისა და გაზიარებისთვის ცენტრალიზებული, უსაფრთხო მონაცემთა ბაზის არარსებობა, რაც აფერხებს ტრანსსასაზღვრო რეაგირებას (ლანზაროტეს კონვენცია, 2007, მუხლი 38; საქართველოს სახალხო დამცველი, 2021). ეროვნულ უწყებებს შორის შეზღუდული კოორდინაცია აფერხებს ტრანსნაციონალური შემთხვევების გამოვლენასა და მათზე რეაგირებას (საქართველოს სახალხო დამცველი, 2021). ამ პრობლემების გადასაჭრელად, საქართველომ პრიორიტეტი უნდა მიანიჭოს სამართალდამცავთა და სასამართლო პერსონალის სპეციალიზებულ მომზადებას ტრანსსასაზღვრო და ICT-ით გამოყენებით ჩადენილ დანაშაულებზე ეფექტურად რეაგირების კუთხით (ლანზაროტეს კომიტეტი, 2023).[6]

ინფორმაციის გაზიარებისთვის უსაფრთხო მონაცემთა ბაზის შექმნა, ბუდაპეშტის კონვენციისა (2001, მუხლები 23–25) და GDPR-ის სტანდარტების შესაბამისად, თანაბრად მნიშვნელოვანია. პრაქტიკის შესაბამისობაში მოყვანა ლანზაროტეს კონვენციის ისეთ რეკომენდაციებთან, როგორიცაა ტრანსსასაზღვრო საჩივრების წარდგენის ხელშეწყობა და მსხვერპლთა მხარდაჭერა ადგილობრივ დონეზე, გააძლიერებს მსხვერპლზე ორიენტირებულ მიდგომებს (ლანზაროტეს კონვენცია, 2007, მუხლი 30). საერთაშორისო ქსელებთან, მათ შორის INTERPOL-სა და WePROTECT-თან პარტნიორობის გაღრმავება კიდევ უფრო გაზრდის საქართველოს შესაძლებლობებს ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის შემთხვევების

[6] *ზოგადად (და არა მხოლოდ ICT-ის გამოყენებით ჩადენილ დანაშაულებთან მიმართებით), პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ბოლო წლებში განხორციელდა მნიშვნელოვანი ძალისხმევა შესაძლებლობების გასაძლიერებლად. პროკურორებმა, პროკურატურის გამომძიებლებმა და მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორებმა გაიარეს სპეციალიზებული ტრენინგები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისა და ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის საკითხებზე. ეს ინიციატივები მიუთითებს მართლმსაჯულების სექტორში ხორციელდება პროფესიული მომზადების გაუმჯობესებისკენ მიმართული ძალისხმევა.*

პრევენციის, გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის კუთხით (WePROTECT, 2014; ლანზაროტეს კომიტეტი, 2023).[7]

2. საველე კვლევის მიგნებები

2.1. საკანონმდებლო ჩარჩო

საველე კვლევის მიგნებებში გამოიკვეთა, რომ მონაწილეთა უმრავლესობა საქართველოს საკანონმდებლო ჩარჩოს, მათ შორის, „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების შესახებ" დადგენილებას (შემდგომში „რეფერირების პროცედურები"), ბავშვის უფლებათა კოდექსსა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსს ბავშვთა დაცვის მყარ საფუძვლად მიიჩნევს. ეს სამართლებრივი ინსტრუმენტები აწესებს პრევენციულ ზომებს და ადგენს ბავშვზე ძალადობის შემთხვევებზე სათანადო რეაგირების პროცედურებს. ბევრი მონაწილის აზრით, ეს ჩარჩოები მჭიდროდ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს, კერძოდ გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციას (UNCRC) და ლანზაროტეს კონვენციას (სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს წარმომადგენლები, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის სოციალური მუშაკები და ფსიქოლოგები).

როგორც ერთ-ერთმა იურისტმა აღნიშნა: *„ბავშვის უფლებათა კოდექსი არა მხოლოდ იმეორებს UNCRC-ის ძირითად პრინციპებს, არამედ ასახავს მის კონკრეტულ ვალდებულებებსაც, როგორიცაა ბავშვის უფლება, მოუსმინონ მას და ბავშვის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად მოქმედების ვალდებულება"*. ანალოგიურად, რეფერირების პროცედურები და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი მოიცავს ლანზაროტეს კონვენციის არსებით ელემენტებს, განსაკუთრებით, სავალდებულო შეტყობინებისა და მსხვერპლი ბავშვებისთვის სპეციალიზებული მხარდაჭერის კუთხით (NGO-ებისა და სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს წარმომადგენლები). მონაწილეები ხშირად უთითებდნენ, რომ აღნიშნული წინსვლა ადასტურებს საქართველოს მზაობას, მოახდინოს ეროვნული კანონმდებლობის ჰარმონიზაცია საერთაშორისო ჩარჩოებთან. ამავდროულად აღინიშნა ხარვეზებიც - NGO-ს წარმომადგენელმა აღნიშნა: *„რეფერირების დოკუმენტი დიდი ხანია გადახედვას საჭიროებდა. მისი მიღების შემდეგ ამოქმედდა ახალი კანონმდებლობა, როგორიცაა ბავშვის უფლებათა კოდექსი, რამაც მრავალი ცვლილება გამოიწვია. დოკუმენტში ეს სიახლეები უნდა აისახოს"*. ეს დაკვირვება ეხმიანება დოკუმენტურ მიმოხილვაში (desk

[7] *შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის საქმეებზე ინფორმაციის გაცვლა უკვე ხორციელდება INTERPOL-ისა და EUROPOL-ის არხების მეშვეობით.*

review) გამოკვეთილ საკითხებს ბავშვის უფლებათა კოდექსისა და მანამდე მიღებული კანონქვემდებარე აქტების ჰარმონიზაციის საჭიროების შესახებ.

ფოკუს-ჯგუფების ფარგლებში გამართულმა დისკუსიებმა და პრაქტიკოსებთან ინტერვიუებმა გამოკვეთა, რომ იმპლემენტაციის კუთხით კვლავ რჩება მნიშვნელოვანი გამოწვევები. მონაწილეები სისტემატურად უთითებდნენ, რომ მოძველებული რეფერირების პროცედურები (რომლის გადახედვაც ბოლოს 2016 წელს განხორციელდა) ეფექტურ დაცვას მნიშვნელოვნად აბრკოლებს. კერძოდ, მონაწილეებმა აღწერეს შეუსაბამობები რეფერირების პროცედურებსა და ბავშვთა დაცვის სფეროში ახლადგამოჩენილი აქტორების როლებს შორის; საუბარია მუნიციპალურ სოციალურ მუშაკებსა და იმ ინსტიტუტებზე, რომლებიც პროცედურების მიღების შემდეგ ჩამოყალიბდნენ (NGO-ების, სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოსა და სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლები). როგორც სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს ერთ-ერთმა წარმომადგენელმა აღნიშნა: *რეფერირებისას როლების ბუნდოვანება იწვევს კომუნიკაციის ხარვეზებსა და დაგვიანებულ რეაგირებას ძალადობის შემთხვევებზე*. სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელმა კი დაამატა: *რეფერირების პროცედურები უნდა იყოს უფრო დეტალური, მკაფიოდ განსაზღვრული პასუხისმგებლობებით, რათა ინსტიტუტებმა გაიაზრონ თავიანთი როლი და შეძლონ ეფექტური თანამშრომლობა*. ეს წუხილი ასახულია დოკუმენტურ ანალიზშიც, სადაც ინსტიტუციური მანდატების სიცხადე ეფექტური კოორდინაციის წინაპირობად არის მიჩნეული.

მონაწილეებმა ხაზი გაუსვეს რეფერირების პროცედურების ფარგლებში უფრო დეტალური და მკაფიო სახელმძღვანელო მითითებების საჭიროებას, რათა დაკონკრეტდეს თითოეული ჩართული ინსტიტუტის პასუხისმგებლობა. ეს ეხება მუნიციპალური დონის აქტორებს, საგანმანათლებლო დაწესებულებებს, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სხვა სუბიექტებს, რომლებიც უშუალოდ მუშაობენ ბავშვებთან. არსებული ბუნდოვანება იწვევს ფრაგმენტულ რეაგირებას და სუსტ უწყებათაშორის თანამშრომლობას (NGO-ებისა და სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს წარმომადგენლები, სკოლისა და ბაღის მასწავლებლები, მანდატურის სამსახურის სოციალური მუშაკები და ფსიქოლოგები). ერთ-ერთმა მანდატურმა აღნიშნა: *რეფერირების პროცედურები ძალიან მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია, რომელიც ბავშვთა დაცვას უზრუნველყოფს. თუმცა, აუცილებელია პასუხისმგებლობების დაზუსტება, რათა ყველამ ზუსტად იცოდეს, რა უნდა გააკეთოს*. სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს წარმომადგენელმა კი განმარტა: *რეფერირების პროცედურები კარგი დოკუმენტია, მაგრამ ის მკაფიოდ არ განსაზღვრავს ყველა აქტორის როლს. მაგალითად, დეტალურად არ არის გაწერილი, როგორ უნდა მოხდეს კოორდინაცია სამართალდამცავ ორგანოებსა და სოციალურ სამსახურებს შორის, ინტერვენციის დროს*. ეს მოსაზრებები პრაქტიკოსების გამოცდილებას ასახავს და ამავდროულად, ისინი სრულად

შეესაბამება დოკუმენტურ კვლევაში მითითებულ საერთაშორისო სტანდარტებს, მათ შორის ლანზაროტეს კონვენციის აქცენტს მკაფიოდ განსაზღვრული, მულტიდისციპლინური თანამშრომლობის ჩარჩოებზე.

რეფერირების მექანიზმების უკეთესი ჰარმონიზაცია ბავშვთა დაცვის ახალ პოლიტიკასთან გააძლიერებს კოორდინაციას ინსტიტუტებს შორის და უზრუნველყოფს როლებისა და პასუხისმგებლობების ერთიან გაგებას. როგორც სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელმა აღნიშნა: *უმჯობესია, რეფერირების დოკუმენტი უფრო ყოვლისმომცველი იყოს და დეტალურად აღწერდეს თითოეული ინსტიტუტის, მათ შორის კერძო სუბიექტების ვალდებულებებს, რათა უზრუნველყოფილ იქნას ანგარიშვალდებულება და მოქმედების მკაფიო გზები.* მსგავსი ცვლილებები ხელს შეუწყობს ეფექტურ კომუნიკაციას, შეამცირებს გაჭიანურებას და ხელს შეუწყობს ბავშვთა დაცვის უფრო თანმიმდევრული სისტემის ჩამოყალიბებას.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს საკანონმდებლო ჩარჩო ფურცელზე მყარად გამოიყურება, რესპონდენტები ყურადღებას ამახვილებდნენ მის არათანაბარ იმპლემენტაციაზე. როგორც ერთ-ერთმა NGO-ს წარმომადგენელმა აღნიშნა: *ეფექტური აღსრულების გარეშე, ყველაზე კარგად ჩამოყალიბებული კანონებიც კი არაეფექტურად მიიჩნევა.* კიდევ ერთი განმეორებადი პრობლემა ანგარიშვალდებულების მყარი მექანიზმების ნაკლებობაა. ზოგიერთმა მონაწილემ აღნიშნა, რომ შემდგომი რეაგირების (follow-up) მკაფიო პროცედურების არარსებობის პირობებში შესაძლოა წარმოიშვას კოორდინაციის ხარვეზები, რაც ზრდის რისკს, რომ შემთხვევები დროულად არ იქნება განხილული. ერთ-ერთმა NGO-ს წარმომადგენელმა ხაზგასმით აღნიშნა: *კანონის ძალა არის არა მხოლოდ მის ჩამოყალიბებაში, არამედ, მის უნარში, აიძულოს [მხარეებს] მოქმედება და უზრუნველყოს შედეგი.*

ეს მიგნებები ხაზს უსვამს საკანონმდებლო ვალდებულებებსა და პრაქტიკულ გამოყენებას შორის არსებული ნაპრალის ამოვსების აუცილებლობას. სამართლებრივი ინსტრუმენტების განახლება, ინსტიტუციური მანდატების დაზუსტება და აღსრულებისა და მონიტორინგის გაძლიერება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საქართველოში ბავშვების უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად.

2.2. ბავშვის საუკეთესო ინტერესები, როგორც ამოსავალი პრინციპი

ბავშვის საუკეთესო ინტერესის პრინციპი, რომელიც განმტკიცებულია გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-3 მუხლითა და ლანზაროტეს კონვენციით (ევროპის საბჭო, 2007; გაერთიანებული ერები, 1989), აღიარებულია საქართველოს

ბავშვთა დაცვის დისკურსში, თუმცა რესპონდენტები აღწერენ პრაქტიკაში მის არათანმიმდევრულ გამოყენებას სხვადასხვა ინსტიტუტებში. კანონმდებლობა აკეთებს მასზე მითითებას, თუმცა საველე კონსულტაციები ცხადყოფს, რომ ერთიანი, პრაქტიკული განმარტების არარსებობა იწვევს მის განსხვავებულ ინტერპრეტაციას ინტერვენციის სხვადასხვა ეტაპზე, ცალკეული აქტორების შეხედულების მიხედვით. როგორც ერთ-ერთმა იურისტმა აღნიშნა: *ბავშვის საუკეთესო ინტერესების ზუსტი განმარტება, რომელიც მოერგება ყველა ინდივიდუალურ შემთხვევას, არ არსებობს და ვერც იარსებებს. თითოეული საქმე განსხვავებულია და მასზე გავლენას ახდენს ბავშვისა და მისი ოჯახის სპეციფიკური გარემოებები.*

სისტემის მასშტაბით ჩართულმა მხარეებმა ხაზი გაუსვეს, რომ ამ ვალდებულების შესრულება უფრო მეტს გულისხმობს, ვიდრე უბრალოდ ზიანისგან დაცვას: ის მოითხოვს, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ცენტრალური ადგილი დაიკავოს ბავშვის ღირსებამ, მისი განვითარების საჭიროებებმა და ემოციურმა უსაფრთხოებამ. ეს მოიცავს ფრთხილ ბალანსს მართლმსაჯულების აღსრულებასა და ბავშვის ფსიქოლოგიური კეთილდღეობის დაცვას შორის, განსაკუთრებით, საგამოძიებო და სამართლებრივი პროცედურების დროს. ეს ხედვა თანხვედრაშია სამაგიდე კვლევაში ასახულ ბავშვის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებთან, თუმცა მონაწილეებმა აღნიშნეს ამ პრინციპების ყოველდღიურ პრაქტიკაში გადატანის სირთულეები. როგორც ბავშვთა დაცვის ერთ-ერთმა ექსპერტმა განაცხადა: *ნამდვილი პროფესიონალიზმი ბავშვზე ძალადობის საქმეებში ნიშნავს ნიუანსების გაგებას; [გააზრებას, თუ] როდის უნდა მიენიჭოს პრიორიტეტი დამნაშავის დასჯას და როდის - ბავშვის რეაბილიტაციას. მართლმსაჯულება არასოდეს უნდა იქნას მიღწეული ბავშვის კეთილდღეობის ხარჯზე.*

ინტერვიუებისა და ფოკუსჯგუფების დროს გამოთქმული ერთ-ერთი მთავარი წუხილი უკავშირდება განმეორებითი გამოკითხვებითა და ფრაგმენტული საგამოძიებო პროცედურებით გამოწვეულ რეტრავმატიზაციის რისკს. მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ტრავმაზე ორიენტირებული მიდგომების დანერგვის მცდელობების მიუხედავად, პრაქტიკაში ეს მიდგომები ყოველთვის თანმიმდევრულად არ გამოიყენება. პროკურორმა განმარტა: *ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვა ნიშნავს, რომ საგამოძიებო მოქმედებები ჩატარდეს რაც შეიძლება სწრაფად და ეფექტურად, რათა ბავშვს არ მოუწიოს მრავალჯერადი გამოკითხვა ან სასამართლოში რამდენჯერმე გამოცხადება.* მიუხედავად იმისა, რომ ლანზაროტეს კონვენცია მსგავს გარანტიებს ითხოვს, მონაწილეთა თქმით, პრაქტიკაში ბავშვებს ხშირად მაინც უწევთ ჩვენების მიცემა სხვადასხვა ეტაპზე, ხანდახან ფსიქოლოგიური მხარდაჭერის გარეშე ან არაადაპტირებულ გარემოში.

კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც რამდენიმე მონაწილემ გამოკვეთა, არის ბავშვის აზრისა და სურვილების არასაკმარისი გათვალისწინება მისივე საუკეთესო ინტერესების განსაზღვრისას. როგორც სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს წარმომადგენელმა განმარტა: *ჩვენ უნდა განვასხვავოთ ის, თუ რას მიიჩნევენ სპეციალისტები ბავშვის საუკეთესო ინტერესად და რა სურს თავად ბავშვს.* ბავშვის მოსმენის უფლება მყარად არის განმტკიცებული საერთაშორისო და ეროვნულ სამართალში, თუმცა რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ ინსტიტუციის მოსაზრებებსა და ბავშვის ხედვას შორის არსებული ნაპრალი ხშირად იწვევს ბავშვის გამორიცხვას ან იძულებით მონაწილეობას ისეთი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, რომელიც გავლენას ახდენს მის კეთილდღეობაზე.

რეაბილიტაციის პროცესთან დაკავშირებით მონაწილეები ხაზს უსვამდნენ სამართლებრივი შედეგებისთვის პრიორიტეტის მინიჭებისა და ბავშვის ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის კუთხით მუდმივად არსებულ პროფესიულ დილემას. *როდესაც დამნაშავე ოჯახის წევრია, ინსტინქტურად გვსურს დასჯის უზრუნველყოფა, მაგრამ აუცილებელია ერთმანეთისგან განვასხვავოთ საქმის ინტერესი და ბავშვის რეალური საუკეთესო ინტერესი,* - აღნიშნა სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს წარმომადგენელმა. ზოგიერთ შემთხვევაში, პროფესიონალები პატივს სცემდნენ ბავშვის უფლებას, უარი ეთქვა გარკვეულ პროცედურებზე, რადგან აცნობიერებდნენ, რომ იძულებითი ჩართულობა უფრო მეტ ზიანს მოიტანდა: *მაშინაც კი, როდესაც მათ უარში რისკებს ვხედავთ, ჩვენი მიდგომა უნდა შეესაბამებოდეს ბავშვის უფლებას, თქვას უარი.* - აღნიშნა სააგენტოს სხვა წარმომადგენელმა.

მონაწილეებმა ასევე ხაზი გაუსვეს რეაბილიტაციისადმი დინამიკური მიდგომის საჭიროებას, რომელიც ბავშვის საჭიროებებთან ერთად უნდა იცვლებოდეს. *ბავშვის საუკეთესო ინტერესი არ არის სტატიკური; ის მუდმივად უნდა გადაფასდეს ბავშვის ცვალებადი საჭიროებების შესაბამისად,* - განმარტა NGO-ს წარმომადგენელმა. მიუხედავად იმისა, რომ ეს პრინციპი ასახულია ბავშვთა დაცვის საერთაშორისო სტანდარტებში, რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ ამჟამინდელ სისტემას აკლია მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფდა აღნიშნულ მოქნილობასა და ბავშვის მუდმივ მონაწილეობას.

საბოლოო ჯამში, ბავშვის საუკეთესო ინტერესები უნდა იქცეს ბავშვთა დაცვის სისტემის ყველა ელემენტის გამჭოლ სტანდარტად - პრევენციიდან და იდენტიფიცირებიდან დაწყებული, გამოძიების, სასამართლო პროცესისა და რეაბილიტაციის ჩათვლით. როგორც ერთ-ერთმა NGO ექსპერტმა შეაჯამა: *მხოლოდ ერთ ორგანიზაციას ან უწყებას არ შეუძლია ბავშვის საუკეთესო ინტერესის სრულყოფილად დაცვა. ეს კომპლექსური საკითხია, რომელიც მოითხოვს თანამშრომლობასა და გაზიარებულ პასუხისმგებლობებს.* კვლევის მიგნებები ხაზს უსვამს ეროვნული სახელმძღვანელო მითითებების საჭიროებას იმის შესახებ, თუ

როგორ უნდა მოხდეს ამ პრინციპის შეფასება და გამოყენება რეალურ დროში, მულტიდისციპლინურ კოორდინაციასთან, შესაძლებლობების გაძლიერებასთან და იმ მექანიზმებთან ერთად, რომლებიც უზრუნველყოფენ ბავშვის აზრის მოსმენასა და პატივისცემას.

2.3. პრევენცია და ცნობიერების ამაღლება

2.3.1. პრევენციისკენ და ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართული ინიციატივები

კვლევა ხაზს უსვამს პრევენციისა და ცნობიერების ამაღლების გადამწყვეტ როლს სექსუალური ძალადობის მიმართ ბავშვთა მოწყვლადობის შემცირებაში. ისეთმა ინსტიტუციებმა, როგორიცაა კომუნიკაციების კომისია, თავისი წვლილი შეიტანეს მედია-წიგნიერებისა და ონლაინ უსაფრთხოების გაძლიერებაში, განსაკუთრებით გრუმინგისა და კიბერბულინგის საკითხებზე მუშაობით. თუმცა, ამ ინიციატივებს ხშირად აკლია კოორდინაცია და მასშტაბურობა. მიუხედავად იმისა, რომ სკოლები და საბავშვო ბაღები ატარებენ ტრენინგებს და ხელს უწყობენ ბავშვზე მორგებული გარემოს შექმნას, პედაგოგები აღნიშნავენ, რომ პრაქტიკული იმპლემენტაციისთვის სახელმძღვანელო მითითებები შეზღუდულია.[8]

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, სამართალდამცავი ორგანოები ასევე მონაწილეობენ პრევენციულ ძალისხმევაში. სამინისტრო თანამშრომლობს სკოლებთან და თემებთან საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზებაში და გააძლიერა ბავშვებთან მომუშავე სპეციალიზებული ოფიცრების როლი, მათ შორის, უწყვეტი სწავლებისა და ციფრული უსაფრთხოების გაზრდის ინიციატივების მეშვეობით. სამინისტრო 2025 წლიდან ატარებს საინფორმაციო სესიებს სკოლის მოსწავლეებთან, მათ შორის, სექსუალური ძალადობის თემაზეც. თუმცა, ბუნდოვანი რჩება აქტივობების მასშტაბი და ფორმა, ასევე ის, თუ რამდენად სისტემურად ფარავს ეს ზომები სექსუალური ძალადობის პრევენციას.

კვლევის მონაწილეებმა ხაზი გაუსვეს ეროვნული პრევენციის სტრატეგიის არარსებობას, რომელიც დააკავშირებდა განათლების, ჯანდაცვისა და ბავშვთა დაცვის სერვისებს. სოფლად მცხოვრებ და უმცირესობათა თემებს ხშირად არ აქვთ

---

[8] *განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ინფორმაციით, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა (TPDC) შეიმუშავა სასწავლო მოდული „კეთილდღეობა და ბავშვის უფლებების დაცვა ადრეულ განათლებაში", რომელიც ფარავს ისეთ თემებს, როგორიცაა ბავშვის უფლებები, ბულინგი საბავშვო ბაღში, სოციალურ-ემოციური კომპეტენცია, შესაბამისი მარეგულირებელი დოკუმენტები, ადვოკატირება და საბავშვო ბაღის სტრატეგიული ჩარჩოს შემუშავება ბავშვის უფლებების დაცვის შესახებ. მნიშვნელოვანია, რომ ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის პრევენცია და რეაგირება ამ ტრენინგის ფარგლებში სავალდებულო თემების სახით იქნას გათვალისწინებული.*

წვდომა ამ კამპანიებზე, ხოლო კულტურული და ენობრივი ბარიერები კიდევ უფრო ზრდის ამ ნაპრალს. ასევე პრობლემურია მდგრადობა, რადგან ბევრი პროგრამა დონორების დაფინანსებაზეა დამოკიდებული და მოკლებულია ინსტიტუციურ მფლობელობას.

გრძელვადიანი პრევენციისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სოციალური ნორმების შეცვლა. სექსუალურ ძალადობაზე საუბრისას არსებული კულტურული ტაბუ ზღუდავს მშობლებისა და თემის ლიდერების ჩართულობას. მონაწილეებმა მოითხოვეს ინკლუზიური, თემზე დაფუძნებული ძალისხმევა და სისტემური ინვესტიციები პრევენციაში, რათა უზრუნველყოფილ იქნას თანმიმდევრული და ყოვლისმომცველი დაცვა ყველა ბავშვისთვის.

2.3.2. ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის შესახებ ინფორმირებულობა და დამოკიდებულება

ბავშვები: ბავშვებს ხშირად არ აქვთ სათანადო ცოდნა ძალადობის იდენტიფიცირებისთვის, განსაკუთრებით არაფიზიკური ან ონლაინ ძალადობის კონტექსტში. ისინი ძალადობას ძირითადად ფიზიკურ აგრესიასთან აიგივებენ და ყურადღების მიღმა ტოვებენ გრუმინგს ან მანიპულაციას. ისეთი საკვანძო ცნებები, როგორიცაა სხეულის ავტონომია და თანხმობა, არათანმიმდევრულად ისწავლება; ბევრი ბავშვი ინფორმაციის მისაღებად სანდო უფროსების ნაცვლად თანატოლებს ეყრდნობა. ონლაინ გარემოში ბავშვებმა შესაძლოა იცოდნენ უსაფრთხოების საბაზისო წესები, მაგრამ დიდწილად არ ფლობენ ინფორმაციას საფრთხის შესახებ შეტყობინების გზებზე. ისეთი ბარიერები, როგორიცაა დასჯის შიში ან ტელეფონით სარგებლობის აკრძალვის საფრთხე, აფერხებს ძალადობის ფაქტების გამჟღავნებას. ბავშვები მკაცრი კონტროლის ნაცვლად უპირატესობას ანიჭებენ მშობლის მხარდაჭერას, რომელიც ნდობას ეფუძნება; ისინი რეკომენდაციას უწევენ ციფრული უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავებაში ბავშვთა მოსაზრებების გათვალისწინებას.

მშობლები და თემი: მშობლები დიდ გავლენას ახდენენ ბავშვის დაცვაზე, თუმცა მათ ხშირად აკლიათ ინფორმაცია ძალადობის ინდიკატორების შესახებ ან უხერხულობას გრძნობენ სენსიტიურ თემებზე საუბრისას. ზოგიერთს ეშინია რეპუტაციული ზიანის ან უჭირს ავტორიტეტის და მორჩილების გარშემო არსებულ კულტურულ ტაბუებთან გამკლავება. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მშობლებმა განსაკუთრებული წუხილი გამოთქვეს. ბევრმა მათგანმა მოითხოვა დამატებითი ტრენინგები, განსაკუთრებით ონლაინ უსაფრთხოებისა და მშობლის კონტროლის მექანიზმების შესახებ. მიგნებები ხაზს უსვამს ისეთი კამპანიების საჭიროებას, რომლებიც ებრძვიან სტიგმას და ეხმარებიან მშობლებს ბავშვებთან ღია კომუნიკაციის დამყარებაში.

პედაგოგები: მასწავლებლები ბავშვთა დაცვის წინა ხაზზე არიან, თუმცა აწყდებიან ხარვეზებს მომზადების, სამართლებრივი ცოდნისა და სასწავლო პროგრამების (კურიკულუმის) მხარდაჭერის კუთხით. ზოგიერთი პედაგოგი კვლავ ავლენს საზიანო დამოკიდებულებებს, მათ შორის მსხვერპლის დადანაშაულებას (victim-blaming) ან უხერხულობას პირადი საზღვრების განხილვისას. კვლავ არსებობს მცდარი წარმოდგენები სამართლებრივ ვალდებულებებზე, განსაკუთრებით, სავალდებულო შეტყობინებისთვის საჭირო ასაკობრივ ზღვრებთან დაკავშირებით. მანდატურები და სოციალური მუშაკები მნიშვნელოვანი აქტორები არიან, მაგრამ მათ არ აქვთ საკმარისი რესურსები. მისაწვდომია NGO-ების მიერ ჩატარებული ტრენინგების პოზიტიური მაგალითები, თუმცა ინფორმირებულობის კუთხით ხარვეზები კვლავ შესამჩნევია, განსაკუთრებით იმ სკოლებში, სადაც არ ჰყავთ კონკრეტულად ბავშვთა დაცვის საკითხებზე მომუშავე თანამშრომლები. მასწავლებლებს ეფექტური რეაგირებისთვის ესაჭიროებათ სტრუქტურირებული, პრაქტიკული ტრენინგები და ინსტიტუციური მხარდაჭერა.

2.3.3. პრევენციის არსებული მექანიზმები

საგანმანათლებლო დაწესებულებები: საბავშვო ბაღები და სკოლები კრიტიკულად მნიშვნელოვანია სხეულის უსაფრთხოებისა და პირადი საზღვრების სწავლებისთვის, თუმცა პრევენციული შინაარსი სასწავლო პროცესში არათანმიმდევრულად არის გათვალისწინებული. პედაგოგებისთვის არ არსებობს სტანდარტიზებული სახელმძღვანელო მითითებები, ზოგიერთი მათგანი კი თავს არიდებს შემთხვევის შეტყობინებას სკოლის რეპუტაციის დასაცავად.

მანდატურები და სკოლის მიერ მიწოდებული სერვისები: ეს აქტორები ეხმარებიან სისტემას ძალადობის გამოვლენასა და მასზე რეაგირებაში, ასევე ატარებენ საინფორმაციო შეხვედრებს. მიუხედავად ამისა, კვლავ არსებობს კოორდინაციის გამოწვევები და კადრების დეფიციტი, განსაკუთრებით რეგიონებში. მზარდია მანდატურებისა და სკოლის მიერ მიწოდებული სერვისების როლი ციფრული უსაფრთხოების კუთხით, თუმცა საჭიროა მეტი ტრენინგი და აღიარება.[9]

სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო: მიუხედავად იმისა, რომ სააგენტო რეაგირებს შემთხვევებზე და ახორციელებს გასვლით შეხვედრებს სკოლებში, მისი როლი

---

[9] განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ინფორმაციით, დასაქმებულია დაახლოებით 1,810 მანდატური, რაც ფარავს საჯარო სკოლების მოსწავლეთა დაახლოებით 90%-ს. იმ სკოლებში, სადაც მანდატურის სამსახური არ არის წარმოდგენილი, უსაფრთხოების ფუნქციებს სკოლის ადმინისტრაციის მიერ დანიშნული პერსონალი ასრულებს. სოციალური მუშაობის კომპონენტი დაინერგა 91 საჯარო სკოლაში და ეტაპობრივად ფართოვდება. მაღალი მიმართვიანობის სამართავად, მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრმა დანერგა სტრუქტურირებული ტრიაჟის სისტემა, რათა მოხდეს შემთხვევების პრიორიტეტიზაცია გადაუდებლობის მიხედვით და სპეციალისტების ეფექტური გადანაწილება.

ხშირად რეაქტიულია. მუნიციპალურ დონეზე ჩართულობა და დროული ინტერვენციები განმტკიცებას საჭიროებს.

ბავშვთა დაცვის მუნიციპალური სამსახურები: მათ ევალებათ ძალადობის პრევენცია ადგილობრივ დონეზე, თუმცა, დაბრკოლების სახით აწყდებიან სუსტ კოორდინაციას, ბუნდოვან როლებსა და შეზღუდულ რესურსებს.

სახალხო დამცველის აპარატი: ახორციელებს სისტემური ხარვეზების მონიტორინგს და ამაღლებს ცნობიერებას, თუმცა არ გააჩნია აღსრულების ძალა. აპარატის როლის შესახებ საზოგადოების მეტი ინფორმირებულობა გაზრდიდა ანგარიშვალდებულებას.

კომუნიკაციების კომისია: ფოკუსირებულია მედია-წიგნიერებასა და ცნობიერების ამაღლებაზე და არა რეგულირებაზე. კომისიის უფლებამოსილება შეზღუდულია ციფრულ საფრთხეებთან მიმართებით, თუმცა საგანმანათლებლო კუთხით კომისია ღირებულ საქმიანობას ახორციელებს.

არასამთავრობო სექტორი: აღმოფხვრის ინსტიტუციურ ხარვეზებს ტრენინგების, ცნობიერების ამაღლებისა და რეფერირების მხარდაჭერით. თუმცა შეზღუდული დაფინანსება და მთავრობასთან სუსტი კოორდინაცია ამცირებს მათ გრძელვადიან ეფექტურობას.

მედია: დიდ როლს ასრულებს საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში. პასუხისმგებლიანი გაშუქება ეხმარება ცნობიერების ამაღლებას, სენსაციალიზმი კი ზრდის შემდგომი ზიანის რისკს.

სპეციალური საგამოძიებო სამსახური: თანამშრომლობს სკოლებთან, ბავშვთა უფლებებისა და ონლაინ საფრთხეების შესახებ ბავშვთა ინფორმირების კუთხით.[10]

ზოგადად, პრევენციული ძალისხმევა საჭიროებს ინტეგრირებას, მდგრადობას და მიზნობრივ მიდგომებს. უფრო მტკიცე პარტნიორობა, მკაფიო მანდატები და კულტურული სენსიტიურობა უზრუნველყოფს ყველა ბავშვის მიერ დაცვის ეფექტური ზომებით სარგებლობას, მათი წარმომავლობის მიუხედავად.

2.4. გამოვლენა და შეტყობინება

2.4.1. ძირითადი მხარეები და სასურველი ქცევა

ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის გამოვლენა და შეტყობინება მრავალ აქტორს მოიცავს: ბავშვებს, მომვლელებს, თემის წევრებსა და ინსტიტუციურ მხარეებს, როგორებიც არიან პედაგოგები, ჯანდაცვისა და სოციალური მუშაკები და

[10] აღნიშნული სამსახური გაუქმებულია 2025 წლის 1 ივლისიდან.

სამართალდამცავები. თითოეულ მათგანს აქვს სპეციფიკური როლი და ისინი აწყდებიან ბარიერებს შეტყობინების დროულად განხორციელების პროცესში. ქვემოთ მოცემულია კვლევის მონაწილეთა მიერ იდენტიფიცირებული ძირითადი მოლოდინები და დაბრკოლებები.

ბავშვები: ბავშვებისგან მოელიან, რომ ისინი შეძლებენ ძალადობის ამოცნობას, ეცოდინებათ შეტყობინების გზები და ექნებათ უფროსების მიმართ საკმარისი ნდობა ინფორმაციის გასამჟღავნებლად. თუმცა შიში, სირცხვილი და სანდო მხარდაჭერის ნაკლებობა ხშირად აფერხებს გამჟღავნებას. ბევრი მათგანი ნერვიულობს, რომ არ დაუჯერებენ ან თავად მას დაადანაშაულებენ. გამჟღავნების წარსულში არსებული უარყოფითი გამოცდილება ამცირებს განმეორებითი შეტყობინების ალბათობას. ბავშვების უმრავლესობამ ახსენა სანდო უფროსები - მშობლები, მასწავლებლები, სოციალური მუშაკები, თუმცა მხოლოდ რამდენიმემ იცოდა ბავშვზე მორგებული ცხელი ხაზების შესახებ (მაგალითად, 111). გოგონები ძირითად დამცველებად მშობლებს, განსაკუთრებით კი დედებს მიიჩნევდნენ; ბიჭებმა მნიშვნელოვან მხარდამჭერებად მეგობრებიც დაასახელეს. ნდობა, ემოციური უსაფრთხოება და რწმენა იმისა, რომ უფროსები იმოქმედებენ, გადამწყვეტი ფაქტორებია, რომლებიც განსაზღვრავენ ბავშვის მზაობას, მოახდინოს ძალადობის შეტყობინება.

სისტემური პრობლემები, როგორიცაა შეტყობინების მექანიზმების შესახებ ინფორმირებულობის ნაკლებობა და საზოგადოებრივი განსჯის შიში, განსაკუთრებით, მჭიდროდ დასახლებულ/პატარა თემებში, კიდევ უფრო აფერხებს ბავშვების მიერ შეტყობინებას. დასჯის შიში, გამოძიების დროს რეტრავმატიზაცია და ინსტიტუციური რეაგირებისადმი უნდობლობა ძირითადი ბარიერებია. ხშირად ბიჭები მხოლოდ საკუთარ თავს ეყრდნობიან ან უფროსების ნაცვლად თანატოლების მხარდაჭერას ირჩევენ. ზოგიერთი მათგანი მოძალადესთან პირდაპირ დაპირისპირებასაც კი განიხილავს, რაც გამკლავების რისკიან მექანიზმებზე და მისაწვდომი მხარდაჭერის დეფიციტზე მიუთითებს.

მშობლები და მზრუნველები: იდეალურ შემთხვევაში, მშობლებმა ადრეულ ეტაპზევე უნდა ამოიცნონ ძალადობის ნიშნები და მიიღონ გადამწყვეტი ზომები. პრაქტიკაში კი, თემის მხრიდან უარყოფითი რეაქციის შიში ან მოძალადესთან არსებული სოციალური კავშირები ხშირად იწვევს უარყოფას ან უმოქმედობას. ზოგიერთი მშობელი ოჯახის რეპუტაციის დასაცავად ძალადობის ფაქტს მალავს კიდეც. თაობებს შორის დამკვიდრებულმა შეხედულებებმა შესაძლოა ძალადობის ნორმალიზებასაც შეუწყოს ხელი. მიუხედავად ამისა, ბევრი მშობელი ავლენს მძაფრ ინსტინქტს - იმოქმედოს ბავშვის ქცევაში ცვლილებების შემჩნევისთანავე და პროაქტიულად მიმართოს სკოლას ან პროფესიონალებს. ონლაინ ძალადობის შემთხვევებში რამდენიმე მათგანმა აღნიშნა, რომ შეაგროვებდა ციფრულ მტკიცებულებებს და დაუკავშირდებოდა პოლიციას. თუმცა ფსიქოლოგიური

მხარდაჭერის მიმართ არსებული სტიგმა და ინფორმაციის ნაკლებობა იმის შესახებ, თუ რა ითვლება ძალადობად (განსაკუთრებით ინტერნეტში), ზღუდავს მათ ეფექტურობას. დამცავ ქმედებებზე ასევე უარყოფითად აისახება მზრუნველებს შორის არსებული წინააღმდეგობრივი შეხედულებები, ფაქტის უარყოფა და გადაჭარბებული რეაქციის შიში.

თემის წევრები: საზოგადოებისგან მოელიან სიფხიზლეს, შეტყობინებას და მსხვერპლთა მხარდაჭერას. თუმცა, კულტურული სტიგმა, განსჯის შიში და სექსუალურ ძალადობაზე საუბრის ტაბუირება ხშირად აფერხებს გამჟღავნებას. მსხვერპლის დადანაშაულების ტენდენცია, განსაკუთრებით მოზარდი გოგონების შემთხვევაში, კიდევ უფრო აძლიერებს დუმილს. ძალადობა ხშირად განიხილება, როგორც ოჯახის პირადი საქმე. მიუხედავად ამისა, ბევრმა მონაწილემ აღნიშნა, რომ ბოლო წლებში თემის ცნობიერება და ჩართულობა გაიზარდა: მეზობლები და ნაცნობები უფრო მეტად გამოხატავენ მზაობას, შეატყობინონ შესაბამის ორგანოებს ან ჩაერიონ სიტუაციაში, კონფიდენციალურობის დაცვით. სოლიდარობა და ინფორმირებულობის გაზრდა გადამწყვეტია საზიანო ნორმების შესაცვლელად.

ინსტიტუციური ბარიერები: ყველა ჯგუფში ბარიერებად დასახელდა მსხვერპლის დადანაშაულება, ინსტიტუტების მიმართ ნდობის ნაკლებობა და რეფერირების მექანიზმების შესახებ მწირი ცოდნა. გავრცელებულია როგორც სოციალური, ისე ფიზიკური შურისძიების შიში და პასუხისმგებლობის გრძნობის ნაკლებობა. მიუხედავად ამ გამოწვევებისა, ცნობიერების ზრდა და ხმამაღლა საუბრის სურვილი პროგრესის დამაიმედებელი ნიშნებია.

საგანმანათლებლო დაწესებულებები (სკოლები, საბავშვო ბაღები და არაფორმალური განათლების ცენტრები): პედაგოგები ხშირად ქცევითი ცვლილებების მეშვეობით ახდენენ ძალადობის იდენტიფიცირებას, თუმცა მათ არ აქვთ რეფერირების პროცედურებთან დაკავშირებით თანმიმდევრული სახელმძღვანელო მითითებები. კერძოდ, საბავშვო ბაღების თანამშრომლები აღნიშნავენ, რომ არ ფლობენ ინფორმაციას სტანდარტიზებული შეტყობინების ფორმების შესახებ. რეპუტაციული ზიანის მიყენების შიში აფერხებს შეტყობინების პროცესს, განსაკუთრებით, მცირე თემებში. მასწავლებლები ხაზს უსვამენ მეტი პრაქტიკული ტრენინგისა და ინსტიტუციური დაცვის საჭიროებას ძალადობის შესაძლო შემთხვევებში შესაბამისი ქმედების განხორციელების დროს. განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს განმარტებით, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრები პედაგოგებს სთავაზობენ სასწავლო მოდულებს, რომლებიც მოიცავს ინფორმაციას რეფერირების მექანიზმებზე, რაც უზრუნველყოფს პედაგოგთა ინფორმირებულობას ძალადობის სავარაუდო შემთხვევების შეტყობინების სათანადო პროცედურების შესახებ.

მანდატურის სამსახური (და მის ქვეშ არსებული ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრი): სკოლაში განაწილებული მანდატურები და სოციალური მუშაკები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ადრეული გამოვლენის და რეფერირების კუთხით, მათ შორის ონლაინ ძალადობის შემთხვევებში. ისინი სპეციალურ საგამოძიებო სამსახურთან თანამშრომლობით ახორციელებენ ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართულ აქტივობებს. თუმცა, კოორდინაცია მუნიციპალურ სოციალურ მუშაკებთან და სამართალდამცავებთან სუსტია, ხოლო კადრების დეფიციტი (განსაკუთრებით, სოფლად) ზღუდავს დაფარვის ზონას. ოფიცრები ასევე მიუთითებენ არასაკმარის მომზადებაზე ციფრული ძალადობის საკითხებში და აღნიშნავენ, რომ ბევრი მშობელი არ არის ინფორმირებული მათი როლის შესახებ.

მუნიციპალური სოციალური მუშაკები: ადგილობრივ დონეზე მოქმედი ეს პროფესიონალები ისეთი გამოწვევების წინაშე დგანან, როგორიცაა ბუნდოვანი მანდატები, კოორდინაციის ნაკლებობა, შეზღუდული ტრენინგები და ოჯახების მხრიდან არსებული სტიგმა. რეფერირების პროცედურები მოძველებულია, რაც მათთვის ართულებს გადამწყვეტ მოქმედებას ან სხვა აქტორებთან ეფექტურ თანამშრომლობას.

სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო: სააგენტო ზედამხედველობას უწევს შემთხვევების მართვას და ზოგადად აღიარებულია, როგორც ოპერატიულად მოქმედი უწყება. მიუხედავად ამისა, საქმეთა დიდი რაოდენობა, შეზღუდული განგრძობითი მონიტორინგი, სუსტი უწყებათაშორისი კოორდინაცია და ბუნდოვანი პროცედურები აფერხებს მის ეფექტურობას. კვლევის მონაწილეებმა გააკრიტიკეს ზოგიერთ შემთხვევაში არსებული არათანმიმდევრული რეაგირება და პერსონალის გულგრილობა, რაც ასუსტებს ნდობასა და პროცესის უწყვეტობას.

არასამთავრობო ორგანიზაციები (NGO): NGO-ები გადამწყვეტ როლს ასრულებენ მასწავლებელთა გადამზადებაში, რეფერირების პროცესის მხარდაჭერასა და ცნობიერების ამაღლებაში, განსაკუთრებით იმ რეგიონებში, სადაც სახელმწიფო სერვისები ნაკლებად მისაწვდომია. თუმცა მათი ჩართულობა ხშირად დროებითი და დონორებზე დამოკიდებულია. სახელმწიფო აქტორებთან კოორდინაცია ფრაგმენტულია, რაც ზღუდავს სისტემურ გავლენას. NGO-ები ასევე აწყდებიან თემის მხრიდან უნდობლობასა და ლოგისტიკურ სირთულეებს სოფლად მუშაობისას.

ჯანდაცვის მუშაკები: მიუხედავად იმისა, რომ ჯანდაცვის სექტორის წარმომადგენლები საუკეთესო პოზიციაში არიან ძალადობის ფიზიკური ნიშნების გამოსავლენად, მათ ხშირად აკლიათ ტრენინგი ან ინფორმაცია შეტყობინების სამართლებრივი ვალდებულებების შესახებ, რომელიც მათ ეკისრებათ. მათ როლს

ჯერ კიდევ არასაკმარისად იყენებენ რეფერირების სისტემაში სუსტი ინტეგრაციის გამო.

პოლიციის ოფიცრები და გამომძიებლები: სამართალდამცავი ორგანოები ხშირად პირველები რეაგირებენ ძალადობის შესახებ შეტყობინებებზე. მათი ოპერატიულობა აღიარებულია, თუმცა კოორდინაცია სხვა აქტორებთან სუსტია. ოჯახები საგამოძიებო პროცესებს აღწერდნენ, როგორც „ემოციურად მოწყვეტილს" და ხშირად ხაზს უსვამდნენ სენსიტიურობისა და თანამშრომლობის გაზრდის მნიშვნელობას.

სახალხო დამცველი: ცნობილია, რომ სახალხო დამცველის აპარატი იჩენს მგრძნობიარობას ბავშვების მიერ გაკეთებული შეტყობინებების მიმართ და უზრუნველყოფს ანონიმურობას ციფრული პლატფორმების მეშვეობით. ამავდროულად, საკუთარი რეკომენდაციების აღსრულების ძალაუფლების არქონისა და რეგიონებზე შეზღუდული წვდომის გამო, სახალხო დამცველის გავლენა კვლავ შეზღუდულია.

წინამდებარე თავი ხაზს უსვამს იდენტიფიცირებისა და შეტყობინების პროცესის მრავალშრიან ბუნებას. მიუხედავად იმისა, რომ ინსტიტუციური ჩართულობის, სამართლებრივი მექანიზმებისა და თემის მონაწილეობის გზით მნიშვნელოვანი პროგრესი იქნა მიღწეული, კვლავაც მნიშვნელოვანი მუშაობაა საჭირო ნდობის მოსაპოვებლად, კოორდინაციის გასაუმჯობესებლად და სტიგმის შესამცირებლად, ყველა დონეზე.

2.4.2. ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის შეტყობინების სისტემა

ბავშვთა ძალადობისგან დაცვის რეფერირების პროცედურები

კვლევაში ჩართულ მხარეთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ არსებულმა ჩარჩოებმა მოახდინა ისეთი ძირითადი ინსტიტუტების როლის ფორმალიზება, როგორიცაა სკოლები, საბავშვო ბაღები, სოციალური მუშაკები და სამართალდამცავები. მათ დაეკისრათ პროაქტიული ვალდებულება ძალადობის შემთხვევების იდენტიფიცირებასა და რეფერირებაში. ამავდროულად, მონაწილეებმა არაერთხელ მიუთითეს, რომ რეფერირების პროცედურების მოძველებული ხასიათი საქართველოში ბავშვთა დაცვის სისტემის პრაქტიკულ გამოწვევას წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ ამ დოკუმენტმა ისტორიულად მნიშვნელოვანი როლი ითამაშა სავალდებულო შეტყობინების ფორმალიზებასა და ინსტიტუციური რეაგირების წარმართვაში, მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ მისი შეუსაბამობა თანამედროვე საკანონმდებლო ჩარჩოებთან და ახალ გამოწვევებთან ზღუდავს მის ეფექტურობას. მაგალითად, ერთ-ერთმა მანდატურმა განაცხადა: *რეფერირების*

პროცედურები ძალიან მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია, რომელიც ბავშვთა დაცვას უზრუნველყოფს. თუმცა აუცილებელია პასუხისმგებლობების დაზუსტება, რათა ყველამ ზუსტად იცოდეს, რა უნდა გააკეთოს.

საკუთარ პროფესიულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, მონაწილეებმა ასევე მიუთითეს ხარვეზებზე ამ ჩარჩოების პრაქტიკულ იმპლემენტაციაში. ინტერვიუებისა და ფოკუსჯგუფების დროს გამოკვეთილი ერთ-ერთი მთავარი საკითხი სხვადასხვა აქტორს შორის პასუხისმგებლობების გაწერისას არსებული არათანმიმდევრულობაა. მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტი ავალდებულებს ინსტიტუტებს შემთხვევების შეტყობინებას, ბევრი პროფესიონალი აღნიშნავს სირთულეებს საკუთარი ვალდებულებების ინტერპრეტაციისას დოკუმენტაციაში არსებული ბუნდოვანების გამო. მონაწილეთა აზრით, ეს გაურკვევლობა ძირს უთხრის ნდობას და შესაძლოა უმოქმედობის მიზეზიც გახდეს. *რეფერირების დოკუმენტი ამბობს, რომ ინსტიტუტები ვალდებულნი არიან მოახდინონ შეტყობინება, მაგრამ ის არ აკონკრეტებს საჭირო ნაბიჯებს, რაც დაბნეულობას იწვევს. რეფერირების დოკუმენტში ალბათ უფრო დეტალურად უნდა იყოს გაწერილი თითოეული უწყების პასუხისმგებლობა, რათა მათ ჰქონდეთ სრულყოფილი ინფორმაცია ერთმანეთის შესახებ,* - აღნიშნა სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელმა. მონაწილეთა თქმით, დოკუმენტს ასევე აკლია სპეციფიკური სახელმძღვანელო მითითებები გადასადგმელი ნაბიჯებისა თუ უწყებათაშორისი კოორდინაციის მექანიზმების შესახებ. სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს წარმომადგენელმა განმარტა: *რეფერირების პროცედურები კარგი დოკუმენტია, მაგრამ ის მკაფიოდ არ განსაზღვრავს ყველა აქტორის როლს. მაგალითად, დეტალურად არ არის გაწერილი, როგორ უნდა მოხდეს კოორდინაცია სამართალდამცავ ორგანოებსა და სოციალურ სამსახურებს შორის ინტერვენციის დროს. ყველა აქტორის როლი უნდა დაზუსტდეს რეფერირების დოკუმენტში. ამ სიცხადის გარეშე ინტერვენციები შეიძლება გახდეს ფრაგმენტული, რაც აფერხებს რეაგირებას ძალადობის შემთხვევებზე.*

გარდა ამისა, მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ რეფერირების პროცედურები, მათი აზრით, სათანადოდ არ ითვალისწინებს ახალ აქტორებს, როგორიცაა მუნიციპალური ბავშვთა დაცვის განყოფილებები, რომლებმაც გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულონ იდენტიფიცირებისა და შეტყობინების პროცესში. როგორც ერთ-ერთმა NGO-ს წარმომადგენელმა განმარტა: *გამოჩნდა ბევრი ახალი აქტორი, მაგალითად, მუნიციპალური სერვისები. რეფერირების დოკუმენტი უნდა გადაიხედოს, რათა მოხდეს მათი როლების ინტეგრირება და უზრუნველყოფილ იქნას შესაბამისობა არსებულ რეალობასთან.*

მონაწილეებმა ასევე ყურადღება გაამახვილეს ციფრული ძალადობის შემთხვევების ზრდაზე და დისტანციური ინტერვენციების მზარდ საჭიროებაზე, განსაკუთრებით, გაციფრულების ზოგადი ტენდენციების ფონზე. თუმცა მათი თქმით, რეფერირების

პროცედურები არ იძლევა მითითებებს ამ ახალ გამოწვევებთან დაკავშირებით. NGO-ს წარმომადგენელმა აღნიშნა: *ციფრული ტექნოლოგიების განვითარებამ ახალი გამოწვევები მოიტანა, მაგალითად, ძალადობის რისკების გაზრდა ციფრულ სივრცეში. რეფერირების დოკუმენტი არ ასახავს ამ რეალობას და კრიტიკულად მნიშვნელოვანია ამ საკითხების გადაჭრა გადახედვის პროცესში.*

ცხელი ხაზები შემთხვევების გამოსავლენად

ისეთი ცხელი ხაზები, როგორიცაა **111, 112** და **სახალხო დამცველის ცხელი ხაზი (1481),** საქართველოში ბავშვთა დაცვის ჩარჩოს ძირითადი კომპონენტებია, რომლებიც ძალადობის შეტყობინებისა და დახმარების ძიების მრავალფეროვან გზებს სთავაზობენ საზოგადოებას. მიუხედავად იმისა, რომ თითოეულ სერვისს განსხვავებული მანდატი აქვს, მათი პოტენციალი დროული ინტერვენციებისა და მისაწვდომობის გაზრდაში მდგომარეობს. თუმცა, კვლევის მიგნებები და დაინტერესებულ მხარეთა მოსაზრებები მიუთითებს, რომ მათი ამჟამინდელი გამოყენება კვლავ შეზღუდულია. საჭიროა შემდგომი ძალისხმევა საზოგადოებრივი ნდობის, ხილვადობისა და რეაგირების ხარისხის გასაძლიერებლად, რათა ეს მექანიზმები ეფექტურად ემსახურებოდეს ბავშვთა უსაფრთხოებას.

111: ბავშვთა დაცვის ცხელი ხაზი - კვლევამ აჩვენა, რომ 111 წარმოადგენს კონკრეტულად ბავშვთა დაცვაზე ორიენტირებულ ძირითად ცხელ ხაზს, რომელიც 24/7 რეჟიმში უზრუნველყოფს წვდომას კონსულტაციებზე, სახელმძღვანელო მითითებებსა და რეფერირებაზე (SCA-ს წარმომადგენლები). ბავშვებსა და ოჯახებს შეუძლიათ მოახდინონ შეტყობინება ძალადობის ნებისმიერი ფორმის, მათ შორის სექსუალური ძალადობის შესახებ, კონფიდენციალურ და მხარდამჭერ გარემოში. ოპერატორები გადამზადებულნი არიან, რათა უზრუნველყონ ბავშვის მოსმენა და მათთვის მიმართულების მიცემა. სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს წარმომადგენელის თქმით, *ჩვენი ცხელი ხაზი უზრუნველყოფს, რომ ნებისმიერ ბავშვს შეეძლოს კითხვების დასმა და მხარდაჭერის მიღება დღის ნებისმიერ მონაკვეთში. ბავშვების ხმა უნდა იქნას მოსმენილი და მას სათანადო რეაგირება უნდა მოჰყვეს.* სააგენტოს წარმომადგენლების მიერ სკოლებსა და ახალგაზრდულ ცენტრებში ჩატარებული საინფორმაციო კამპანიები ზრდის 111-ის შესახებ ცნობიერებას, თუმცა საჭიროა ამ კამპანიების მასშტაბის გაზრდა. *როდესაც გვეძლევა ჯგუფებთან ან ინსტიტუტებთან კომუნიკაციის შესაძლებლობა, ხაზს ვუსვამთ 111-ის მნიშვნელობას. ეს არის პირველი, რის პოპულარიზაციასაც ვახდენთ, სანამ უშუალოდ ძალადობაზე ან სხვა საკითხებზე გადავალთ* (SCA-ს წარმომადგენელი). 111 ასევე თანამშრომლობს სხვა უწყებებთან დროული მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად. სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს წარმომადგენელმა განმარტა: *ჩვენი ოპერატორები უზრუნველყოფენ პირველად რეაგირებას და ბავშვს აძლევენ სწორ მიმართულებას. ამგვარად, ბავშვის წუხილი უყურადღებოდ არასოდეს რჩება.*

გამოწვევები: 111-ის შესახებ ცოდნა კვლავ არასაკმარისია. ბავშვებისა და მშობლების ფოკუსჯგუფების მონაწილეთაგან არცერთს არ ჰქონდა ინფორმაცია ამ ნომრის შესახებ. *საინფორმაციო კამპანიები დიდ რესურსებსა და უწყვეტ მუშაობას მოითხოვს. ცხელი ხაზის პოპულარიზაცია უნდა გავრცელდეს სკოლებზე, ბაღებსა და ახალგაზრდულ ცენტრებზე, რათა ის ყველასთვის მისაწვდომი გახდეს* (ბავშვთა დაცვის ექსპერტი).

112: გადაუდებელი დახმარების ერთიანი ნომერი - უნივერსალური ცხელი ხაზი, 112 უზრუნველყოფს გადაუდებელი მომსახურების ფართო სპექტრს, მათ შორის პოლიციისა და საპატრულო ეკიპაჟების ჩართულობას და ხშირად წარმოადგენს პირველ საკონტაქტო წერტილს ბავშვზე ძალადობის შემთხვევებისას. იგი ექსკლუზიურად ბავშვებზე არ არის ფოკუსირებული, თუმცა კრიტიკულ როლს ასრულებს საგანგებო სიტუაციებში მყისიერი რეაგირების კუთხით. კრიტიკულ სიტუაციებში 112 ეფექტურად ახდენს პოლიციისა და სასწრაფო დახმარების მობილიზებას. *სექსუალური ძალადობის შემთხვევებთან დაკავშირებით 112-თან თანამშრომლობის პოზიტიური გამოცდილება გვაქვს. მათი მყისიერი ჩართულობა ხშირად გულისხმობს სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოსთან დაკავშირებას, რაც უზრუნველყოფს კოორდინირებულ რეაგირებას* (მანდატურის სამსახურის სოციალური მუშაკი). *როდესაც ძალადობის შემთხვევა ფიქსირდება 112-ის მეშვეობით, ის ჩვეულებრივ რეფერირდება სხვა შესაბამის უწყებებში, როგორიცაა სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო ან პოლიცია* (სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელი).

112-ის გამოწვევები: ზოგიერთმა მონაწილემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ 112-ის ოპერატორებს ესაჭიროებათ დამატებითი ტრენინგი ბავშვთა მიმართ ძალადობის სენსიტიური შემთხვევების ეფექტურად სამართავად. *„ოპერატორებს სჭირდებათ მეტი მომზადება, რათა უზრუნველყონ ტრავმაზე ორიენტირებული მიდგომა ამ პროცესში“* (სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელი). ასევე გამოიკვეთა 112-ის მეშვეობით რეფერირებული შემთხვევების (განსაკუთრებით ბავშვზე ძალადობის) დეტალიზებული სტატისტიკის წარმოების საჭიროება. *სტატისტიკა გაუმჯობესებას საჭიროებს. ჩვენ უნდა მოვახდინოთ ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევების დახარისხება 112-ის სისტემაში, რათა უკეთ დავინახოთ პრობლემის მასშტაბი* (სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელი).

სახალხო დამცველის ცხელი ხაზი - სახალხო დამცველის ცხელი ხაზი კიდევ ერთი გზაა ბავშვის უფლებების დარღვევის, მათ შორის, სექსუალური ძალადობის შესახებ შეტყობინებისთვის. იგი მხარს უჭერს ანონიმურ შეტყობინებას და მისაწვდომია ზარების, ელექტრონული ფოსტისა და სოციალური მედიის საშუალებით. *ბავშვებს შეუძლიათ შეგვატყობინონ ზარით, ტექსტური შეტყობინებით ან Instagram-ის მეშვეობითაც კი. ჩვენ ვცდილობთ, პროცესი მაქსიმალურად მარტივი და მისაწვდომი გავხადოთ* (სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელი). აპარატის

წარმომადგენლები აქტიურად უწევენ პოპულარიზაციას ცხელ ხაზს სკოლებში ვიზიტებისა და საინფორმაციო კამპანიების დროს. ცხელი ხაზი პრიორიტეტს ანიჭებს ანონიმურობას, რაც ამცირებს სტიგმისა თუ შურისძიების შიშს: *ბავშვებსა და ოჯახებს ხშირად ეშინიათ, რომ მათი ვინაობა არ იქნება დაცული, მაგრამ ჩვენ მათ ანონიმურობის გარანტიას ვაძლევთ. ამ სისტემის მიმართ ნდობის მშენებლობა კრიტიკულად მნიშვნელოვანია* (სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელი).

გამოწვევები: მიუხედავად მოქნილობისა, მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ბევრმა ოჯახმა, განსაკუთრებით სოფლად, არ იცის სახალხო დამცველის ცხელი ხაზისა და მისი სერვისების შესახებ. ასევე ზოგჯერ გამოითქვა წუხილი შეტყობინებების დამუშავების ან შემდგომი რეაგირების დაგვიანებასთან დაკავშირებით. *შეტყობინებების დამუშავებისას ხანდახან ხდება შეფერხებები. ამის გამოსასწორებლად საჭიროა უკეთესი კოორდინაცია და სისტემის შიგნით შესაძლებლობების გაძლიერება* (სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელი).

სახალხო დამცველის აპარატი დამატებით განმარტავს, რომ სოფლად ინფორმირებულობის დაბალი დონე უფრო მეტად საზოგადოებრივ გამოწვევას ასახავს, ვიდრე აპარატის მიერ განხორციელებული საინფორმაციო აქტივობების ნაკლებობას. უწყება ამ საკითხს აქტიურად უმკლავდება თავისი 11 რეგიონული ოფისის, თემატური დეპარტამენტებისა და ბავშვებთან, ოჯახებსა თუ პროფესიონალებთან რეგულარული საინფორმაციო შეხვედრების მეშვეობით.

გარდა ამისა, მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის ბაზაზე ფუნქციონირებს 24-საათიანი ცხელი ხაზი (08 00 00 00 88). ასევე, არსებობს ონლაინ პორტალი — befriend.mes.gov.ge, რომელიც კვალიფიციურ ფსიქოლოგიურ კონსულტაციასა და კონფიდენციალურ ჩატს სთავაზობს მოსწავლეებსა და სასკოლო ცხოვრებაში ჩართულ სხვა პირებს.

111-ის, 112-ისა და **სახალხო დამცველის ცხელი ხაზის** ხილვადობის, მისაწვდომობისა და კოორდინაციის გაძლიერებით, საქართველო შეძლებს შექმნას უფრო ინკლუზიური[11] და ეფექტიანი ბავშვთა დაცვის ჩარჩო. როგორც ერთ-ერთმა მონაწილემ აღნიშნა: *ამ სერვისების პოპულარიზაცია მხოლოდ ცნობიერების ამაღლებას არ ემსახურება; ეს ბავშვებსა და ოჯახებს აძლევს თავდაჯერებულობას, რათა მათ შიშის გარეშე ისაუბრონ* (ბავშვთა დაცვის ექსპერტი).

2.5. რეაგირება ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის შემთხვევებზე

[11] *შინაგან საქმეთა სამინისტრო ხაზს უსვამს, რომ 112-ის სერვისი უკვე ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებებზე.*

ბავშვთა მიმართ სექსუალურ ძალადობაზე (CSA) რეაგირება მოითხოვს კოორდინირებულ, ტრავმაზე ორიენტირებულ და ბავშვზე მორგებულ მართლმსაჯულების სისტემას. საქართველომ ამ მიმართულებით მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია, მათ შორის ბარნაჰუსის (Barnahus) ცენტრების დანერგვითა და სპეციალიზებული პროფესიონალების მომზადებით. თუმცა საველე კვლევის მიგნებები მიუთითებს, რომ კვლავ რჩება სერიოზული გამოწვევები ყველა ბავშვისთვის დროული, სენსიტიური და მისაწვდომი მართლმსაჯულების უზრუნველყოფის კუთხით, განსაკუთრებით დიდი ქალაქებს გარეთ.

2.5.1. გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა

CSA-ს გამოძიება იწყება ძალადობის შესახებ შეტყობინებით და მასში ჩართულია არაერთი აქტორი: სამართალდამცავები, პროკურორები, სოციალური მუშაკები და სასამართლო ექსპერტები. ბარნაჰუსის მოდელი, რომელიც თბილისშია მისაწვდომი, საშუალებას აძლევს ბავშვს მისცეს ჩვენება, ჩაიტაროს სამედიცინო შემოწმება და მიიღოს ფსიქოსოციალური მხარდაჭერა ბავშვზე მორგებულ ერთიან გარემოში. ეს სრულად შეესაბამება ლანზაროტეს კონვენციასა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსს. როგორც ერთ-ერთმა პროკურორმა აღნიშნა: *ბარნაჰუსი არის სივრცე, სადაც ბავშვები თავს უფრო უსაფრთხოდ გრძნობენ, რაც ამცირებს რეტრავმატიზაციის რისკს.*

მიუხედავად ეფექტურობისა, ბარნაჰუსი გეოგრაფიულად შეზღუდულია. თბილისს გარეთ მყოფი მონაწილეების თქმით, რეგიონებში მომუშავე პროფესიონალის უმეტესობა არ იცნობს მისი რეფერირების პროცედურებს ან თავს არიდებს მის გამოყენებას. *ოჯახებს უჭირთ თბილისში ჩამოსვლა ექსპერტიზისთვის, რაც აფერხებს საქმის წარმოებას და ზრდის ტრავმას,* - განმარტა სახალხო დამცველის წარმომადგენელმა. თბილისშიც კი, ზოგიერთმა პროფესიონალმა აღნიშნა, რომ ფსიქოლოგების ნაკლებობის გამო ბავშვებს ხანდახან საათობით უწევთ ლოდინი. პროგრესად უნდა შეფასდეს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ რამდენიმე რეგიონში მოაწყო სპეციალიზებული საგამოძიებო ოთახები[12] და განახორციელა სასწავლო ინიციატივები. ამის მიუხედავად, იმ რეგიონებში, სადაც ცენტრი და სპეციალიზებული სივრცეები მისაწვდომი არ არის, ბავშვების გამოკითხვა ხდება კვლავ შედარებით ფორმალურ, მათთვის დამაშინებელ გარემოში (მაგალითად, პოლიციის განყოფილებებში). ზოგიერთ შემთხვევაში შესაბამისი სივრცის არარსებობის გამო პოლიციის ხელმძღვანელი პირების მიერ ხდება საკუთარი სამუშაო ოთახის დათმობა დაზარალებულის განცალკევებულ სივრცეში გამოკითხვისთვის (სახალხო დამცველის ანგარიში ქალთა მიმართ სექსუალური

[12] *შინაგან საქმეთა სამინისტროს აქვს ბავშვზე მორგებული სპეციალიზებული ოთახები თბილისის, ქუთაისის, პანკისის, რუსთავისა და ბათუმის ტერიტორიულ სამმართველოებში.*

ძალადობის დანაშაულებზე მართლმსაჯულების განხორციელება საქართველოში, 2022).

სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა დამატებით ფერხდება სასამართლო ნებართვის მოთხოვნისა და რეგიონებში სპეციალისტების ნაკლებობის გამო. პროკურორებთან ინტერვიუებიდან იკვეთება, რომ ეს სამართლებრივი ბარიერები საფრთხეს უქმნის როგორც მტკიცებულებების შეგროვებას, ისე ბავშვის კეთილდღეობას. სასამართლო-სამედიცინო ინტერვიუები, რომლებიც იდეალურ შემთხვევაში მხოლოდ ერთხელ უნდა ჩატარდეს და აუდიო-ვიდეო ჩაწერა მოხდეს, დაშვებულია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით. თუმცა სასამართლოები სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსზე დაყრდნობით, ხშირად მაინც ითხოვენ წერილობით ტრანსკრიპტებს. *მაშინაც კი, როდესაც ყველა ინტერვიუს ვწერთ, ტრანსკრიპტები მაინც მოითხოვება და ბავშვები საათობით იცდიან,* - აღნიშნა სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს წარმომადგენელმა.

არაერთი მონაწილის თქმით, როდესაც ბავშვთან გასაუბრებას ადგილი აქვს ბარნაჰუსის გარეთ, გარემო ხშირად დამაშინებელია და აღსანიშნავია ზრდასრულთა გადაჭარბებული რაოდენობა. *ბავშვები ზოგჯერ შვიდი ზრდასრულის წინაშე აღმოჩნდებიან ხოლმე ერთი ინტერვიუს დროს. დახმარების ნაცვლად, ეს დამატებით სტრესს ქმნის,* - განაცხადა NGO-ს წარმომადგენელმა.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები დამატებით ბარიერებს აწყდებიან, რამეთუ ზოგიერთი პროფესიონალ ხაზს უსვამს ადაპტირებული კომუნიკაციის ინსტრუმენტებისა და ტრენინგის ნაკლებობას. *პროკურორებს უჭირთ შშმ ბავშვებთან კომუნიკაცია, რაც ხშირად წარუმატებელ ჩვენებებს განაპირობებს,* - განაცხადა ერთ-ერთმა პროკურორმა. ეს წუხილი თანხვედრაშია სამაგიდე კვლევაში გამოკვეთილ ხარვეზებთან, რომლებიც მისაწვდომობისა და გონივრული მისადაგების სტანდარტებს ეხება.

ონლაინ სექსუალური ძალადობის (Online CSA) გამოძიებას აფერხებს საერთაშორისო პლატფორმებიდან ციფრული მტკიცებულებების მოპოვების ხანგრძლივი პროცესი. მიუხედავად იმისა, რომ მონაცემთა გამოთხოვის ოფიციალური მექანიზმები არსებობს, პასუხის მიღებას შესაძლოა თვეები დასჭირდეს. *Facebook-ისგან პასუხს 4–5 თვე ველოდებით, Google-ს კი ზოგჯერ ხუთ წლამდე სჭირდება,* - აღნიშნა სპეციალური საგამოძიებო სამსახურის წარმომადგენელმა. როგორც ბუდაპეშტის კონვენციასთან დაკავშირებით სამაგიდე კვლევის ნაწილშიც იყო ხაზგასმული, ტრანსსასაზღვრო სამართლებრივი თანამშრომლობა ნელია, რაც ართულებს შემდგომი ზიანის თავიდან აცილებას.

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთმა პროფესიონალმა გააუმჯობესა ბავშვზე მორგებული მიდგომები. ამ კუთხით NGO-ები და იურიდიული ექსპერტები 2015 წლის შემდეგ

პოზიტიურ ცვლილებებს აღნიშნავენ : *დღეს ჩვენ ვხედავთ უფრო სენსიტიურ გამომძიებლებს, რომლებიც ცდილობენ ბავშვის საჭიროებებზე მორგებას,* — აღნიშნა ერთ-ერთმა NGO-ს წარმომადგენელმა. ამავდროულად მონაწილეებმა გამოთქვეს წუხილი ზოგიერთ უწყებაში ტრენინგების სიღრმისა და თანმიმდევრულობის შესახებ. *სპეციალიზაცია ხშირად ნიშნავს ორდღიან კურსს გამოცდის გარეშე. რა ღირებულებებს ვაფასებთ ამ დროს?* - კითხულობს ერთ-ერთი მოსამართლე.

მუნიციპალური სოციალური მუშაკები და სკოლის წარმომადგენლები საკვანძო როლს ასრულებენ, თუმცა მონაწილეები მიუთითებენ მანდატების ბუნდოვანებასა და კოორდინაციასთან დაკავშირებულ მუდმივ გამოწვევებზე. *რეგიონებში თანამშრომლობა პრაქტიკულად არ არსებობს. მკაფიო შემთხვევებშიც კი პასუხისმგებლობები გაურკვეველია,* - განაცხადა NGO-ს წარმომადგენელმა. შეზღუდული რესურსები და საქმეების დიდი რაოდენობა ამ პროფესიონალებს უძნელებს საკუთარი მანდატის სრულყოფილად შესრულებას, რაც ბავშვთა დაცვის სისტემის ზოგად შეფასებებშიც აისახება.

ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის (CSA) გამოძიება ხშირად წარმოშობს კონფლიქტს სამართლებრივ პროცედურებსა და ფსიქოლოგიურ კეთილდღეობას შორის. *თუ დავაყოვნებთ, სურათები/ვიდეოები შეიძლება გავრცელდეს. მაშინაც კი, თუ გარემო არ არის იდეალური, ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ,* - განმარტა გამომძიებელმა. ზოგ შემთხვევებში, პროცედურები ბავშვის მძიმე ემოციური მდგომარეობის გამო წყდება: *მსხვერპლი ისტერიკაში ჩავარდა, როდესაც მას ფოტოები წარუდგინეს,* - იხსენებს კიდევ ერთი რესპონდენტი.

2.5.2. ბავშვზე მორგებული სასამართლო პროცესი

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი შეესაბამება ევროპულ სტანდარტებს და მას კიდევ უფრო განამტკიცებს ბავშვის უფლებათა კოდექსი. როგორც დოკუმენტურ კვლევაშიც არის აღნიშნული, საკანონმდებლო ჩარჩო ასახავს ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების საკვანძო პრინციპებს. თუმცა მონაწილეები მუდმივად მიუთითებენ, რომ პრაქტიკული იმპლემენტაცია არაერთგვაროვანია. *საკანონმდებლო ბაზა პროგრესულია, მაგრამ პრაქტიკა ჩამორჩება,* - აღნიშნა ერთ-ერთმა მოსამართლემ.

ჩვენების ვიდეო ჩაწერის შესახებ სამართლებრივი მოთხოვნის არარსებობის გამო ბავშვებს მრავალჯერ იძახებენ სასამართლოში. ზოგიერთი მოსამართლის მითითებით ჩვენების მიცემისას ბრალდებული გაყავთ დარბაზიდან ან დაშვებულია დისტანციური ჩართვა, თუმცა ამას ყველა მოსამართლე არ აკეთებს. *მიუხედავად სამართლებრივი თანხვედრისა, ბევრი სასამართლო იშვიათად იყენებს ამ პრინციპებს*

პრაქტიკაში, - განაცხადა ერთ-ერთმა მოსამართლემ. ზოგადად, სასამართლო დარბაზებს აკლია ბავშვზე მორგებული აღჭურვილობა.

იუსტიციის უმაღლესი საბჭო დამატებით განმარტავს, რომ ბოლო წლებში მნიშვნელოვანი ძალისხმევა იქნა გაწეული საქართველოს სასამართლოებში ბავშვზე მორგებული გარემოს შესაქმნელად. სპეციალურად ადაპტირებული ოთახები ბავშვებისთვის ამჟამად მისაწვდომია ექვს სასამართლოში, მათ შორის საქართველოს უზენაეს სასამართლოში; მსგავსი ინფრასტრუქტურის მოწყობა დაგეგმილია ხულოს, ბაღდათისა და ლაგოდეხის მაგისტრატი სასამართლოების ახალ შენობებში. იუსტიციის უმაღლესი საბჭო და საერთო სასამართლოების დეპარტამენტი აქტიურად მუშაობენ ინფრასტრუქტურის ეტაპობრივ გაუმჯობესებაზე, რათა ყველა სასამართლოში არსებობდეს ბავშვზე მორგებული სივრცე.

იუსტიციის საბჭოს განმარტებით, 2020 წელს დამტკიცებული მოსამართლეთა სპეციალიზაციის სტანდარტები მოითხოვს ყოველწლიურ უწყვეტ სწავლებას იმ მოსამართლეებისთვის, რომლებიც განიხილავენ ბავშვებთან დაკავშირებულ საქმეებს. სწავლება მოიცავს კომუნიკაციისა და გამოკითხვის ტექნიკებს, მათ შორის NICHD პროტოკოლს. 2023 წელს მოსამართლეთა მიმდინარე ტრენინგ-პროგრამებს დაემატა ახალი მოდული: *დაწაშაულისა და ძალადობის მსხვერპლი და მოწმე ბავშვების მონაწილეობით საქმეების განხილვა სასამართლოში.* მიუხედავად ამისა, რესპონდენტთა ნაწილის განმარტებით, მოსამართლეებისა და პროკურორების ტრენინგები არათანმიმდევრულია და არ ექვემდებარება შემდგომ მონიტორინგს. საქმის შედეგზე კვლავ ახდენს გავლენას სტერეოტიპები. *ზოგჯერ მიწევს ბრძოლა იმისთვის, რომ მოსამართლემ გაიგოს, რატომ უნდა შევიდეს მსხვერპლი სასამართლო დარბაზში ცალკე კარიდან,* - აღნიშნა ერთ-ერთმა ადვოკატმა. მონაწილეებმა ასევე შენიშნეს, რომ სასამართლო გადაწყვეტილებებში იშვიათად გვხვდება მითითება საერთაშორისო კონვენციებზე, მაგალითად, ლანზაროტეს კონვენციაზე.

ბავშვის გზა სასამართლო პროცესის მანძილზე მოიცავს მომზადებას, ჩვენების მიცემასა და სასამართლოს შემდგომ მხარდაჭერას. მიუხედავად იმისა, რომ ბარნაჰუსი განამტკიცებს მზაობას, საველე კვლევა აჩვენებს, რომ პრაქტიკაში, თბილისს გარეთ, კოორდინაციის ხარვეზები და პროფესიონალების დაგვიანებული ჩართულობა ჩვეული მოვლენაა. საქმის წარმოების გაჭიანურება, რაც ხშირად გამოწვეულია საქმეების დიდი რაოდენობით, კიდევ უფრო მეტ ტრავმას აყენებს ბავშვებს. *იმ დროისთვის, როდესაც ბავშვს ჩვენების მიცემას სთხოვენ, შესაძლოა წლები იყოს გასული,* - აღნიშნა ადვოკატმა.

ზოგიერთი მოსამართლე და იურისტი იყენებს ტრავმაზე ორიენტირებულ მიდგომებს, თუმცა მონაწილეებმა დააფიქსირეს არასათანადო დაკითხვის

შემთხვევებიც. *ადვოკატმა მიანიშნა, რომ ბავშვმა თავად გამოიწვია ძალადობა - მომიწია ჩარევა,* - იხსენებს მოსამართლე. ფორმალური სახელმძღვანელო მითითებებისა და სპეციალიზებული პერსონალის ნაკლებობა პრობლემას კიდევ უფრო ამწვავებს.

სასამართლო პროცესის შემდგომი მხარდაჭერის სერვისები არათანმიმდევრულია. თბილისში ზოგიერთი ბავშვი აგრძელებს ფსიქოლოგიურ მკურნალობას, მაგრამ სხვაგან ეს სერვისები დეფიციტურია. *სასამართლო პროცესი შეიძლება დასრულდეს, მაგრამ ბავშვის ტრავმა - არ სრულდება,* - განაცხადა მოსამართლემ. სავალდებულო მონიტორინგის გარეშე ბავშვები შესაძლოა კვლავ დარჩნენ საფრთხის შემცველ გარემოში. *დაცვის ღონისძიებები სასამართლო პროცესთან ერთად არ უნდა სრულდებოდეს,* - ხაზი გაუსვა პროკურორმა. ასევე, არ არსებობს პლატფორმა შედეგების შესაფასებლად და წარსული შემთხვევებიდან სწავლისთვის. *ჩვენ გვჭირდება უკუკავშირის ინსტრუმენტები მუდმივი გაუმჯობესებისთვის*, - აღნიშნა NGO-ს წარმომადგენელმა.

2.5.3. ძირითადი მხარეები და მათი როლები

ბავშვები: ბავშვებს უნდა ეპყრობოდნენ, როგორც უფლებების მქონე სუბიექტებს. ფსიქოლოგის მხარდაჭერით, ზოგიერთი ბავშვი გრძნობს ძალას, მონაწილეობა მიიღოს პროცესში, თუმცა ბევრი მათგანი კვლავ მოუმზადებელი და დაშინებულია. შშმ ბავშვები დამატებითი გამოწვევების წინაშე დგანან ადაპტირებული კომუნიკაციის ნაკლებობის გამო, რაც აღინიშნა როგორც პრაქტიკოსების მხრიდან, ისე სამაგიდე კვლევის მიგნებებში.

მშობლები და მზრუნველები: ზოგიერთი მათგანი უზრუნველყოფს აუცილებელ მხარდაჭერას, ზოგი კი - განსაკუთრებით, ოჯახში ძალადობის შემთხვევებში - ხელს უშლის ბავშვის მონაწილეობას. *ოჯახები ცდილობდნენ გამოძიების შეჩერებას საკუთარი სახელის დასაცავად,* - აღნიშნა ადვოკატმა.

გამომძიებლები: ისინი, ვინც იყენებენ ბარნაჰუსის მოდელსა და ტრავმაზე ორიენტირებულ მეთოდებს, კარგ პრაქტიკას ავლენენ. თუმცა ზოგ შემთხვევაში, მონაწილეთა თქმით, კვლავ ნარჩუნდება ტრადიციული მეთოდები, რაც იწვევს განმეორებით გამოკითხვებსა და ხანგრძლივ ლოდინს. *ბავშვზე მორგებული სისტემა ასე არ უნდა ფუნქციონირებდეს,* - განაცხადა ერთ-ერთმა გამომძიებელმა.

პროკურორები: ზოგიერთი მათგანი ხელს უწყობს დამცავი ღონისძიებების გატარებას და ებრძვის საზიანო პრაქტიკას, ზოგი კი მკაცრად მიჰყვება ფორმალურ პროცედურებს. *ჩემთვის რთული იქნება ბავშვის ემოციების დისტანციურად შეფასება,* - აღნიშნა ერთ-ერთმა პროკურორმა.

მოსამართლეები: ზოგიერთი მოსამართლე საუკეთესო პრაქტიკას ავლენს, მაგალითად უშვებს დისტანციურ ჩვენებას და ერევა არასათანადო კითხვების

დასმის პროცესში. თუმცა, მონაწილეებმა ხაზი გაუსვეს მომზადების შეზღუდულ დროსა და ტრენინგების ნაკლებობას. *ხშირად სხდომამდე მხოლოდ 15 წუთით ადრე ვიგებ, რომ მსხვერპლი ბავშვის საქმე მაქვს განსახილველი,* - აღნიშნა ერთ-ერთმა მოსამართლემ.

მსხვერპლის ადვოკატები: მათ მნიშვნელოვანი როლი აქვთ დამცავი პირობების უზრუნველყოფის და ბავშვის ინტერესების დაცვის კუთხით, თუმცა საველე კვლევის მიგნებებით, ისინი პროცესში ხშირად ძალიან გვიან ერთვებიან. *ბევრმა ოჯახმა არც კი იცის, რომ გამოძიების ეტაპზევე შეუძლიათ იურიდიული წარმომადგენლობის მოთხოვნა,* - აღნიშნა ერთ-ერთმა ადვოკატმა.

სოციალური მუშაკები და ფსიქოლოგები: ადრეულ ეტაპზე ჩართვის შემთხვევაში, ისინი კრიტიკულად მნიშვნელოვან მხარდაჭერას უზრუნველყოფენ. თუმცა პროცესში დაგვიანებული ჩართვა, კადრების დენადობა და საქმეების სიმრავლე ზღუდავს მათ გავლენას. *დღეს ბავშვს ერთი სოციალური მუშაკი წარმოადგენს, ხვალ - სხვა. ეს არ არის საკმარისი,* - განაცხადა სოციალურმა მუშაკმა.

მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორები: ისინი სულ უფრო და უფრო აქტიურად ასრულებენ დამცავი ღონისძიებების ეფექტური ფასილიტატორის როლს, თუმცა ეს როლი ჯერ კიდევ არ არის ფართოდ ინსტიტუციონალიზებული. 2024 წლიდან არასრულწლოვანთა მიმართ სექსუალური ხასიათის დანაშაულების საქმეებში პროკურატურის კოორდინატორთა მონაწილეობა სავალდებულო გახდა (გენერალური პროკურორის ბრძანება №217, 2024 წლის 16 სექტემბერი). პროკურატურის განმარტებით, მათი ჩართულობა ბოლო წლებში გაიზარდა, რაც ხაზს უსვამს ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის საქმეებში კოორდინატორების სისტემური მონაწილეობის მნიშვნელობას. რეკომენდებულია მათი როლის შემდგომი გაფართოება პრაქტიკულ დონეზე და მათი ჩართულობის შინაარსობრივი მხარის მუდმივი შეფასება.

სკოლები და თემები: ზოგიერთი სკოლა გვთავაზობს არაფორმალურ მხარდაჭერას, თუმცა ბევრ მათგანს აკლია შესაბამისი მომზადება. *მასწავლებლები თავს არიდებენ შემთხვევაზე რეაგირებას, რადგან სამართლებრივი შედეგების ეშინიათ,* - აღნიშნა არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელმა.

2.5.4. ბარიერები

საქართველოს ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების სისტემის ეფექტურობას მნიშვნელოვნად აფერხებს მყარი ინსტიტუციური და ინდივიდუალური ბარიერები. ეს დაბრკოლებები იწვევს მსხვერპლთა რეტრავმატიზაციას, ზღუდავს მათ წვდომას მხარდაჭერაზე და, საბოლოო ჯამში, ასუსტებს ნდობას მართლმსაჯულების სისტემის მიმართ. პოზიტიურმა რეფორმებმა და თავდადებულმა პროფესიონალებმა შექმნეს

ბავშვზე ორიენტირებული მართლმსაჯულების საფუძველი, თუმცა იმპლემენტაციის პროცესში კვლავ მნიშვნელოვანი ხარვეზებია.

ინსტიტუციურ დონეზე ისეთი სავალდებულო პროცედურების არარსებობა, როგორიცაა ჩვენების ვიდეო ჩანაწერი, ბავშვზე მორგებული ინფრასტრუქტურის ნაკლებობა და ძირითად ნორმებს შორის არსებული წინააღმდეგობები განაპირობებს არათანმიმდევრულ და ხშირად საზიანო პრაქტიკას. ინდივიდუალურ დონეზე კი, მავნე სტერეოტიპები, პროფესიული მხარდაჭერის უწყვეტობის ნაკლებობა და მშობლების მხრიდან წინააღმდეგობა კიდევ უფრო ართულებს ბავშვისთვის მართლმსაჯულების სისტემაში ნავიგაციას. ამ კომპლექსური გამოწვევების დაძლევა მოითხოვს არა მხოლოდ საკანონმდებლო რეფორმას, არამედ სისტემურ ერთგულებას ტრავმაზე ორიენტირებული და უფლებებზე დაფუძნებული პრაქტიკისადმი, პროცესის ყველა ეტაპზე.

ინსტიტუციური ბარიერები:

- ჩვენების ვიდეო ჩაწერის შესახებ სავალდებულო მოთხოვნის არ არსებობა და ბავშვზე მორგებული პროცედურების არათანმიმდევრული გამოყენება.
- შეზღუდული ინფრასტრუქტურა (ადაპტირებული ოთახები მხოლოდ ექვს სასამართლოშია).
- სამართლებრივი წინააღმდეგობები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსსა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს შორის.
- სუსტი უწყებათაშორისი კოორდინაცია.
- გადატვირთული სოციალური მუშაკები და ფსიქოლოგები.
- სასამართლო პროცესის შემდგომი მონიტორინგის სისტემის ან შემთხვევების განხილვის ეროვნული მონაცემთა ბაზის არარსებობა.

ინდივიდუალური ბარიერები:

- რეტრავმატიზაციის გამომწვევი დაკითხვა იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების მიერ.
- მყარი სტერეოტიპები და მიკერძოება, განსაკუთრებით, მოწყვლადი ბავშვების მიმართ.
- პროფესიული მხარდაჭერის უწყვეტობის ნაკლებობა (კადრების ცვლა).
- მშობლების წინააღმდეგობა სტიგმის ან ემოციური ზეწოლის გამო.
- ბავშვების უნდობლობა ინსტიტუტების მიმართ სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ.

სტრუქტურული რეფორმების, უწყვეტი ტრენინგებისა და უკეთესი კოორდინაციის გარეშე მართლმსაჯულების სისტემა რისკის ქვეშ აყენებს ბავშვების ნდობას და კეთილდღეობას. მიუხედავად პროგრესისა, ბავშვთა მიმართ სექსუალური

ძალადობის შემთხვევებში ტრავმაზე ორიენტირებული, თანმიმდევრული და უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის უზრუნველყოფა გადაუდებელ პრიორიტეტად რჩება.

2.6. რეაბილიტაციის და მხარდაჭერის სერვისები

2.6.1. სერვისების მიწოდების არსებული მოდელის მიმოხილვა

საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ბავშვთა მიმართ ძალადობის მსხვერპლთათვის სერვისების განვითარების კუთხით, ისეთი ინიციატივების შემოღების გზით, როგორიცაა ბავშვთა დახმარების ცხელი ხაზი 111, კრიზისული ცენტრები, თავშესაფრები და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მართული პროგრამები. ეს მექანიზმები ბავშვებს სთავაზობს აუცილებელ იურიდიულ, ფსიქოლოგიურ და სოციალურ მხარდაჭერას, რაც ასახავს სისტემის მიმართ ნდობასა და ინფორმირებულობის ზრდას (NGO-ების, სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოსა და ადვოკატების შეფასებით). როგორც სააგენტოს წარმომადგენელმა აღნიშნა: *ისეთი სერვისების მზარდი გამოყენება, როგორიცაა დახმარების ცხელი ხაზი 111, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებასა და სისტემისადმი ნდობაზე მიუთითებს.*

მიუხედავად ამ მიღწევებისა, საველე კვლევა აჩვენებს, რომ სოფლად მცხოვრები თემები სერიოზული უთანასწორობის წინაშე დგანან. სერვისები კვლავ ქალაქებშია კონცენტრირებული, რაც რეგიონებს შეზღუდული წვდომის პირობებში ტოვებს და კიდევ უფრო ზრდის მოწყვლადობას. *აშკარაა განსხვავება ქალაქსა და სოფელს შორის სერვისების მისაწვდომობის კუთხით, რაც სასწრაფო რეაგირებას მოითხოვს,* - განაცხადა ერთ-ერთმა NGO-ს წარმომადგენელმა. სოფლის მუნიციპალიტეტებში ხშირად არ არიან ფსიქოლოგები, იურიდიული ექსპერტები და სოციალური მუშაკები. გადატვირთულ პროფესიონალებს კი უჭირთ მოთხოვნის დაკმაყოფილება. *ისინი ყველაფერს აკეთებენ, მაგრამ შეზღუდული პერსონალითა და რესურსებით შეუძლებელია ყველა შემთხვევის საფუძვლიანი დაფარვა,* - აღინიშნა NGO-ს წარმომადგენლის მხრიდან.

ტრანსპორტირება და ლოგისტიკური ბარიერები კიდევ უფრო ართულებს ისეთ სერვისებზე წვდომას, როგორიცაა ბარნაჰუსი და კრიზისული ცენტრები. *ფიზიკური დისტანცია სერვისსა და იმ ადამიანებს შორის, ვისაც ეს სერვისი სჭირდება, მნიშვნელოვან ნაპრალს ქმნის,* - აღნიშნა ბავშვთა დაცვის ექსპერტმა. გარდა ამისა, მოკლევადიან დონორულ დაფინანსებაზე გადამეტებული დამოკიდებულება საფრთხეს უქმნის სერვისების უწყვეტობას. *ჩვენ გვჭირდება სტაბილური, გრძელვადიანი დაფინანსება, რათა ეს სერვისები ყველა ბავშვისთვის იყოს მისაწვდომი,* - ხაზი გაუსვა NGO-ს წარმომადგენელმა.

კოორდინაცია კვლავ მთავარ გამოწვევად რჩება. საველე კვლევისას გამოიკვეთა ფრაგმენტული პასუხისმგებლობები სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს, NGO-ებსა და მუნიციპალიტეტებს შორის, რაც ხშირად იწვევს არაეფექტურობას: *უფრო მჭიდრო თანამშრომლობისა და როლების მკაფიო გაწერის გარეშე, რთულია კომპლექსური მხარდაჭერის უზრუნველყოფა,* - აღნიშნა NGO ექსპერტმა.

თვით ქალაქებშიც კი, კრიზისული ცენტრები და თავშესაფრები ხშირად სრული დატვირთვით მუშაობენ, რაც იწვევს ფსიქოლოგიური თუ იურიდიული მხარდაჭერის დაგვიანებას. საჭიროა სტრატეგიული მიდგომა - ინფრასტრუქტურის გაფართოება, რეგიონული უთანასწორობის აღმოფხვრა და მუდმივი დაფინანსებისა თუ კოლაბორაციის უზრუნველყოფა, რათა ყველა ბავშვმა შეძლოს დროული და ეფექტური სარეაბილიტაციო დახმარების მიღება.

2.6.2. მხარდაჭერის არსებული სტრუქტურა

ეფექტური რეაბილიტაცია უნდა იყოს ტრავმაზე ორიენტირებული, ბავშვზე კონცენტრირებული და უწყვეტი - შეტყობინების მომენტიდან გრძელვადიან კეთილდღეობამდე (ბავშვთა დაცვის ექსპერტები, სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო, NGO-ს წარმომადგენლები). ის უნდა აერთიანებდეს ფსიქოლოგიურ, სამართლებრივ და სოციალურ მხარდაჭერას ერთიან, კოორდინირებულ სისტემაში.

დაინტერესებულმა მხარეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ რეაბილიტაცია არ არის მხოლოდ კლინიკური პროცესი; ის ეყრდნობა მხარდამჭერ ქცევით ეკოსისტემას. ამ პროცესს ექვსი ძირითადი აქტორი აყალიბებს: ბავშვები, მზრუნველები, სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო (SCA), სერვისის მიმწოდებლები, არასამთავრობო ორგანიზაციები და თემები.

მსხვერპლმა ბავშვებმა უნდა იგრძნონ, რომ მათი ესმით და მხარს უჭერენ. *ბავშვის თავდაპირველმა საუბარმა პროფესიონალთან შეიძლება განსაზღვროს, ენდობა თუ არა ის სისტემას,* - აღნიშნა ერთ-ერთმა ფსიქოლოგმა. გაძლიერების შემთხვევაში, ბავშვები უფრო აქტიურად ერთვებიან სერვისებში (ბავშვების ჯგუფი, სახალხო დამცველი).

მშობლებს და მზრუნველებს შეუძლიათ ხელი შეუწყონ ან პირიქით, შეაფერხონ გამოჯანმრთელების პროცესი. ზოგიერთი მათგანი ემოციურ მხარდაჭერას სთავაზობს ბავშვს; ზოგი კი, განსაკუთრებით, ოჯახში ძალადობის შემთხვევებში, უარყოფს ძალადობის ფაქტს ან ბლოკავს ბავშვის მონაწილეობას სერვისებში. *ზოგიერთი მშობელი უარს ამბობს ძალადობის აღიარებაზე, რადგან ეს მტკივნეულ რეალობასთან დაპირისპირებას ნიშნავს,* — აღნიშნა სოციალურმა მუშაკმა.

სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო (SCA) ასრულებს საკოორდინაციო როლს, ნიშნავს სოციალურ მუშაკებს, უზრუნველყოფს სერვისებზე წვდომას და ხელს უწყობს

ტრავმაზე ორიენტირებულ ინტერვენციას. მიუხედავად პროფესიული ზედამხედველობისა, საქმეების სიმრავლე აფერხებს სერვისის მიწოდებას. *ასეთი დიდი რაოდენობის საქმეების პირობებში, რთულია თითოეულ ბავშვს დაუთმო ისეთი ყურადღება, როგორიც მას სჭირდება,* — განაცხადა სოციალურმა მუშაკმა.

სერვისის მიმწოდებლები: ფსიქოლოგები, თავშესაფრის პერსონალი და საგანმანათლებლო ოფიცრები უშუალო დახმარებას უწევენ ბავშვს. უწყვეტობა და ადგილზე მისაწვდომობა კვლავ მთავარ გამოწვევად რჩება. *ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ, მაგრამ საქმეების დიდი რაოდენობის გამო რთულია ბავშვს მივცეთ იმ დონის ყურადღება, რაც მას რეალურად სჭირდება,* — აღნიშნა ერთ-ერთმა პროფესიონალმა.

ისეთი არასამთავრობო ორგანიზაციები (NGO), როგორიცაა GCRT და „სინერგია", სპეციალიზებულ დახმარებას უწევენ ბავშვებს იმ რეგიონებში, სადაც სახელმწიფო სერვისები ნაკლებადაა წარმოდგენილი. მათი მუშაობა ავსებს სახელმწიფო სერვისებს, თუმცა რჩება არასტაბილურ დაფინანსებაზე დამოკიდებული. *სტაბილური დაფინანსების გარეშე, ეს სერვისები ყოველთვის რისკის ქვეშაა,* - განაცხადა ექსპერტმა.

თემის წევრები - მასწავლებლები და მეზობლები გავლენას ახდენენ ბავშვის გარემოზე. ცნობიერების ამაღლებისა და სტიგმის შემცირების კამპანიები აუცილებელია თემის მხარდაჭერის გასაძლიერებლად.

მანდატურის სამსახური და ბავშვთა დახმარების ცხელი ხაზი 111 წარმოადგენს კრიტიკულ „შესასვლელ წერტილს" სისტემაში, განსაკუთრებით იმ ადგილებში, სადაც სხვა სერვისები ნაკლებად მისაწვდომია. *ცხელი ხაზი არის პირველადი რეაგირების სამსახური, რომელიც ბავშვის ხმას იცავს,* - განმარტა SCA წარმომადგენელმა.

2.6.3. არსებული სარეაბილიტაციო სერვისები

ბავშვთა დახმარების ცხელი ხაზი 111: ფუნქციონირებს 24/7 რეჟიმში და უზრუნველყოფს კონსულტაციებს ძალადობისა და ჯანმრთელობის საკითხებზე. *ბავშვებმა ხშირად არ იციან, როგორ ჩამოაყალიბონ თავიანთი საწუხარი - ჩვენი კონსულტანტები მათ ამაში ეხმარებიან,* - აღნიშნა ცხელი ხაზის ოპერატორმა.

ბარნაჰუსი (Barnahus): უზრუნველყოფს სამართლებრივ, სამედიცინო და ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას ერთიან, ბავშვზე მორგებულ სივრცეში. *ბარნაჰუსი საშუალებას გვაძლევს, ერთდროულად განვახორციელოთ რეაბილიტაციაც და საგამოძიებო პროცედურებიც,* -განაცხადა სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს წარმომადგენელმა. მიუხედავად ეფექტურობისა, ამჟამად ის მხოლოდ თბილისში ფუნქციონირებს.

კრიზისული ცენტრები და თავშესაფრები: სთავაზობენ, დღის და 24-საათიან მომსახურებას. *ცენტრები შექმნილია იმისთვის, რომ იყოს მისაწვდომი და დააკმაყოფილოს თითოეული ბავშვის ინდივიდუალური საჭიროება,* - აღნიშნა სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს წარმომადგენელმა. თუმცა მათი მოქმედების არეალი კვლავ შეზღუდულია.

მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურება: უზრუნველყოფს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან დახმარებას იქ, სადაც სხვა მხარდამჭერი სერვისები არ არსებობს. *ზოგიერთ რეგიონში ეს არის ერთადერთი მისაწვდომი ფსიქოსოციალური სერვისი,* - აღნიშნა სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს თანამშრომელმა.

არასამთავრობო ორგანიზაციები: ისეთი ორგანიზაციები, როგორიცაა GCRT, „სინერგია" და „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი", ავსებენ სისტემაში არსებულ კრიტიკულ ხარვეზებს ტრავმაზე ორიენტირებული და თემზე დაფუძნებული ზრუნვის შეთავაზებით. *მათი ექსპერტიზა აძლიერებს მთლიან სისტემა",* - აღნიშნა სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს წარმომადგენელმა.

2.6.4. ბავშვის გზა რეაბილიტაციის სისტემაში

ბავშვის რეაბილიტაცია უწყვეტი პროცესია, რომელიც იწყება შემთხვევის ამოცნობითა და რეფერირებით, რასაც მოჰყვება შესაბამის სამსახურთან კონტაქტი, ზრუნვის პროცესში ჩართვა და გრძელვადიანი მხარდაჭერა. ამოცნობა და რეფერირება დამოკიდებულია ადრეულ იდენტიფიცირებაზე, პროფესიონალების ცნობიერებასა და ინფორმაციის გამჟღავნებისთვის უსაფრთხო გარემოზე. *ბევრი ბავშვი დუმს, რადგან ეშინიათ, რომ* *დაადანაშაულებენ,* - განმარტა ბავშვთა დაცვის ექსპერტმა.

პირველადი კონტაქტი განსაზღვრავს ნდობის ხარისხს. ბარნაჰუსის მსგავსი ბავშვზე მორგებული სივრცეები ხელს უწყობს ღიაობას, თუმცა თბილისს გარეთ წვდომა შეზღუდულია, რაც შორეულ რეგიონებში მცხოვრები ბავშვებისთვის დაბრკოლებას წარმოადგენს.

რეაბილიტაციის პროცესში ჩართულობა უნდა იყოს ინდივიდუალიზებული და ჰოლისტური. ბარნაჰუსი და თავშესაფრები უზრუნველყოფენ ინტეგრირებულ ზრუნვას, ხოლო მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური ცენტრები ავსებენ რეგიონულ ხარვეზებს. ამავდროულად, საქმეების დიდი რაოდენობა და ლიმიტირებული ტრენინგები აფერხებს ხარისხს. მდგრადი მხარდაჭერა გულისხმობს უწყვეტ თერაპიას, რეინტეგრაციასა და შემდგომ მონიტორინგს. *განკურნება არ არის ერთჯერადი მოვლენა - ეს გრძელვადიანი პროცესია,* - აღნიშნა ერთ-ერთმა ფსიქოლოგმა. თუმცა, 2024 წელს ბარნაჰუსში ჩართული 100 ბავშვიდან

თერაპია მხოლოდ 38-მა დაასრულა. ეს წყვეტა ხაზს უსვამს მოქნილი და გრძელვადიანი ჩართულობის აუცილებლობას.

2.6.5. ბარიერები რეაბილიტაციის პროცესში

რეაბილიტაციის ეფექტურობას აფერხებს როგორც ინსტიტუციური, ისე ინდივიდუალური ბარიერები. სერვისების არათანაბარი განაწილება რეგიონებში მცხოვრებ ბავშვებს არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს. *ბაზისურ მხარდაჭერაზე წვდომაც კი დამატებით ტვირთად იქცევა,* - აღნიშნა ბავშვთა დაცვის ექსპერტმა. საველე კვლევის მონაწილეთა თქმით, საქმეების სიმრავლე, სპეციალისტების ნაკლებობა და სუსტი კოორდინაცია აფერხებს დახმარების დროულ მიწოდებას. *კვლავ გვაქვს შემთხვევები, როდესაც ბავშვების რეფერირება ხდება მკაფიო გეგმის გარეშე,* - განაცხადა NGO-ს წარმომადგენელმა. ბევრ პროფესიონალს აკლია განახლებული ტრენინგები: *ახალმა კადრებმა ხშირად არ იციან ჩვენი სერვისების შესახებ,* - აღნიშნა ბარნაჰუსის თანამშრომელმა.

გარდა ამისა, არ არსებობს მსჯავრდებულთა სტრუქტურირებული რეაბილიტაციის მექანიზმი, ხოლო არასამთავრობო ორგანიზაციების დამოკიდებულება მოკლევადიან დაფინანსებაზე საფრთხეს უქმნის სისტემის მდგრადობას.

ინდივიდუალურ დონეზე, შიშმა, სირცხვილმა და სტიგმამ შესაძლოა ხელი შეუშალოს პროცესში ჩართულობას. *ზოგჯერ გრცხვენია შენს პრობლემაზე საუბარი,* - აღნიშნა ფოკუსჯგუფის მონაწილე ბავშვმა. მშობლების მხრიდან ფაქტის უარყოფა, არარეალისტური მოლოდინები, სიღარიბე და შემდგომი მონიტორინგის ნაკლებობა ზრდის სერვისიდან ბავშვების გამოთიშვის მაჩვენებელს. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები და ისინი, ვინც სკოლას უბრუნდებიან, დამატებით დაბრკოლებებს აწყდებიან პერსონალის არასათანადო მომზადებისა და ბულინგის გამო. *როგორც კი ფორმალური რეაბილიტაცია სრულდება, სტრუქტურირებული შემდგომი მეთვალყურეობის შენარჩუნება უკიდურესად რთულია,* - აღნიშნა სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს ზედამხედველმა.[13]

2.6.6. ინფორმირებულობა და ჩართულობა

სერვისების შესახებ ინფორმირებულობა საგანგაშოდ დაბალია. მონაწილეთა თქმით, ზოგიერთი პროფესიონალიც კი არ იცნობს ძირითად მექანიზმებს. ზოგჯერ

---

[13] *განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ინფორმაციით, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი (TPDC) და მანდატურის სამსახურის ინკლუზიური და სპეციალური განათლების მხარდაჭერის ცენტრი უზრუნველყოფენ ტრენინგებს, პრაქტიკულ ვიზიტებსა და კონსულტაციებს მასწავლებლებისა და სპეციალისტებისთვის. ეს ინიციატივები მიზნად ისახავს კომპეტენციების ამაღლებას ინკლუზიურ განათლებაში, შშმ და სსსმ მოსწავლეების მხარდაჭერასა და უსაფრთხო, მხარდამჭერი სასწავლო გარემოს პოპულარიზაციას.*

თბილისში მომუშავე გამომძიებლებმაც კი არ იციან ჩვენი ცენტრების შესახებ, - აღნიშნა სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს წარმომადგენელმა. მიზნობრივმა კამპანიებმა უნდა მიაწოდოს ინფორმაცია ბავშვებს, ოჯახებსა და პროფესიონალებს ისეთი სერვისების შესახებ, როგორიცაა ბარნაჰუსი და ბავშვთა დახმარების ცხელი ხაზი 111. *ფსიქოლოგიური მომზადებით, ბავშვებს შეუძლიათ გააზიარონ ტრავმული გამოცდილება მეორეული ვიქტიმიზაციის გარეშე,* - განმარტა სააგენტოს ექსპერტმა.

სამართალდამცავ ორგანოებში და სკოლებში ცნობიერების ამაღლება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ადრეული რეაგირებისა და რეფერირების გასაუმჯობესებლად. კადრების დენადობა აზიანებს ინსტიტუციურ მეხსიერებას. ცნობიერების ამაღლება უზრუნველყოფს დროულ დახმარებას და ამცირებს ზიანს. მაქსიმალური ეფექტისთვის, ეს საკითხი ეროვნულ პრიორიტეტად უნდა იქცეს, რასაც ხელი უნდა შეუწყოს განათლების, ხილვადობისა და საინფორმაციო კამპანიებმა, საზოგადოების ყველა დონეზე.

2.7. უწყებათაშორისი კოორდინაცია ბავშვთა მიმართ სექსუალურ ძალადობასთან ბრძოლაში

ეფექტური უწყებათაშორისი კოორდინაცია საყოველთაოდ აღიარებულია, როგორც ბავშვთა დაცვის ეფექტური რეაგირების საფუძველი. მიუხედავად პროგრესისა ისეთი მოდელების დანერგვით, როგორიცაა ბარნაჰუსი და მულტისექტორული პლატფორმები, საქართველოს საკოორდინაციო ძალისხმევა კვლავ ფრაგმენტულია, რეაქტიულია და მეტისმეტად დამოკიდებულია დროებით პროექტებზე. ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ მიმართული ეროვნული სტრატეგიის არარსებობა იწვევს მანდატების გადაფარვას, სუსტ რეფერირების სისტემებსა და შეფერხებებს საქმის წარმოების პროცესში (SCA-ს წარმომადგენლები, NGO-ები, სამართალდამცავები, პედაგოგები).

2.7.1. ძირითადი აქტორები და ხარვეზები კოორდინაციაში

საქართველოს მთავრობა: არსებობს მოლოდინი, რომ ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ ეროვნული სამოქმედო გეგმის მეშვეობით, საქართველოს მთავრობა ხელმძღვანელობას გაუწევს ერთიან რეაგირებას. ამჟამად კოორდინაცია არათანმიმდევრულია და არ არის ინტეგრირებული ადამიანის უფლებათა უფრო ფართო სტრატეგიებში.

სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო (SCA): მას აქვს დაცვის ღონისძიებების კოორდინაციის მანდატი, თუმცა ხშირად პროცესში ძალიან გვიან ერთვება. სამართალდამცავ და საგანმანათლებლო სექტორებთან თანამშრომლობა კვლავ არათანმიმდევრულია.

მუნიციპალური სოციალური მუშაკები: ისინი კრიტიკულად მნიშვნელოვანნი არიან შემთხვევების იდენტიფიცირებისა და რეფერირებისთვის, თუმცა ხშირად მოწყვეტილნი არიან სხვა ინსტიტუტებს.

საგანმანათლებლო დაწესებულებები: საკვანძო რგოლია ადრეული იდენტიფიცირებისთვის, თუმცა ხშირად აკლიათ სიცხადე იმის შესახებ, თუ როდის და როგორ განახორციელონ რეფერირება. სოციალურ სამსახურებთან კოორდინაცია სუსტია.[14]

მანდატურის სამსახური (ORO): ასრულებს რეფერირების როლს, თუმცა სხვა სერვისებთან სისტემური თანამშრომლობა იშვიათია.[15]

სამართალდამცავი და სასამართლო ორგანოები: მიუხედავად პროფესიული სპეციალიზაციის კუთხით მიღწეული პროგრესისა, კომუნიკაცია კვლავ იზოლირებულია, ხოლო ერთობლივი დაგეგმვა კი იშვიათი. თუმცა პროკურატურამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ 2022–2024 წლებში შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სასამართლო ხელისუფლებასთან ერთად გაიმართა არაერთი უწყებათაშორისი სამუშაო შეხვედრა, რომლებიც კონკრეტულად არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებასა და სექსუალურ დანაშაულებს ეხებოდა. მართალია პერიოდული უწყებათაშორისი შეხვედრები ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ კონკრეტულ საქმეებზე უწყებებს შორის მუდმივი კოორდინაცია და ერთობლივი დაგეგმვა ხშირ შემთხვევაში კვლავ პრობლემად რჩება.

არასამთავრობო ორგანიზაციები (NGO): უზრუნველყოფენ კრიტიკულ სერვისებს, თუმცა ხშირად გარიყულნი არიან სტრატეგიის შემუშავების პროცესისგან. მათი როლი სულ უფრო მეტად შემოიფარგლება მხოლოდ სერვისის მიწოდებით, პოლიტიკის განსაზღვრაზე კი ნაკლები გავლენა აქვთ.

2.7.2. არსებული საკოორდინაციო მექანიზმები

ბარნაჰუსი (Barnahus): რჩება კოორდინაციის ყველაზე წარმატებულ მოდელად, თუმცა ის მხოლოდ თბილისშია მისაწვდომი. რეგიონებში მომუშავე

---

[14] განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს განმარტებით, სკოლის ყველა თანამშრომელი ვალდებულია იცნობდეს და ნერგავდეს რეფერირების პროცედურებს (დადგენილება №437). მანდატურები, სოციალური მუშაკები და ფსიქოლოგები გადიან საწყის და უწყვეტ ტრენინგებს ამ პროცედურებზე. გარდა ამისა, 2019 წლის დოკუმენტი „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების შესახებ“ ქმნის ჩარჩოს კოორდინირებული პრევენციისა და რეაგირებისთვის.

[15] ასევე, სამინისტროს ინფორმაციით, მანდატურის სამსახური მიზანმიმართულად და სისტემურად თანამშრომლობს სხვა უწყებებთან, მათ შორის სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოსთან, არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრთან და შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, №437 დადგენილების შესაბამისად. რეფერირებაზე კოორდინირებული რეაგირების უზრუნველსაყოფად გამოიყენება მულტიუწყებრივი ქეის-მენეჯმენტი.

პროფესიონალები მას იშვიათად იყენებენ დაბალი ცნობიერების გამო. **თუმცა პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ბარნაჰუსის სერვისები ფორმალურად მისაწვდომია ყველა რეგიონის საგამოძიებო დანაყოფისთვის და პროკურორები ინფორმირებულნი არიან ამ შესაძლებლობის შესახებ, სტანდარტული ოპერაციული პროცედურების (SOP) მეშვეობით.** შესაბამისად, გამოკვეთილი გამოწვევები უფრო მეტად პრაქტიკულ გამოყენებასა და ოპერაციულ მისაწვდომობას უკავშირდება, ვიდრე ფორმალური რეფერირების მექანიზმის არარსებობას.

მანდატურის სამსახური: მართავს ფსიქოსოციალური მხარდაჭერის ცენტრებს, თუმცა აკლია სტრუქტურირებული თანამშრომლობა მუნიციპალიტეტებთან.

მულტისექტორული პლატფორმები: საველე კვლევის მონაწილეთა თქმით, შეხვედრები არარეგულარულია და ხშირად სიმბოლურ ხასიათს ატარებს. როგორც ხაზგასმით აღინიშნა, დონორების მიერ დაფინანსებული პროექტების დასრულების შემდეგ კოორდინაცია სუსტდება. *ევროკავშირის მიერ დაფინანსებული მართლმსაჯულების ინიციატივის შემდეგ ჩვენ დავკარგეთ ის იმპულსი, რაც გვქონდა,* - აღნიშნა ერთ-ერთმა მოსამართლემ.

ციფრული მმართველობა: მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად პასუხისმგებელია ბავშვთა ონლაინ დაცვაზე, მას აკლია მკაფიო საკოორდინაციო როლი. *ამ წელს კონსულტაციები მხოლოდ ორჯერ გაიმართა და მას არანაირი გაგრძელება არ მოჰყოლია,* - განაცხადა კომუნიკაციების კომისიის წარმომადგენელმა.

რეფერირების გზები: სისტემა არსებობს ფურცელზე, თუმცა პრაქტიკაში არათანმიმდევრულად გამოიყენება. ბევრმა პროფესიონალმა არ იცის საკუთარი როლი, ხოლო უწყებათაშორისი მონაცემთა ბაზების არარსებობა ზღუდავს ეფექტურობას.

2.7.3. ეფექტური კოორდინაციის კრიტერიუმები

დროული რეაგირება: ბიუროკრატიული შეფერხებები საფრთხეს უქმნის ბავშვის უსაფრთხოებას. *პროცედურები აუცილებელია, თუმცა მათ არ უნდა შეაფერხონ გადაუდებელი ქმედებები,* - აღნიშნა იურიდიულმა ექსპერტმა.

ჰოლისტური ქეის-მენეჯმენტი: კოორდინირებული დაგეგმვის გარეშე არსებობს რისკი, რომ ბავშვები დარჩებიან ისეთი კრიტიკული სერვისების გარეშე, როგორიცაა თერაპია ან თავშესაფარი. *ყოფილა შემთხვევა, როცა სახელმწიფო ზრუნვის სააგენტომ მაღალი რისკის მქონე შემთხვევების შესახებ თვეების განმავლობაში არ იცოდა,* - აღნიშნა ერთ-ერთმა სოციალურმა მუშაკმა.

რეტრავმატიზაციის მინიმიზაცია: არაერთგვაროვანი მიდგომები ხშირად ხდება განმეორებითი ინტერვიუების მიზეზი. *პროფესიონალები გვერდს უვლიან ბარნაჰუსს მხოლოდ იმის გამო, რომ მას კარგად არ იცნობენ,* - განმარტა ადვოკატმა.

ინფორმაციის გაზიარება: კონფიდენციალურობა კრიტიკულია, თუმცა მან ხელი არ უნდა შეუშალოს მონაცემთა უსაფრთხო გაცვლას. *მონაცემთა სტრუქტურირებული გაზიარების არარსებობა იწვევს ფუნქციების დუბლირებას და ხელიდან გაშვებულ შესაძლებლობებს,* - განაცხადა სახალხო დამცველის წარმომადგენელმა.

სექტორთაშორისი თანამშრომლობა: სასკოლო პერსონალს ხშირად არ ესმის, როდის უნდა ჩართოს სოციალური სამსახურები. *არ არსებობს საერთო პლატფორმა,* - აღნიშნა მანდატურმა.

2.7.4. ეფექტური კოორდინაციის ბარიერები

ბავშვთა დაცვის ჩარჩოს გაძლიერების მცდელობების მიუხედავად მრავალი ინსტიტუციური და ინდივიდუალური ბარიერი კვლავ აფერხებს ეფექტურ უწყებათაშორის კოორდინაციას. ეს გამოწვევები ყველა სექტორსა და დონეზე იჩენს თავს, რაც ხლუდავს დროულ ინტერვენციას და ასუსტებს ნდობას სისტემის მიმართ. მონაწილეებმა არაერთხელ გაუსვეს ხაზი იმას, რომ კოორდინაცია კვლავ არათანმიმდევრული და იზოლირებულია და იგი მეტისმეტად არის დამოკიდებული ინდივიდუალურ ინიციატივებზე, სტრუქტურირებული პროტოკოლების ნაცვლად.

ინსტიტუციური ბარიერები მოიცავს ბუნდოვან მანდატებს, ფრაგმენტულ კომუნიკაციას, კონკრეტული სტრატეგიის არარსებობასა და ბავშვთა ციფრული დაცვის მექანიზმების სუსტ ინტეგრაციას ზოგად ჩარჩოებში. ამ პრობლემებს კიდევ უფრო ამწვავებს ფუნქციური, სექტორთაშორისი ქეის-მენეჯმენტის სისტემის არარსებობა. ინდივიდუალურ დონეზე პროფესიონალებს ხშირად აკლიათ ცნობიერება საკუთარი როლის შესახებ ან აქვთ რეფერირებასთან დაკავშირებული შიში, რაც კიდევ უფრო აყოვნებს კრიტიკულ რეაგირებას. ქვემოთ მოცემული ბარიერები ასახავს ინსტიტუციონალიზებული თანამშრომლობის გადაუდებელ საჭიროებას, რომელიც დაფუძნებული იქნება საერთო პასუხისმგებლობასა და პროაქტიულ ჩართულობაზე.

ინსტიტუციური ბარიერები:

- სტრუქტურირებული კომუნიკაციის ნაკლებობა უწყებებს შორის (სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო, სამართალდამცავები, სკოლები).
- NGO-ების შეზღუდული წვდომა პოლიტიკის დაგეგმვის სივრცეებსა და მონაცემებზე.

- ბიუროკრატიული შეფერხებები მეტისმეტად ფორმალური კომუნიკაციის გამო.
- ფრაგმენტაცია სახელმწიფო უწყებებს შორის პასუხისმგებლობების მკაფიო დაყოფის გარეშე.
- მიზნობრივი სტრატეგიის არარსებობა ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სამოქმედო გეგმის ფარგლებში.
- ბავშვთა ციფრული დაცვის მიმართულებით ლიდერობისა და სიცხადის დეფიციტი.
- ერთიანი ქეის-მენეჯმენტის სისტემის არარსებობა ბავშვთა დაცვის სფეროში.

ინდივიდუალური ბარიერები:

- მასწავლებლებისა და სოციალური მუშაკების დაბალი ინფორმირებულობა რეფერირების პროცედურების შესახებ.
- ინსტიტუციური იზოლაცია და თანამშრომლობის მიმართ არსებული უნდობლობა/გაუცხოება.
- ძალადობის შეტყობინების შედეგების შიში (განსაკუთრებით სკოლებში).
- კოორდინაცია დამოკიდებულია ინდივიდუალურ ინიციატივაზე და არა სავალდებულო პრაქტიკაზე.

2.7.5. ერთიანი ეროვნული მიდგომის ნაკლებობა

მონაწილეთა უმეტესობამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მკაფიო სამოქმედო გეგმისა თუ მუდმივი საკოორდინაციო სტრუქტურის გარეშე ინსტიტუტები იზოლირებულად მუშაობენ. *ჩვენ ვხვდებით ერთმანეთს კონფერენციებზე, მაგრამ ამას ცვლილებები არ მოჰყვება,* — განაცხადა ერთ-ერთმა NGO წარმომადგენელმა. არსებული რეფერირების პროცედურები ბუნდოვანია, ხოლო კოორდინაცია განსაკუთრებით სუსტია რეგიონებში.

ციფრულ საფრთხეებზე, როგორიცაა ონლაინ გრუმინგი, რეაგირება მხოლოდ ეპიზოდურად ხდება. *წელს კონსულტაციები მხოლოდ ორჯერ გაიმართა - არანაირი შემდგომი მონიტორინგი, არანაირი სტრატეგია,* - დაადასტურა კომუნიკაციების კომისიის წევრმა.

ფრაგმენტაციის დასაძლევად ზოგიერთი მონაწილე რეკომენდაციას უწევს მუდმივი, მულტისექტორული პლატფორმების შექმნას ერთობლივი დაგეგმვისთვის. *პროკურორები, მოსამართლეები, სოციალური მუშაკები და თარჯიმნები რეგულარულად რომ ხვდებოდნენ ერთმანეთს, შედეგები გაცილებით უკეთესი იქნებოდა,* - აღნიშნა სახალხო დამცველის წარმომადგენელმა.

ერთიანი სტრატეგიისა და მუდმივი თანამშრომლობის გარეშე საქართველოში რეაგირება ბავშვთა მიმართ სექსუალურ ძალადობაზე კვლავ ნაწილობრივი, ხშირად დაგვიანებული და არაერთგვაროვანია.

რეკომენდაციები[16]

საქართველოს პარლამენტი

- შეიტანოს ცვლილებები შესაბამის კანონმდებლობაში მოძველებული ტერმინების, მაგალითად, „ბავშვთა პორნოგრაფიის" საერთაშორისოდ აღიარებული ტერმინით - „ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის ამსახველი მასალა (CSAM)" ჩასანაცვლებლად, ლანზაროტეს კომიტეტის რეკომენდაციებისა და ლუქსემბურგის სახელმძღვანელო მითითებების შესაბამისად;
- სისხლის სამართლის კოდექსში დანერგოს სექსუალური ძალადობის ისეთი განმარტებები, რომლებიც ეფუძნება თანხმობის პრინციპს, GREVIO-ს საბაზისო რეკომენდაციებისა და CEDAW-ს კომიტეტის დასკვნითი შენიშვნების შესაბამისად, რაც გულისხმობს იმგვარ განმარტებებზე გადასვლას, რომლებიც მხოლოდ ფიზიკურ ძალას, მუქარას ან მსხვერპლის უმწეო მდგომარეობას არ ეყრდნობა;
- შეიტანოს ცვლილებები „ბავშვის უფლებათა კოდექსსა" და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, რათა უზრუნველყოფილ იქნას „ბარნაჰუსში" ჩაწერილი ბავშვის გამოკითხვის/ინტერვიუს დასაშვებ მტკიცებულებად აღიარება, რაც მინიმუმამდე დაიყვანს განმეორებით გამოკითხვებსა და ტრავმას;
- გააძლიეროს სავალდებულო შეტყობინების ვალდებულება „ბავშვის უფლებათა კოდექსისა" და „რეფერირების პროცედურების" შესაბამისად იმ პროფესიონალებისთვის მკაფიო სამართლებრივი სანქციების დაწესების გზით, რომლებიც არ შეატყობინებენ შესაბამის ორგანოებს ბავშვის მიმართ სექსუალური ძალადობის ან ექსპლუატაციის საეჭვო შემთხვევების შესახებ;
- ფინანსთა სამინისტროსთან თანამშრომლობით უზრუნველყოს ყოველწლიურ სახელმწიფო ბიუჯეტში მიზნობრივი ასიგნებები ბავშვთა დაცვის ინფრასტრუქტურის მხარდასაჭერად, რაც მოიცავს „ბარნაჰუსის" ცენტრების ქსელის გაფართოებას, მუნიციპალური სოციალური მუშაკების აყვანასა და ფსიქოლოგიური მხარდაჭერის სერვისების უზრუნველყოფას სოფლად და იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც სერვისების სიმცირეა.

[16] წინამდებარე ანგარიშის კვლევითი ფაზის დასრულების შემდეგ, ლანზაროტეს კომიტეტმა გამოაქვეყნა იმპლემენტაციის ანგარიში „ბავშვთა დაცვა სექსუალური ძალადობისგან ნდობის წრეში" (Protecting Children Against Sexual Abuse in the Circle of Trust). ანგარიშის მიგნებები და რეკომენდაციები ქართულ ენაზე მისაწვდომია შემდეგ ბმულზე: https://rm.coe.int/legal-frameworks-executive-summary-recomm-implementation-report-georgi/488028e4f8.

საქართველოს მთავრობა

- შეიმუშაოს ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის პრევენციისა და მასზე რეაგირების სპეციალური ეროვნული სტრატეგია, რომელიც მოიცავს გაზომვად ინდიკატორებს, ვადებსა და ყოველწლიური საჯარო ანგარიშგების მექანიზმებს. აღნიშნული სტრატეგია უნდა იქნას მიღებული მთავრობის დადგენილების სახით და მთავრობის ადმინისტრაციამ კოორდინაცია გაუწიოს მის იმპლემენტაციას;
- უზრუნველყოს ბავშვთა დაცვის მდგრადი და ინსტიტუციონალიზებული დაფინანსება, ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის (CSA) პრევენციისა და მასზე რეაგირების აქტივობების ინტეგრირებით იუსტიციის სამინისტროს, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს ყოველწლიურ ბიუჯეტებში, რეგიონული იმპლემენტაციისთვის მიზნობრივი რესურსების გამოყოფით;
- ჩამოაყალიბოს ბავშვთა დაცვის დამოუკიდებელი ზედამხედველობის მექანიზმი, , რომელსაც ექნება სამართლებრივი მანდატი, განახორციელოს მონიტორინგი, შეფასება და ანგარიშგება ეროვნულ რეაგირებაზე, მათ შორის, „ბავშვის უფლებათა კოდექსისა" და საერთაშორისო ვალდებულებების (მაგ. ლანზაროტესა და სტამბოლის კონვენციები) შესრულებაზე;
- განახორციელოს მართლმსაჯულების სექტორისა და ბავშვთა დაცვის სფეროს ყველა პროფესიონალისთვის (მათ შორის, პროკურორების, გამომძიებლების, სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგებისთვის) სპეციალიზაციის სასერტიფიკატო პროგრამის შემუშავების კოორდინაცია. პროგრამა უნდა იყოს სტანდარტიზებული, კომპეტენციებზე დაფუძნებული და მოიცავდეს მოდულებს ტრავმაზე ორიენტირებული პრაქტიკის, ტექნოლოგიების გამოყენებით (ICT) ჩადენილი ძალადობისა და ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების შესახებ.
- უხელმძღვანელოს 2016 წლის „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების" გადახედვისა და განახლების პროცესს, „ბავშვის უფლებათა კოდექსთან" და 2016 წლის შემდეგ განხორციელებულ ინსტიტუციურ რეფორმებთან მათი შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით. განახლებულმა პროცედურებმა უნდა:
    - მკაფიოდ განსაზღვროს ახლად ჩამოყალიბებული აქტორების, მაგალითად, მუნიციპალური ბავშვთა დაცვის სამსახურების , მანდატურის სამსახურის სოციალური მუშაკებისა და საგანმანათლებლო რესურს-ოფიცრების (მანდატურების) როლები და პასუხისმგებლობები;

    - მოიცვას დეტალური პროტოკოლები ტექნოლოგიების გამოყენებით (ICT) ჩადენილ ძალადობაზე რეაგირებისთვის, როგორიცაა ონლაინ გრუმინგი, სექსუალური გამოძალვა (სექსტორშენი) და მავნე შინაარსის მასალებთან წვდომა, ლანზაროტესა და ბუდაპეშტის კონვენციების შესაბამისად.
- დააინიციროს და ზედამხედველობა გაუწიოს ქეისების მართვისა და რეფერირების ინტეგრირებული ციფრული სისტემის შემუშავებას სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოსთან, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან და სხვა შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობით. აღნიშნულმა სისტემამ უნდა უზრუნველყოს:
    - ქეისების რეალურ დროში მონიტორინგი, იდენტიფიცირებიდან რეაბილიტაციამდე;
    - ბავშვთა დაცვის პროცესში ჩართულ უწყებებს შორის მონაცემთა უსაფრთხო გაზიარების პროტოკოლების მხარდაჭერა;
    - აუდიტისა და ანგარიშვალდებულების მექანიზმების ჩართვა, ძალადობის სავარაუდო შემთხვევებზე რეაგირებისას ინსტიტუციური საქმიანობის მონიტორინგისთვის.

იუსტიციის უმაღლესი საბჭო და სასამართლო ხელისუფლება

- გააგრძელოს სპეციალიზებული, ბავშვზე მორგებული სასამართლო დარბაზების მოწყობა ცენტრალურ და რაიონულ სასამართლოებში; უზრუნველყოს ისინი ბავშვზე მორგებული ინფრასტრუქტურით (მაგ. განცალკევებული შესასვლელები და გამოსასვლელები, მოსაცდელი სივრცეები და გამოკითხვის ოთახები) და დააკომპლექტოს მოწმე ბავშვებთან მუშაობისთვის გადამზადებული პროფესიონალებით. აღნიშნული პროცესი დაიწყოს საპილოტე სასამართლოებით თბილისს გარეთ, იმ რეგიონებისთვის პრიორიტეტის მინიჭებით, სადაც საქმეთა მაღალი რაოდენობა და ადაპტირებულ სივრცეებზე შეზღუდული მისაწვდომობა ფიქსირდება;
- შემოიღოს მოსამართლეთა სავალდებულო და უწყვეტი სპეციალიზაცია ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის საქმეებზე, რათა უზრუნველყოფილ იქნას თანმიმდევრული, ტრავმაზე ორიენტირებული და უფლებებზე დაფუძნებული მართლმსაჯულება. უზრუნველყოს მიზნობრივი ტრენინგები და დაადგინოს შესაბამისი კრიტერიუმები, რათა მსგავსი საქმეები განსახილველად გადაეცეთ მხოლოდ სპეციალიზებული მოსამართლეებს;
- დანერგოს და აამოქმედოს ჩვენების დისტანციურად მიცემის მექანიზმები, მაგალითად, ვიდეოკავშირის სისტემები, რათა მსხვერპლ და მოწმე ბავშვებს საშუალება მიეცეთ მონაწილეობა მიიღონ პროცესში სასამართლოში

ფიზიკური დასწრების გარეშე. უზრუნველყოს ამ ინსტრუმენტების უსაფრთხოება, ბავშვის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ საპროცესო სტანდარტებთან შესაბამისობა;

- დააწესოს სავალდებულო სერტიფიცირება ტრავმაზე ორიენტირებულ მიდგომებში და უწყვეტი პროფესიული განვითარება იმ მოსამართლეებისა და სასამართლო აპარატის თანამშრომლებისთვის, რომლებიც მონაწილეობენ ბავშვებთან დაკავშირებულ საქმეებში.

შინაგან საქმეთა სამინისტრო

- უზრუნველყოს სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ბავშვების გამოკითხვა ბავშვზე მორგებულ გარემოში. გააფართოვოს წვდომა ადაპტირებულ საგამოძიებო ოთახებზე ამჟამად არსებული ლოკაციების მიღმა და უზრუნველყოს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, ფსიქოლოგიური მხარდაჭერა და ბავშვზე ორიენტირებული პროცედურები;
- გააგრძელოს და გააძლიეროს სავალდებულო, სპეციალიზებული ტრენინგები ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის (CSA) საკითხებზე გამომძიებლებისთვის, პატრულ-ინსპექტორებისა და ადმინისტრაციული პერსონალისთვის, რაც მოიცავს ტრავმაზე ორიენტირებულ გამოძიებას, ბავშვთან კომუნიკაციასა და მტკიცებულებების მოპოვებას. განახორციელოს ტრენინგების ხარისხისა და მათი პრაქტიკული გამოყენების მონიტორინგი, განსაკუთრებით იმ რეგიონებში, სადაც ნაკლებია სპეციალიზებული პერსონალი;
- შეინარჩუნოს სტრუქტურირებული უწყებათაშორისი თანამშრომლობა შესაბამის ადგილობრივ და საერთაშორისო პარტნიორებთან ტექნოლოგიების გამოყენებით (ICT) ბავშვთა წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებზე, მსხვერპლთა დროული იდენტიფიცირებისა და კოორდინირებული რეაგირების უზრუნველსაყოფად;
- გააგრძელოს და შეაფასოს მიმდინარე პრევენციული და ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების გავლენა, მათ შორის თემთან მუშაობა, ციფრული უსაფრთხოების პროგრამები და თანამშრომლობა სკოლებთან, მშობლებთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან, რათა აღნიშნულმა ინიციატივებმა ეფექტურად უპასუხოს ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობისა (CSA) და ტექნოლოგიების გამოყენებით (ICT) ჩადენილ დანაშაულებს.

პროკურატურა

- გააძლიეროს სტრუქტურირებული კოორდინაცია და ერთობლივი დაგეგმვა ყველა ინდივიდუალურ CSA საქმეზე, რაც მოიცავს ფსიქოლოგიური მხარდაჭერის პერსონალის ადრეულ ჩართვასა და კონკრეტულ საქმეებზე ბრიფინგების გამართვას ყველა საჭირო პროფესიონალის მონაწილეობით (მათ შორის, გამომძიებელი, სოციალური მუშაკი, ფსიქოლოგი);
- გააგრძელოს პროკურორების მუდმივი სპეციალიზაციის უზრუნველყოფა, მათ შორის ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ტრავმაზე ორიენტირებული მიდგომები, ტექნოლოგიების გამოყენებით (ICT) ჩადენილი ძალადობა და ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულება.

სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო (SCA)

- გააფართოოს და ადეკვატური კადრებით დააკომპლექტოს მუნიციპალურ დონეზე სოციალურ მუშაკთა განყოფილებები, ქეისების მაქსიმალური რაოდენობის ეროვნული სტანდარტის მიღების გზით, განსაკუთრებით სოფლად და მაღალი რისკის მქონე ზონებში. უზრუნველყოს თითოეული გუნდი ტრანსპორტით, კონფიდენციალური გამოკითხვის სივრცეებითა და ბავშვზე მორგებული მასალებით ქეისების ეფექტური მართვისთვის;
- მოახდინოს რეგულარული მულტიდისციპლინური ქეის-კონფერენციების ინსტიტუციონალიზაცია მუნიციპალურ დონეზე (სულ მცირე, კვარტალში ერთხელ), სამართალდამცავი ორგანოების, სკოლების, სამედიცინო დაწესებულებების, თავშესაფრებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების სავალდებულო მონაწილეობით. მოახდინოს შეხვედრის პროცედურებისა და დოკუმენტაციის სტანდარტიზაცია ერთობლივი დაგეგმვის, ინფორმაციის გაზიარებისა და ბავშვთა დაცვის კომპლექსური ქეისების შემდგომი მეთვალყურეობის უზრუნველსაყოფად.

განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტრო

- გადახედოს ეროვნულ სასწავლო გეგმას სხეულის ავტონომიის, თანხმობის პრინციპის, პირადი უსაფრთხოებისა და ციფრული წიგნიერების შესახებ ასაკის შესაბამისი განათლების ინტეგრირების მიზნით, ყველა საგანმანათლებლო საფეხურზე - სკოლამდელი აღზრდიდან საშუალო სკოლის ჩათვლით. უზრუნველყოს შესაბამისობა ლანზაროტეს კონვენციასთან და ბავშვის უფლებათა ევროპული კომიტეტის (CDENF) მითითებებთან სექსუალური განათლებისა და ძალადობის პრევენციის შესახებ;

- ჯანდაცვის სამინისტროსთან თანამშრომლობით შეიმუშაოს რისკის ადრეული გამოვლენისა და რეაგირების ეროვნული პროტოკოლი, რომელიც უნდა მოიცავდეს რუტინულ სკრინინგის პროცედურებს სკოლებში და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებსა და სამედიცინო დაწესებულებებში, რათა მოხდეს ძალადობის ან უგულებელყოფის რისკის ქვეშ მყოფი ბავშვების იდენტიფიცირება და ბავშვთა დაცვის სამსახურებში მათი დროული გადამისამართება;
- უზრუნველყოს კარგად გადამზადებული მანდატურებისა და სკოლის ფსიქოლოგების დანიშვნა ყველა საჯარო სკოლაში, ეროვნულ დონეზე დადგენილი პერსონალის მინიმალური თანაფარდობის საფუძველზე. უზრუნველყოს ამ სპეციალისტების ჩართვა სკოლის უსაფრთხოების ჯგუფებში და მათ მიერ პირდაპირი კოორდინაციის წარმოება სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოსა და სამართალდამცავ ორგანოებთან ქეისების მართვის პროცესში;
- გააუმჯობესოს ქვეყნის მასშტაბით მოქმედი პროფესიული განვითარების (სამუშაო ადგილზე სწავლების) სტრუქტურირებული პროგრამა ყველა მასწავლებლისთვის, სკოლის დირექტორისა და ადმინისტრაციული პერსონალისთვის, ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის ნიშნების იდენტიფიცირების, ფაქტის გამჟღავნებაზე რეაგირებისა და შეტყობინების ვალდებულებების შესახებ. აღნიშნული უნდა მოიცავდეს სავალდებულო მოსამზადებელ მოდულებს და ხორციელდებოდეს სერტიფიცირებული ტრენინგ-პროვაიდერების მიერ.

ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

- გააფართოოს ტრავმაზე ორიენტირებული ფსიქოსოციალური მხარდაჭერის ინფრასტრუქტურა რეგიონული ცენტრების ჩამოყალიბებისა და მენტალური ჯანმრთელობის მობილური ჯგუფების მობილიზების გზით, იმ ტერიტორიებსა და სოფლებში, სადაც სერვისების ნაკლებობაა. უზრუნველყოს ამ სერვისების მისაწვდომობა ბავშვებისა და მათი ოჯახებისთვის და მათი კოორდინაცია მუნიციპალურ ბავშვთა დაცვის სამსახურებსა და სკოლებთან;
- განათლების სამინისტროსთან თანამშრომლობით შეიმუშაოს რისკის ადრეული გამოვლენისა და რეაგირების ეროვნული პროტოკოლი, რომელიც უნდა მოიცავდეს რუტინულ სკრინინგის პროცედურებს სკოლებში, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებსა და სამედიცინო დაწესებულებებში, რათა მოხდეს ძალადობის ან უგულებელყოფის რისკის

ქვეშ მყოფი ბავშვების იდენტიფიცირება და ბავშვთა დაცვის სამსახურებში მათი დროული გადამისამართება;

- ჩამოაყალიბოს ფსიქოლოგებისა და სოციალური მუშაკების აკრედიტაციისა და ლიცენზირების ეროვნული სისტემა, რომელიც მოიცავს სპეციალიზაციის კურსს ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის (CSA) საკითხებში. უზრუნველყოს უწყვეტი პროფესიული განვითარებისა და ზედამხედველობის მექანიზმები, ტრავმაზე ორიენტირებული ზრუნვის სტანდარტების შესაბამისად;
- შეიმუშაოს და დანერგოს რეაბილიტაციის შემდგომი სტრუქტურირებული რეინტეგრაციისა და მეთვალყურეობის პროგრამები ბავშვებისთვის, რაც მოიცავს ქეისზე დაფუძნებულ მხარდაჭერის გეგმებს, ოჯახის კონსულტირებასა და თემზე დაფუძნებულ რეინტეგრაციის აქტივობებს;
- უხელმძღვანელოს „ბარნაჰუსის" ცენტრების გეოგრაფიულ გაფართოებას თბილისის ფარგლებს გარეთ, შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან მჭიდრო კოორდინაციით. უზრუნველყოს ფინანსური და საკადრო მდგრადობა გრძელვადიანი საბიუჯეტო ასიგნებების მეშვეობით.

კომუნიკაციების კომისია

- დააწესოს ასაკის ვერიფიკაციისა და კონტენტის მოდერაციის სავალდებულო სტანდარტები საქართველოში მოქმედი ციფრული პლატფორმებისთვის, ლიცენზირებისა და რეგულირებასთან შესაბამისობის მექანიზმებში ბავშვთა დაცვის პროტოკოლების ინტეგრირებით;
- მოახდინოს ციფრული წიგნიერებისა და ონლაინ უსაფრთხოების ეროვნული კამპანიების კოორდინაცია ინტერნეტ პროვაიდერებთან (ISP), მობილურ ოპერატორებთან და სოციალური მედიის კომპანიებთან პარტნიორობით; განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს სოფლად მცხოვრებ მოსახლეობასთან კომუნიკაციას და ინფორმაციის ეთნიკური უმცირესობების ენებზე მიწოდებას, საქართველოს მედიაწიგნიერების განვითარების სტრატეგიის შესაბამისად;
- დანერგოს ბავშვთა დაცვის აუდიტის ციფრული მექანიზმი, რომელიც შეამოწმებს პლატფორმების მიერ CSAM-ის (ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის ამსახველი მასალა) წაშლის ვალდებულებების შესრულებასა და მათ თანამშრომლობას სამართალდამცავ ორგანოებთან, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურთან თანამშრომლობით ჩატარებული პერიოდული შეფასებების საფუძველზე.

ციფრული მმართველობის სააგენტო

- შეიმუშაოს და დანერგოს რეალურ დროში ბავშვთა მიმართ ძალადობის შესახებ შეტყობინების (flagging) მექანიზმი, რომელიც ინტეგრირებული იქნება არსებულ სახელმწიფო ციფრულ პლატფორმებში (მაგ. სასკოლო პორტალები, საკომუნიკაციო აპლიკაციები ან სახელმწიფო სერვისების ვებგვერდები) და უზრუნველყოფს პირდაპირ რეფერირებას სამართალდამცავ ორგანოებსა და სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოში.

ადგილობრივი თვითმმართველობები და მუნიციპალიტეტები

- მუნიციპალურ დონეზე ჩამოაყალიბოს ბავშვთა უსაფრთხოების სექტორთაშორისი კომიტეტები, რომლებიც გააერთიანებენ სკოლების, სამედიცინო დაწესებულებების, პოლიციისა და სოციალური სამსახურების წარმომადგენლებს. აღნიშნულმა კომიტეტებმა უნდა გამართონ კვარტალური შეხვედრები მაღალი რისკის მქონე ქეისების განსახილველად, სერვისებში არსებული ხარვეზების შესაფასებლად და ადგილობრივი პრევენციული ძალისხმევის კოორდინაციისთვის;
- უხელმძღვანელოს ადგილობრივ დონეზე ცნობიერების ამაღლებისა და პრევენციის ინიციატივებს სკოლებში, საბავშვო ბაღებში, კლინიკებსა და სათემო ცენტრებში რეგულარული საგანმანათლებლო ვორქშოფების ორგანიზებით. თემები უნდა მოიცავდეს ბავშვის უფლებებს, სხეულის ავტონომიას, ციფრულ უსაფრთხოებასა და შეტყობინების მექანიზმებს. უზრუნველყოს ეთნიკური უმცირესობებისა და შშმ ბავშვების ჩართულობა ლინგვისტურად და კულტურულად ადაპტირებული მასალების მეშვეობით;
- გამოყოს სპეციალური მუნიციპალური ბიუჯეტები ბავშვთა დაცვის მობილური ჯგუფების, საგანმანათლებლო მასალების, ადგილობრივი პროფესიონალების ტრენინგებისა და ბავშვზე მორგებული აღჭურვილობის (მაგ. გამოკითხვის ოთახებისთვის, მობილური ჯგუფების აღჭურვილობა და სხვა) შესაძენად. საჭიროების შემთხვევაში, შექმნას თანადაფინანსების მექანიზმები ცენტრალურ ხელისუფლებასთან ან არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად.

სახალხო დამცველის ოფისი

- გააგრძელოს ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის (CSA) საკითხების მონიტორინგის ინტეგრირება სახელმწიფო და მუნიციპალური უწყებების ყოველწლიურ აუდიტში და აწარმოოს პერიოდული სპეციალური ანგარიშები CSA მიმართულებით. აღრიცხოს და მოამზადოს ანგარიში CSA-ს

იდენტიფიცირებული ინციდენტების რაოდენობის, ინსტიტუციების მიერ გატარებული ქმედებებისა და განხორციელებული შემდგომი ღონისძიებების შესახებ. პარლამენტისადმი წარდგენილ ყოველწლიურ ანგარიშებში ასახოს CSA-სთან დაკავშირებული მიგნებები, სისტემური გაუმჯობესებისთვის საჭირო მკაფიო და ქმედით რეკომენდაციებთან ერთად;

- გააგრძელოს CSA-ზე ფოკუსირებული ყოველწლიური საინფორმაციო შეხვედრები ბავშვებისთვის, მშობლებისა და პროფესიონალებისთვის სახალხო დამცველის აპარატის არსებული საკომუნიკაციო არხების გამოყენებით. აწარმოოს მონაწილეთა რაოდენობისა და მოცული რეგიონების სტატისტიკა და ყველა კამპანიაში ჩართოს CSA-სთან დაკავშირებული თემები პრევენციის, შეტყობინებისა და მხარდაჭერის მექანიზმების შესახებ ერთიანი გზავნილების უზრუნველსაყოფად;
- უზრუნველყოს CSA-ს პრევენციის, შეტყობინებისა და მხარდაჭერის შესახებ ბავშვზე მორგებული მასალების ფართოდ გავრცელება. აღრიცხოს ყოველწლიურად გავრცელებული მასალების რაოდენობა და განახორციელოს ბავშვებისა და მშობლების უკუკავშირის მონიტორინგი მასალების სიცხადისა და ეფექტურობის შესაფასებლად.

იურიდიული დახმარების სამსახური და ადვოკატთა ასოციაცია

- შემოიღოს ბავშვთა დაცვის საკითხებში ოფიციალური სერტიფიცირება, ბავშვზე მორგებულ მართლმსაჯულებაში, ტრავმაზე ორიენტირებული მიდგომებისა და CSA საქმეებისთვის დადგენილ სპეციალურ პროცედურებში სავალდებულო სპეციალიზაციით. დააწესოს უწყვეტი განათლების მოთხოვნები სერტიფიკატის განახლებისთვის;
- გარანტირებული გახადოს კვალიფიციურ იურიდიულ დახმარებაზე დაუყოვნებლივი წვდომა სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ყველა ბავშვისთვის, რაც მოიცავს უფასო წარმომადგენლობას სისხლის სამართლის, ადმინისტრაციულ და სამოქალაქო პროცესებში. უზრუნველყოს ამ სერვისის მისაწვდომობა ყველა რეგიონში, მათ შორის სოფლად და იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც სერვისების ნაკლებობაა, ბავშვთა დაცვის საკითხებში სპეციალიზებული იურიდიული ჯგუფების მეშვეობით.

არასამთავრობო და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები

- ჩამოაყალიბონ სტრუქტურირებული ბავშვთა და ახალგაზრდობის მრჩეველთა ჯგუფები, რათა უზრუნველყოფილ იქნას ბავშვების (განსაკუთრებით, მოწყვლადი თემებიდან) შეხედულებების შინაარსობრივი

ინტეგრირება ბავშვთა დაცვის სახელმწიფო პროგრამების შემუშავების, იმპლემენტაციისა და შეფასების პროცესში;

- შეავსოს კრიტიკული ხარვეზები სერვისების მიწოდების კუთხით მაღალმთიან რეგიონებში და იქ, სადაც სერვისების სიმცირე აღინიშნება, ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის, იურიდიული დახმარებისა და არაფორმალური საგანმანათლებლო პროგრამების შეთავაზებით, განსაკუთრებით იქ, სადაც სახელმწიფო რესურსები ან მისაწვდომობა შეზღუდულია.

მედიის მარეგულირებელი ორგანოები და ჟურნალისტები

- უზრუნველყოს ეთიკური სტანდარტების (როგორც ეს განსაზღვრულია „მაუწყებელთა ქცევის კოდექსითა" და „ჟურნალისტური ეთიკის ქარტიით") დაცვა, რათა დაცული იყოს მსხვერპლი ბავშვების პირადი ცხოვრება და ღირსება CSA შემთხვევების გაშუქებისას. გამოიყენოს სანქციები დარღვევების გამოვლენის შემთხვევაში;
- ჟურნალისტური ეთიკის ქარტიასა და მედიასკოლებთან თანამშრომლობით, უზრუნველყოს ჟურნალისტების, რედაქტორებისა და მედიაპროდიუსერების სავალდებულო, უწყვეტი გადამზადება ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის ტრავმაზე ორიენტირებული და პატივისცემაზე დაფუძნებული გაშუქების საკითხებზე;
- ხელი შეუწყოს საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების კამპანიებისა და საგანმანათლებლო კონტენტის მომზადებას სახელმწიფო უწყებებთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობით, სადაც ყურადღება იქნება გამახვილებული ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის პრევენციაზე, სტიგმის შემცირებასა და უსაფრთხო შეტყობინების მექანიზმების წახალისებაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

Braun, V., & Clarke, V. 2006. თემატური ანალიზის გამოყენება ფსიქოლოგიაში (*Using thematic analysis in psychology*). *Qualitative Research in Psychology*, 3(2), 77–101.

CEDAW-ს კომიტეტი. 2023. დასკვნითი შენიშვნები საქართველოს მეექვსე პერიოდული ანგარიშის შესახებ.

ევროპის საბჭო, 1949. ევროპის საბჭოს წესდება (*Statute of the ევროპის საბჭო*). სტრასბურგი: ევროპის საბჭო.

ევროპის საბჭო, 1950. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია (*European Convention on Human Rights*). სტრასბურგი: ევროპის საბჭო.

ევროპის საბჭო, 2001. კონვენცია კიბერდანაშაულის შესახებ (ბუდაპეშტის კონვენცია). ბუდაპეშტი: ევროპის საბჭო.

ევროპის საბჭო, 2007. ევროპის საბჭოს კონვენცია ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისგან დაცვის შესახებ (ლანზაროტეს კონვენცია). ლანზაროტე: ევროპის საბჭო.

ევროპის საბჭო, 2010. სახელმძღვანელო მითითებები ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების შესახებ (*Guidelines on Child-Friendly Justice*). ხელმისაწვდომია: https://www.coe.int/en/

ევროპის საბჭო, 2022. GREVIO-ს საბაზისო შეფასების ანგარიში: საქართველო.

ევროპის საბჭო, 2011. ევროპის საბჭოს კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და პრევენციის შესახებ (სტამბოლის კონვენცია). სტამბოლი: ევროპის საბჭო.

ევროპის საბჭო, 2023. მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2023)8 წევრი სახელმწიფოებისადმი ბავშვთა მიმართ ძალადობის შესახებ შეტყობინების სისტემების გაძლიერების თაობაზე. სტრასბურგი: ევროპის საბჭო.

ევროპის საბჭო, 2023. საინფორმაციო ფურცელი: საქართველო - ბავშვთა დაცვა სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისგან. ხელმისაწვდომია: https://rm.coe.int/factsheet-georgia-the-protection-of-children-against-sexual-exploitati/1680acde47 [წანახია: 12 დეკემბერი, 2024].

ევროპის საბჭო, 2025. ლანზაროტეს კომიტეტი: მონაცემთა შეგროვების მექანიზმები ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობის შესახებ. სტრასბურგი: ევროპის საბჭო.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2003. M.C. ბულგარეთის წინააღმდეგ (*M.C. v. Bulgaria*), განაცხადი No. 39272/98, 2003 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილება. სტრასბურგი: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო.

ევროპარლამენტი, 2024. ბავშვთა მიმართ სექსუალურ ძალადობასთან ბრძოლა: კანონმდებლობის ჰარმონიზაცია და გამოწვევებთან გამკლავება. [PDF] ხელმისაწვდომია: https://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/BRIE/2024/762374/EPRS_BRI(2024)762374_EN.pdf [ნანახია: 10 დეკემბერი, 2024].

Global Partnership to End Violence Against Children, 2017. *INSPIRE: შვიდი სტრატეგია ბავშვთა მიმართ ძალადობის დასასრულებლად*. ხელმისაწვდომია: https://www.end-violence.org [ნანახია: 10 ნოემბერი, 2024].

Global Partnership to End Violence Against Children, 2018. *გლობალური პარტნიორობა ბავშვთა მიმართ ძალადობის დასასრულებლად*. ხელმისაწვდომია: https://www.end-violence.org [ნანახია: 10 ნოემბერი, 2024].

საქართველოს მთავრობა, 2016. ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურები. თბილისი: საქართველოს მთავრობა.

ინტერპოლი (INTERPOL), 1993. ინტერპოლის კონსტიტუცია და ზოგადი რეგულაციები. ლიონი: ინტერპოლი.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO), 1999. ILO-ს კონვენცია No. 182 ბავშვის შრომის უკიდურესი ფორმების აკრძალვისა და დაუყოვნებლივი აღმოფხვრის ღონისძიებების შესახებ. ჟენევა: შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია.

საქართველოს პარლამენტი, 1984. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი. თბილისი: საქართველოს პარლამენტი.

საქართველოს პარლამენტი, 1999. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. თბილისი: საქართველოს პარლამენტი.

საქართველოს პარლამენტი, 2015. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი. თბილისი: საქართველოს პარლამენტი.

საქართველოს პარლამენტი, 2019. ბავშვის უფლებათა კოდექსი. თბილისი: საქართველოს პარლამენტი.

საქართველოს პარლამენტი, 2020. საქართველოს კანონი „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ". თბილისი: საქართველოს პარლამენტი.

საქართველოს სახალხო დამცველი, 2021. სპეციალური ანგარიში ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობისა და ექსპლუატაციის შესახებ: სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობის კვლევა და მონიტორინგი. თბილისი: საქართველოს სახალხო დამცველი.

საქართველოს სახალხო დამცველი, 2023. საქართველოს სახალხო დამცველის ყოველწლიური ანგარიში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ. თბილისი: სახალხო დამცველის აპარატი.

UNICEF, 2014. ბავშვთა მიმართ ძალადობის დასრულება: მოქმედების ექვსი სტრატეგია. UNICEF.

UNICEF, 2019. დავასრულოთ ძალადობა ბავშვთა მიმართ. UNICEF.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, 1989. ბავშვის უფლებათა კონვენცია (CRC). ნიუ-იორკი: გაერო.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, 2000. ბავშვის უფლებათა კონვენციის ფაკულტატური ოქმი ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ (OPSC). ნიუ-იორკი: გაერო.

გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტი, 2011. ზოგადი კომენტარი No. 13 ბავშვის უფლებაზე, დაცული იყოს ძალადობის ყოველი ფორმისგან. ხელმისაწვდომია: https://www.ohchr.org/

გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭო, 2005. რეზოლუცია 2005/20: სახელმძღვანელო მითითებები დანაშაულის მსხვერპლი და მოწმე ბავშვების მონაწილეობით განხორციელებული მართლმსაჯულების შესახებ. ხელმისაწვდომია: https://www.un.org/en/ecosoc/docs/2005/resolution%202005-20.pdf [ნანახია: 16 ნოემბერი, 2024].

WePROTECT Global Alliance, 2014. *WePROTECT გლობალური ალიანსი ონლაინ ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციის დასასრულებლად.* ხელმისაწვდომია: https://www.weprotect.org[ნანახია: 10 ნოემბერი, 2024].

ანგარიშის მიზანია წვლილი შეიტანოს ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის, მათ შორის, ბავშვთა ონლაინ სექსუალური ექსპლუატაციისა და ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში ეროვნულ დონეზე, „სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისგან ბავშვთა დაცვის შესახებ" (შემდგომში: ლანზაროტეს კონვენცია) ევროპის საბჭოს კონვენციისა და სხვა საერთაშორისო სტანდარტების, ასევე ლანზაროტეს კომიტეტის რეკომენდაციების შესაბამისად.

www.coe.int
www.coe.ge

ევროპის საბჭო არის ადამიანის უფლებათა მოწინავე ორგანიზაცია კონტინენტზე. იგი 46 წევრი სახელმწიფოსაგან შედგება, რომელთა შორისაა ევროკავშირის ყველა წევრი ქვეყანა. ევროპის საბჭოს ყველა წევრმა სახელმწიფომ ხელი მოაწერა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას – ხელშეკრულებას, რომლის ძირითად მიზანს ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დაცვის უზრუნველყოფა წარმოადგენს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ზედამხედველობს კონვენციის შესრულებას წევრ სახელმწიფოებში.

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE